




სამუშაო გუნდი „**ვლასტურები და საზოგადოება**  
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“

Scientific magazine "AUTHORITY  
AND SOCIETY"

(History, Theory, Practice)"

Научный журнал "ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО"

(История, Теория, Практика)"



№ 3

2007



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის  
უცხოური ენებისა და კომუნიკაციების  
ფაკულტეტის  
საგენერალო კორპუსი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY  
HUMANITARIAN-SOCIAL FACULTY  
Scientific magazine of Department  
of Foreign Languages and Communication


ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ  
УНИВЕРСИТЕТ

Гуманитарный-социальный факультет  
Научный журнал департамента Иностранных  
языков и коммуникации

EISSN 1512-4029

UDC 378(479.22)(051.2)

ს. 402



## სარიალური კოლეგია:

### მოთა ფოტონები

- მთავარი რალაპბორი

### გიორგი ბალათაძე

- მთავარი რალაპბორის მოადგილი

### ოთარ ბალათაძე

- პასახისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, მიზროჟოლიბი აზრუაში (გურელია),  
ვახტანგ გურული, თეიმურაზ თოლეა, როინ  
მაზრაველი, ქათი ქოქაშვილი, ოთარ ქოჩორაძე,  
ონა სულან ქათათალაძე, მარა ჩხეიძე



უურნალი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პრესისა  
და მასობრივი ინფორმაციის სევა საშუალებების შესახებ“.  
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია  
ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ  
ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის  
შეხედულებებს.

### შესახებ:

საქართველო, თბილისი 0160 კოსტავას ქ.77, VI კორპუსი VIII  
სართული ტელ. 36.45.14

77 Kostava st., 0160 Tbilisi, Georgia. Tel. [995 32] 36.45.14  
Mail: [DLPA@gtu.edu.ge](mailto:DLPA@gtu.edu.ge)

### გარეკანის გაფორმება: დავით ბალათაძე


შელიალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია მისამართზე:

<http://www.gtu.ge/katedrebi/kat124/>

## სარჩევი

გიორგი ბაღათურია, ოთარ ბაღათურია პოლიტიკური რეჟიმი და ხელისუფალი-----	5
თემურ თოდუა, შოთა დოდონაძე სახელმწიფო მართვის თეორია და მეთოდოლოგია-----	16
ოთარ ქოჩორაძე ივანე ბეჭაშვილი მენეჯმენტის ისტორიიდან-----	23
მარინა ქურდაძე სისტემური მიდგომა და სისტემური აზროვნება ეკონომიკური პროცესების მართვაში-----	39
ვასილ გაჭარავა ავტოსტრადების მშენებლობა ეიზენპაუერის ადმინისტრაციის დროს-----	45
გიორგი ბაღათურია, თემურაზ გორშევი, ნონა ჭიჭიკოშვილი დიდი სატრანსპორტო ქსელის მართვის თანამედროვე სისტემა-----	59
მაია ჩხეიძე მეტაკოგნიცია და კომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე)-----	68
გიორგი მჭედლიშვილი ეპიზოდები ქართულ-ფრანგულ პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობათა ისტორიიდან (წერილი I) -----	74
ნანა ციხისთავი თანამედროვე ტენდენციები სეპულარულ სამყაროში-----	84

<b>დაგით თაქთაქიშვილი</b> სამყარო და ადამიანი (ფილოსოფიური განსჯანი ფილოსოფიით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის) -----	91
<b>როზა გაფრინდაშვილი</b> მატერიალური კეთილდღეობის გაფეტიშება და სულიერი დაცემის საფრთხე-----	99
<b>ლალი გგასალია</b> კულტურის ფენომენი ფილოსოფიურ-სისტემურ ჭრილში-----	105
<b>სერგო ლომინაძე</b> „შავი“ PR-ის საფუძვლები და მოქმედების მეთოდები-----	113
<b>რუსულან თაბუკაშვილი</b> გენდერული სამეტყველო ქმედება (კორპუსულ ენაზე)-----	120
<b>მაია ქავთარაშვილი</b> მსოფლიო აბლაბუდის ხლართი – აზროვნების ეპოლოგია და მასების მარტოობა-----	127
<b>სტუდენტური გვერდები-----</b>	137-151
<b>ლია ბოლქვაძე, გიორგი ძიძიგური</b> პოლიტიკური ზნეობრიობა თუ ეკონომიკური რაციონალურობა-----	151
<b>ელდარ პირმისაშვილი</b> პიარი და კრიზისული სიტუაციების მართვა-----	146



მსოფლიოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების შედარებითი შესწავლის შედეგად, საბოლოოდ მივდივართ დასკვნამდე, რომ იხდეუსტრიალიზაციისა და მოდერნიზაციის დონე, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი სახოგადოებრივი პროდუქციის ოდენობა, მოსახლეობის განათლებულობა და ა.შ. უცილობლად დამოკიდებულია პოლიტიკური დემოკრატიზაციის პროცესზე, ქვეყნის ეკონომიკური წარმატება განაპირობებს მისი პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციას.

ამ თეზისის თვალსაჩინო მაგალითთა კუნძულ ტაივანის გამოცდილება [1]. ოფიციალურად (დე-იურე), კუნძული ტაივანი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ერთ-ერთი პროვინციაა. მაგრამ პრაქტიკულად (დე-ფაქტო), 1950 წლიდან კუნძულზე მოქმედებს საკუთარი ხელისუფლება. გენერალისიმუსმა ჩან კაი-შიმ ტაივანზე დაამყარა ე.წ. „სამ სახალხო პრინციპზე“ დაფუძნებული, ჩინეთის ნაციონალისტური პარტიის - გომინდანის მაცრი ანტიკომუნისტური დიქტატურა, რომლის დროსაც ნებადართული იყო სახელმწიფოს მიერ რეგულირებული საბაზრო ეკონომიკის არსებობა. ტაივანის ეკონომიკური განვითარების კვალობაზე, ავტორიტარული რეჟიმი თანდათან სუსტდებოდა. დაბოლოს, „ტაივანის სასწაულად“ მონათლული ეკონომიკური წარმატებების შედეგად, კუნძულზე დამყარდა ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული პოლიტიკური წყობილება, ეკონომიკური მდგრადირების მაღალი დონით.

დაახლოებით მსგავსი რამ მოხდა ჩილეშიც [2]. 1973 წელს გენერალმა აუგუსტო პინოჩეტმა სამხედრო ძალით

დაამხო სოციალისტური შეხედულებების მქონე, საერთო, პირდაპირ არჩევნებში გამარჯვებული პრეზიდენტი სალვადორე ალიენდე, რომელიც გაუმართლებელ სოციალურ გარდაქმნებს ახორციელებდა და ქვეყნის ეკონომიკა დაღუპვისაკენ მიჰყავდა. პინოჩეტმა მოიწვია საბაზრო ეკონომიკის მცოდნე სპეციალისტები, მათი რეკომენდაციების საფუძველზე, ქვეყნაში მოკლე დროში დაიწყო ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა. მას შემდეგ, რაც ჩილეში გაქრა სოციალისტური იდეების რეანიმაციის საფრთხე, პინოჩეტმა მოიხსნა უფლებამოსილებანი და ქვეყნაში თავისუფალი, პირდაპირი არჩევნები ჩატარდა. ამჟამად ჩილე ლათინური ამერიკის ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე უფრო განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნაა.

ჩილეს გამოცდილებამ ცხადყო, რომ კაპიტალიზმი და საბაზრო ურთიერთობები აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პოლიტიკური დემოკრატიის დასამყარებლად. ამავე დროს, საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკების მაგალითთ ნათლად ჩანს, რომ საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის სრულებითაც არ არის აუცილებელი წინასწარ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის არსებობა. სსრკ-ის პირველი და უკანასწერელი პრეზიდენტის გორბაჩოვის რეფორმები, რომლებიც ერთდროულად პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებს ითვალისწინებდა, მარცხით დასრულდა, მაშინ, როდესაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დენ სიათ-პინის ხელმძღვანელობით წარმატებით განხორციელდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი ეკონომიკის რეფორმირება პოლიტიკური სტრუქტურების და ინსტიტუტების, კომუნისტური პარტიის „წამყვანი როლის“ ცვლილების გარეშე [3]. ასეთივე, წარმატებული რეფორმები ტარდებოდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში XX ს. 70-იან წლებში [4].

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკა შეიძლება განვითარდეს ყველანირი პოლიტიკური რეჟიმის დროს, მაგრამ დემოკრატიული სისტემა წარმატებით შეიძლება არსებობდეს მხოლოდ მაღალგანვითარებული ეკონომიკის პირობებში.

თავის მხრივ, ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფო დემოკრატიული სისტემა მყარ ფუნდამენტს ქმნის კანონიერებისა და მტკიცე ხელისუფლების ფუნქციონირებისათვის, პოლიტიკური ბრძოლა უფრო პატიოსანი და გამჭვირვალე ხდება. აშკარად შეიმჩნევა კორელაციური კავშირი ეკონომიკური განვითარების დონესა და პოლიტიკური სისტემის ტიპებს შორის. ეკონომიკური

კეთილდღეობის ზრდა იწვევს შეძლებულ მოქალაქეთა რიცხვის ზრდას, განსაკუთრებით ძლიერდება საშუალო ფენა, მაღლდება მოსახლეობის განათლების დონე, წარმოიქმნება ძალაუფლებისა და გავლენის ახალი ცენტრები, ფართოვდება ეკონომიკური და პოლიტიკური არჩევნის შესაძლებლობები, ურთიერთობა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის უფრო მრავალფეროვანი და დახვეწილი ხდება.

ამრიგად, დემოკრატიული წყობილების ევენტიანი ფუნქციონირება დიდწილად დამოკიდებულია ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეზე, როთაც განისაზღვრება მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პარამეტრები - ურბანიზაციის დონე, ენერგიის მოხმარება, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით გაწეული ხარჯები და ა.შ. ყოველივე ეს დაკავშირებულია საბაზრო ურთიერთობების განვითარებასთან. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავისთავად საბაზრო ურთიერთობები და თავისუფალი ვაჭრობა ავტომატურად არ იძლევა დემოკრატიული განვითარების პირობებს. გარკვეულ პირობებში საბაზრო ეკონომიკამ შეიძლება წინააღმდეგობებიც შეუქმნას პლურალიზმს და დემოკრატიას, შეასუსტოს დემოკრატიულობის მიზნები. XX საუკუნის ისტორია თვალნათლივ აჩვენებს, რომ სავსებით შესაძლებელია კაპიტალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის არსებობა ტირანული რეჟიმების პირობებში (ევროპის ფაშისტური რეჟიმების მაგალითი) - საბაზრო ეკონომიკა წარმატებით ვითარდებოდა, თუმცა მთლიანად ემორჩილებოდა სახელმწიფოს.

მაგრამ ამ შემთხვევებში ერთგარად იგნორირებულია პიროვნების, ქვეყნის მმართველის როლი. პიროვნების როლზე მრავლად დაწერილა ისტორიულ და ფილოსოფიურ თხზულებებში. პიროვნების და საზოგადოების პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ფილოსოფიაში. ის წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიშვება ადამიანსა და საზოგადოების ურთიერთობიმართებაში, გადაუსრულია. ერთი მხრივ, კადკადი

პიროვნება საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს და თავისი მოქმედებით ემორჩილება ამ საზოგადოების კანონებს, მეორე შერიც, მას გააჩნია გარკვეული ავტონომია, აქვს „არჩევანის თავისუფლება“. მიუღებელია როგორც საზოგადოების როლის აბსოლუტიზება, რომელიც ადამიანზე მაღლა დგას და მთლიანად განსაზღვრავს მისი მოქმედებებს და აზრებს (ობიექტური იდეალისტები და მატერიალისტები), ასევე ადამიანის ნების გაფეტიშება, რომელსაც თითქოსდა შეუძლია განსაზღვროს თავის ქმედება საზოგადოებრივი გარემოსგან დამოუკიდებლად (სუბიექტური იდეალისტები). ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოსაა მტკიცება – როგორც პიროვნებაა დამოკიდებული საზოგადოებაზე, ასევე საზოგადოებაც დამოკიდებულია პიროვნებაზე. ადამიანს, რომელსაც ესმის ბუნების და საზოგადოების განვითარების კანონები, აქტიური, მიზანმიმართული ქმედებით შეუძლია გარდაქმნას როგორც საზოგადოებრივი გარემო, ისე საცუთარი თავიც. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თანამედროვე მეცნიერული აღმოჩენები უარყოფს ადამიანის წარმოქმნის ევოლუციურ თეორიას [5] და ადასტურებს ბიბლიურ ჭეშმარიტებას – „დასაბამად ქმნა ღმერთმან ცაი და ქუეყანა“: ამ შემთხვევაში უკვე თითქოს ნათელი უნდა იყოს პიროვნების როლი და მისი ადგილი საზოგადოებაში. მაგრამ, პრაქტიკულად, სახელმწიფოთა მმართველებს, მეტად იშვიათი გამონაბლისის გარდა [6], უჭირთ მისდიონ დვითიურ კანონებს და „რეალური პოლიტიკის“ ინტერესებით ხელმძღვანელობენ.

აზროვნების ისტორიამ შეიმუშავა მრავალი საურადლებო დასკვნა, რომელთა გათვალისწინება რეალური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელების საშუალებას იძლევა. კონფუცის სწავლების მიხედვით ჭვერის მართვისათვის საჭიროა საკმარისი სურსათი (მოსახლეობის გამოსაკვებად), იარადი (ჭვერის დასაცავად გარეშე და შინაური მტრებისგან) და ხელმწიფისადმი ხალხის ნდობა. უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება დაითმოს იარადი, სურსათის დათმობაც კი შეიძლება, მაგრამ „თუ ხალქში არ იქნება ნდობა მთავრისა, ვერ გადარჩება ის ქუეყანა ვერანაირად“ [7]. ამრიგად, ხელმწიფისადმი, მმართველისადმი ნდობა გადამწყვეტია ჭვერის მართვისათვის. მაგრამ როგორი უნდა იყოს თვით მთავარი, რათა მან დაიმსახურის ხალხის ნდობა? ლაო-ძის მიხედვით: „საუკეთესოა მთავარი, თუ მხოლოდ ვიციოს, რომ არსებობს იგი. ნაკლული არის, ხალხს რომ უყვარს და განადიდებს, ძლიერ ცუდია, რომელისაც ხალხს ეშინა, და თუ კი ხაგ ხალხსა მთავარი, იგი კულაზე

უარესია". იქნებ მთავრის მიზანი არც უნდა იყოს ხალხის, მით უმეტეს თანამედროვეთა სიყვარულის ძიება? პოლიტიკური მოღვაწის დამსახურება თუ შეცდომები ხომ უკეთ ჩანს რეტროსპექტიული ანალიზით, დრო აფასებს მთავრის მიღწევებს. გარდამავალ პერიოდში, როდესაც მთავარმა უნდა დაამკიდროს ახალი წესები, ჩატაროს რეფორმები, მას მრავალი წინადმდებობა ელის ვინაიდან „არაფერია უფრო ძნელი, წარმატების მისაღწევად უფრო საუგვო, განსახორციელებლად უფრო სახიფათო, ვიდრე ახალი წესების დამკიდრების ხელმძღვანელობა” (მაკიაველი). ამასთან, „წარმატების მისაღწევად საჭიროა აიძულო ხალხი გააკეთოს საქმე, მხოლოდ შეგონებით ეკრაფერს მიაღწევ” ამ გზაზე შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული, ოღონდ „მთავარს არა აქვს უფლება ხალხის მიერ დაშვებული შეცდომების გამო დაიხილოს, რადგანაც ხალხის შეცდომა ყოველთვის მხოლოდ მთავრის გამო ხდება. რასაც აქეთებს მთავარი, მერე ხალხიც იმასვე იმეორებს” [8].

ამდენად მთავარს, მონომახის მძიმე ქუდის სატარებლად განსაკუთრებული, დვოთის განგებით მინიჭებული ძალა და გამჭრიახობა უნდა გააჩნდეს, იგი უნდა ფლობდეს პოლიტიკური საქმიანობის ხელოვნებას. შემთხვევითი არ არის, რომ არისტოტელე პოლიტიკურ საქმიანობას განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფო მართვის ხელოვნებას, ხოლო დემოკრიტე თვლის, რომ პოლიტიკა უბრალიდ ხელოვნება კი არ არის, არამედ, მართლაცდა ხელოვნებათა შორის უმაღლესია. ბრძნული პოლიტიკა სახელმწიფოს, საზოგადოებისა და პიროვნების აყვავების წანამდღვარია, ცუდი პოლიტიკა კი – ნგრევისა და დაქვეითების.

სახელმწიფო მოღვაწეობის შესაფასებლად სოკრატეს (პლატონის გადმოცემით), ერთი შეხედვით მარტივი კრიტერიუმები ჰქონდა შემუშავებული: სახელმწიფოს ჭეშმარიტი მთავარია ის, ვინც ზრდის ქვეყნის შემოსავლებს და აძლიერებს მას; სამხედრო თვალსაზრისით – ის არის უკეთესი მთავარი, ვინც მტკიცედ ამაგრებს სახელმწიფოს საზღვრებს; დიპლომატიური თვალსაზრისით – ვინც მტკებს მოქავშირებად აქცევს; დაბოლოს, სახელმწიფო მართვაში – ის, ვინც არეულობას ბოლოს მოუდებს და თანხმობას დაამყარებს თავის ქვეყანაში.

თავის მხრივ, პლატონი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ზნეობას და საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების თანხედრას. სახელმწიფოს ინტერესების განხორციელებისთვის აუცილებელია, რომ მის ყველა მოქალაქეს, როგორც მმართველ ელიტას, ისე მის რიგით

წევრებს, პქონდეს გარკვეული ზნეობრივი თვისებები. უზნეო მოქალაქეთა სახელმწიფოში კანონი უგულებელყოფილია, ირდვევა სახელმწიფოს დისციპლინა და შეუძლებელი ხდება სახელმწიფოს მართვა. ასეთ ქვეყანაში ისადგურებს ქაოსი ან მყარდება სხვადასხვა ტიპის დიქტატურა.

პარმონიული სახელმწიფოს შექმნის რამდენიმე მცდელობა იყო ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში. მაგრამ მიუხედავად მწყობრი თეორიული დასაბუთებისა, ასეთი მოღევები პრაქტიკულად განუხორციელებელი რჩებოდა კაცობრიობის თითქმის მთელი ისტორიის განმავლობაში. შიდასახელმწიფოებრივი წონასწორობა და პოლიტიკურ ძალთა თანხმობა ძნელად და მოკლე ხნით თუ მიიღწეოდა. უფრო ხშირი იყო პოლიტიკური უთანხმოება და ბრძოლა.

აღორძინების ეპოქაში უკან დაიხია რელიგიურმა და ზნეობრივმა შეზღუდვებმა და წინა პლანზე წამოიწია პოლიტიკური რეალიზმის მეთოდებმა. პოლიტიკური რეალიზმის კლასიკოსები ნიკოლო მაკაველი, კარლ ფონ კლაუზზევიცი, ფრიდრიხ ნიცშე პოლიტიკური რეალობის თვალთახედვით, ყოველგვარი იდეალიზაციის გარეშე აღწერდნენ ადამიანის (პოლიტიკოსის) შინაგან ბუნებას, მისი ოზროვნების წესა და მისწრაფებებს.

წარსული ისტორიისა და თანამედროვე პოლიტიკური მოვლენების – ოქბის, სახელმწიფოებრივი მმართველობის პერიპეტიონების ავლენით მაკაველიმ ახსნა იდეალური სახელმწიფოს შექმნის და იდეალური პოლიტიკის შეუძლებლობის კანონი, მან ადამიანთა ბუნებრივი ურთიერთობის კანონზომიერებების გათვალისწინებით ახსნა პოლიტიკურ მოვლენათა და პროცესთა არსი – „სახელმწიფოები ისეთივე ხარბი და უძღვები არიან, როგორც მათი მოქალაქეები, ისინი გამუსიმებით ცდილობენ კიდევ უფრო შორს განავრცონ თავიანთი საზღვრები, შემოიმტკიცონ ახალ-ახალი სამგლობელოები, თანდათან ჩაყლაპონ თავიანთი მეზობლები და მათ ნანგრევებზე დააფუძნონ თავიანთი ძლიერება, რათა ამ გაუთავებელ ბრძოლებში სისხლდაწრებილნი, თავის მხრივ, მათზე უფრო ძლიერი მტრის მხევერებლად იქცნენ უგვიატის, საბერძნების თუ რომის მხგავსად. ასე ენაცვლება ერთმანეთს სახელმწიფოთა ხისუსტე და ძლიერება და მათი აღზევება ადრე თუ გვიან მათივე დამხრიბის მიზეზი ხდება“: მსგავსი ფორმით გამოხატავდა სახელმწიფო ბრძოლის მოტივებს კლაუზზევიცი, იგი სამ ძირითად მოტივს ასახელებდა: მატერიალურს, ფასეულობათა და თავდაცვითს. მატერიალური მოტივია ბრძოლა მატერიალური რესურსების – ტერიტორიის, ბუნებრივი

რესურსების, მცირფასეულობის - მოსაპოვებლად. ფასეულობათა მოტივია ბრძოლა რელიგიური, ეროვნული, მსოფლმხედველობითი პრინციპებისთვის. თავდაცვითია - გავლენის სფეროების გაფართოება, საკუთარი ტერიტორიის დაცვის მიზნით ბუფერული ზონების შექმნა, მოსახლეობის საარსებო საშუალებების, ზღვებზე გასასვლელების და სხვა სატრანსპორტო მაგისტრალების დაცვა. რეალისტური პოლიტიკის თვალსაზრისით, ნებისმიერი პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ძალით ხორციელდება, რასაც მოგვიანებით გულახდილად განმარტავდა ლორდი პალმერსტონი: „ჩვენ არა გვყავს მუდმივი მოკავშირუები ან მუდმივი მტრები, ჩვენ მხოლოდ მუდმივი ინტერესები გვაქვს“. ასეთ მსოფლმხედველობას საბოლოოდ საკუთარ ქვეყანაში დიქტატურის დამყარებისკენ, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობებში მსოფლიო ჰეგემონიზმის ან გავლენის სფეროების გაფართოების სწრაფვისაკენ მივყავართ.

დიქტატორული რეჟიმის ქვეყნებში რეპრესიებით მიიღწვა კანონის მორჩილება, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ დროებით. უკეთეს შემთხვევაში დიქტატორული სახელმწიფო გადაიზრდება დემოკრატიული მმართველობის ფორმაში, ნებაყოფლობითი კანონმორჩილება საყოველთაო მოთხოვნილება ხდება და ქვეყანა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ წარმატებას აღწევს (ესპანეთი, ჩილე, სინგაპური, ტაივანი). ამავე რიგს მიეკუთვნება იაპონიის მაგალითი, თუმცა ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს მხოლოდ იაპონიისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა). უარეს შემთხვევაში დიქტატორული სახელმწიფო ინგრეგა, რასაც მისი მოქალაქეებისთვის ტანჯვა და უბედურება მოაქვს (რუსეთის იმპერია, საბჭოთა კავშირი). საუკეთესო შედეგებია მიღწეული იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული სისტემის მშენებლობის ხანგრძლივი გამოცდილება დაგროვდა (კვრაპული ქვეყნების უმეტესობა), ან დემოკრატიული მმართველობა თავიდანევე მტკიცებ იქნა დამკვიდრებული (აშშ). საბოლოო წარმატება მაინც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად პატიოსან პოლიტიკას ანხორციელებს სახელმწიფო, ერთი მხრივ, საკუთარი მოქალაქეების მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, რამდენად ზნეობრივია იგი საერთაშორისო ურთიერთობებში. დიდი რუსი ფილოსოფოსები ნ.ბერდიავი და ვლ.სოლოვიოვი რუსეთის საზოგადოების უდიდეს ბოროტებად მიიჩნევდნენ ზნეობისა და პოლიტიკის ერთმანეთისგან დაშორებას და გათიშვას, სწორედ სახელმწიფოებრივ უზნეობას თვლილნენ ისინი რუსეთზე თავდატეხილ უბედურებათა მთავარ მიზეზად.

ვლ. სოლოვიოვი აღნიშნავს: „ადამიანი თუ უზნეოდ იქცევა, – ეს დასაძრახისად მიგვაჩნია, მაგრამ, თუ ერთ აღვას უზნეობის გზას, ქვეყანას თუ ზერმატივი პოლიტიკა არ წარმართავს, ეს არ მიიჩნევა სათავიღოდ. ზერმატია კეთლება და კოველოვის“ მაგრამ „ძლიერთა ამა ქვეყნისათვის“ უცხო იყო ზერმატივი მოწოდებები, უფრო მეტიც, მაკიაველის არასწორად მოშველიებით, პოლიტიკას უზნეობა დაედო საფუტებლად, რადგანაც გაბატონდა აზრი, რომ „პოლიტიკა ბინბური საქმეა“; პიროვნება, ადამიანი არარაობად, ან უკეთეს შემთხვევაში, უბრალო ჭანჭიკად იქცა. პიროვნების, ადამიანის სულიერების მიზანმიმართული განადგურება იქცა პოლიტიკის მიზნად. როგორც შედეგი, ბუნებრივი რესურსებით ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა, მართლმადიდებელი და მშრომელი, მრავალი შეჭირვების უხმოდ მომთმენი ხალხით დასახლებული უზარმაზარი რესურსი განიცდის უბედურებებს და საქართველოც, როგორც რუსული სივრცის ნაწილი უკანასკნელი ორასი წლის განმავლიბაში, იზიარებს უზნეო პოლიტიკით გამოწვეულ დამანგრეველ შედეგებს, დამანგრეველს როგორც საერთო სახელმწიფოებრივი მშენებლობის, ისე, რაც უფრო მნიშვნელოვანია, პიროვნეული თვისებების გაუკუდმართებისა და დირსების გრძნობის (ოდესაც რომ იყო „სავსე ქართული პატიოსნებით“) უმიერთ დაქვეთების თვალსაზრისით.

პოლიტიკურ პრობლემათა სამართლიანობის პრინციპებით გადაწყვეტის იდეამ ანტიკური ხანის შემდეგ კვლავ წამოიწია პირველი მსოფლიო ომის დროს. ამ ომის მანამდე არნახულმა, უზარმაზარმა მასშტაბებმა, გაუგონარმა სისასტემამ და საყოველთაო ნგრევამ თვალნათლივ დაანახა მოაზროვნე საზოგადოებას, თუ რა საზარელი, კატასტროფული შედეგები შეიძლება გამოიწვიოს დიდმა ომმა. აშშ-ის პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა წამოაყენა იდეა მშვიდობიანი საშუალებებით, მოლაპარაკებებით, საერთაშორისო სამართლის ბაზაზე გადაწყვეტილიყო სახელმწიფოთა შორის არსებული ყველა საგამაოოს საკოთხი ისე, რომ აცილებულიყო დიდი ომის საშიშროება. ეს იდეები საფუტებლად დაედო ერთა ლიგის შექმნას. ერთა ლიგა შეიქმნა, მაგრამ მან, პრაქტიკულად, ვერ უზრუნველყო საერთაშორისო პრობლემატიკის მშვიდობიანი ხერხებით მოწერილება. პოლიტიკური იდეალიზმის პრინციპებმა მაშინ მარცხი განიცადა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნით მეტ-ნაკლებად მაინც შესაძლებელი გახდა საყოველთაო მშვიდობისთვის პირობების შექმნა, განსაკუთრებით ევექტიანად უუნქციონირებს დე-გოლის

ინიციატივით შექმნილი გაერთიანებული უკროპა (უკროკავშირი). თანამედროვე პირობებში ფაქტობრივად აღარ არსებობს დიდ სახელმწიფოთა შორის ომის საშიშროება. პოლიტიკური იდეალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით უფრო და უფრო შესაძლებელი ხდება მოგვარდეს რეგიონალური და ეთნიკური კონფლიქტები, გათვალისწინებულ იქნას სახელმწიფოთა ინტერესები, საბოლოო ანგარიშით – დამყარდეს მსოფლიო გეოპოლიტიკური წესრიგი. ამ პოლიტიკური მნიშვნელოვნად შეუწყო ხდი სსრკის ლიდერების მიხეილ გორბაჩოვისა და ედუარდ შევარდნაძის მიერ ახალი აზროვნების კურსის განხორციელებამ საერთაშორისო პოლიტიკაში – დასრულდა ცივი ომი, ჩაცხრა ბირთვული დაძაბულობა. მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკურმა კონკურენციამ ახალ სიბრტყეებში გადაინაცვლა, მსოფლიოს ახალი საშიშროება ემუქრება, ესაა საერთაშორისო ტერორიზმი და აგრესიული სეპარატიზმი, რაც არანაკლებ სახიფათოა, თუ გავითვალისწინებთ შეიარაღების თანამედროვე სახეობებზე ხელმისაწვდომობას. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი ამ საშიშროების ყველაზე უფრო მგვეთრი და ტრაგიკული გამოხატულებაა.

საქართველოს სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაში უნდა აისახოს არსებული პოლიტიკური რეალობა, წარსულის გამოცდილება და ერის ადგილი მომავალ, გლობალურ სამყაროში, ისე რომ, ერთი მხრივ, შესაძლებელი გახდეს ცვალებად პოლიტიკურ გარემოში სრულფასოვანი არსებობა, მეორე მხრივ, არ დაიკარგოს ის განუმეორებელი თვისებები, რაც გამოარჩევს ქართველ ერს სხვა ერებისგან. ასეთივე მოთხოვნები უნდა წაუყენოს სხვა მცირე ერების იდეოლოგიურმა ელიტამ თავისთავს, ვინაიდან თვით სამყაროს არსებობა და ერების პარმონიული თანარსებობა და თანამშრომლობა მხოლოდ სამყაროს მრავალფეროვან ერთიანობაშია.

იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოახერხებს ქვეყნის იდეოლოგიური ელიტა ასეთი სიცოცხლისუნარიანი და პრაქტიკულად მოქმედი მსოფლმხედველობის შემუშავებას, ხოლო მთავარი (მეცე, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ბელადი) სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რეალურად განხორციელებას, განისაზღვრება ქვეყნის ადგილი ცივილიზებულ ერთა თანამეგობრობაში და სახელმწიფოს მმართველთა ადგილი ისტორიაში. თუკი ამგარი მსოფლმხედველობის ჩამოსაყალიბებლად ქვეყნის იდეოლოგიურ ელიტას არ ეყო ინტელექტუალური რესურსი, მაშინ ასეთი ქვეყანა არ იმსახურებს მისთვის გამორჩეული,

საკუთარი ადგილისა და ოლქის მინიჭებას და იგი უკგალოდ  
წაიშლება მსოფლიო ისტორიის ულმობელი განვითარების  
პროცესში.

### გამოყენებული ლიტერატურა და კომენტარები

1. გ.ბადათურია. „ტაივანი – კეთილდღეობის კუნძული“. თბილისი, 2001 წ.
2. Chile under Pinochet. From Wikipedia, the free encyclopedia
3. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმატებული რეფორმები აახლოვებს ტაივანის პრობლემის გადაწყვეტასაც, მის მატერიკულ ჩინეთთან გაერთიანებას. ამასთან გათვალისწინებულია ასეთი პრინციპიც – „ერთი ქვეყანა – ორი სისტემა“.
4. ა.ცინცაძე, გ.ბადათურია. „არჩევანი. დემოკრატიის მშენებლობა ტოტალიტარულ ეპოქაში“ თბილისი, 2002 წ.
5. „პირველად იყო სიტყვა“, საქართველოს კრეაციული საზოგადოების შრომათა კრებული, 2005 წ.
6. საქართველოს ისტორიაში ამგვარი იშვიათი გამონაკლისებია თამარ მეფის მმართველობა, რომელიც დამოუკიდებელი კანონებით მართავდა სამეფოს და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა, რომელიც შესანიშნავად გრძნობდა საკუთარ დავითურ დანიშნულებას (რისი დასტურიცაა „გალობანი სინაცილისანი“) და ამავე დროს წარმატებით იყენებდა რეალური პოლიტიკის მეორებს სახელმწიფოს აღმშენებლობაში.
7. კონფუცი. ლინ იუ 12,27
8. ნ.მაკიაველი „მთავარი“

### Summary

#### Giorgi Bagaturia, Otar Bagaturia A Political Regime and Authority

Comparative research of the social-political evolution of various countries shows that economic welfare of the country, the level of education, etc. mostly determine the character of their political system.

Necessary but not sufficient terms for establishing democratic governance are capitalism and market economy. Market economy can be developed in the conditions of any regime, while a democratic system can exist only in the conditions of high developed economy. The authors consider that the sufficient term for harmonious evolution of a country is ideological elite, being an intellectual resource for forming effective authority. There are relevant samples that confirm abovementioned.

### **Резюме**

**Георгий Багатурия**

**Отар Багатурия**

**Политический режим и Власть**

Сравнительное изучение социально-политического развития различных стран показывает, что их экономическое благосостояние, уровень образования населения и т.д. за редким исключением, определяет характер их политической системы. Для установления демократического правления необходимы (но не достаточными) условиями являются капитализм и рыночные отношения. С другой стороны, рыночная экономика может процветать в условиях любого режима, однако демократическая система может существовать лишь в условиях высокоразвитой экономики. Достаточным условием для гармоничного развития стран представляется наличие в стране идеологической элиты, обладающим достаточным интеллектуальным ресурсом для сформирования эффективно действующей власти. Приведены примеры, подтверждающие сказанное.

## თემურ თოდუა შოთა დოდონაძე

### სახელმწიფო მართვის თეორია და მეთოდოლოგია

მართვა გარემომცველი სამყაროს უნივერსალური და არსებითი ელექტრია. ზოგადი მნიშვნელობით, ესაა სუბიექტის ობიექტზე ზემოქმედების პროცესი. მართვა გულისხმობს საზოგადოების მიზანმიმართულ ზემოქმედებას იმ ობიექტებზე, რომლებიც მართვას ექვემდებარებიან.

ევლა ობიექტი, მოვლენა, ვითარება, ხალხის, საზოგადოების მართვის საგანი არ შეიძლება იყოს. მართვისას ყველა მიზნის მიღწევაც შეუძლებელია. ამიტომაც მართვის წინაშე რეალური მიზნები უნდა დაისახოს. მართვა რეზულტატური უნდა იყოს.

მართვის დროს ურთიერთქმედება სწორხაზოვანია: სუბიექტი და ობიექტი, რაშიც ჩვეულებრივ პირდაპირი კავშირები იგულისხმება. მაგრამ არის უკუკავშირებიც. ე. ი. ობიექტის ზემოქმედება მართველ სუბიექტზე.

თითოეულ საზოგადოებას საერთო ინტერესები და მიზნები გააჩნია, რაც „საერთო საქმის“ წარმოქმნას იწვევს. აუცილებელია ამ „საერთო საქმის“ გადაწყვეტა, მოვლენების მართვა. საზოგადოება სტრუქტურული და ასიმეტრიულია. ის სხვადასხვა ჯგუფებისაგან, ნაციონალური ერათობისაგან, მრავალრიცხოვანი გაერთიანებებისაგან შედგება.

საზოგადოებაში ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ინსტიტუტებიც ფუნქციონირებენ. განსაკუთრებულ როლს გამოიჩინილი პიროვნებები ასრულებენ. თითოეულ ასეთ ერთობას, ინსტიტუტებს, ორგანიზაციებსა და პიროვნებებს განსაზღვრული მიზნები და ინტერესები ამოძრავებთ. საზოგადოებაში ხშირია წინააღმდეგობები და კონფლიქტები. აუცილებელია მათი რეგულირება, სხვაგვარად საზოგადოება ვერ იფუნქციონირებს.

საზოგადოების მართვას სახელმწიფო ახორციელებს. სახელმწიფო მართვა სახელმწიფოს, მისი ორგანოების, თანამდებობის პირთა აღმასრულებელ-განმკარგულებელი, ორგანიზაციული საქმიანობაა. სახელმიწოდებელი უწინარეს ყოვლისა, ადამიანების მართვა.

სახელმწიფო მართვამ, როგორც ზოგადდისციპლინურმა მეცნიერებამ განვითარების ფრიად საინტერესო და რთული გზა განვლო. ის დამოუკიდებელ მეცნიერებად XIXს. დასაწყისში ჩამოყალიბდა [ 6, გვ. 21]

დასავლეთის პოლიტოლოგიაში სახელმწიფო მართვა „Public Administrative management“ – „ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი მართვის“ სახელწოდებით აღინიშნება. ამ ტერმინმა პირველად 1986 წ. აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის პროგრამაში გაიქცერა. აღნიშნულ პროგრამაში გაკიცეული იყო დემოკრატიული მთავრობის არაეომპეტენტურობა, რომელიც მართვის მეცნიერებლ მეთოდებს არ ფლობდა [3, გვ. 12].

ტერმინ „PA“-ში ვიწრო მნიშვნელობით სახელმწიფო მოხელეთა პროფესიონალური მოღვაწეობა იგულისხმება ზოგადი მნიშვნელობით, ესაა ადმინისტრაციული ინსტიტუტების მთელი სისტემა საკმაოდ მყავრად იქრარქიული ხელისუფლებით, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოებრივი გადაწყვეტილებების შესრულების პასუხისმგებლობა ზემოდან ქვემოთ არ წარმიართება.

დღისათვის მკვლევართა უმრავლესობის აზრით, „PA“ ხელისუფლების სამიერ შტოსთან – საპანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებასთანაა დაკავშირებული [2, გვ. 11-12].

მართვის პროცესს სახელმწიფო მოხელეები ხელმძღვანელობენ და ახორციელებენ. სახელმწიფო მოხელე არის პირი, რომელიც სახელმწიფო ორგანოში აღჭურვილია სახელმწიფო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით და სახელმწიფოს სახელით მოქმედებს.

დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო მართვის სწავლებას. ჯერ კიდევ 1916 წ. ვაშინგტონში რობერტ ბრუკინგსმა სამთავრობო კვლევის ინსტიტუტი დააარსა [3, გვ. 15], 1967 წ. კი აშშ-ში სახელმწიფო მართვის ეროვნული აკადემია შეიქმნა; 1990 წ-დან აშშ-სა და დასავლეთ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში სახელმწიფო მართვის სწავლება, სასწავლო პროგრამების შემადგენელი ნაწილი ხდება. ამ მიმართულებით, საქართველოშიც უკანასკნელ ხანებში კონკრეტული ხაბიჯები გადაიდგა. ქვეყანაში ფუნქციონირებს სახელმწიფო მართვის

ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში  
სახელმწიფო მართვის მოხელის სპეციალობა.

სახელმწიფო მართვას, როგორც დამოუკიდებელ  
მეცნიერებას კვლევის საკუთარი თეორია და მეთოდები  
გააჩნია. სახელმწიფო მართვის თანამედროვე თეორია ეს არის  
მეცნიერებათა სინთეზი, რომელიც მის თითქმის ყველა სფეროს  
მოიცავს. ის ზოგადდისციპლინური მეცნიერებაა, რომელიც  
პლიტოლოგიისა და მენეჯმენტის თეორიების მიჯნაზე  
აღმოცენდა [4, გვ21]; შემდგომში კი მრავლად იქნა  
გამოყენებული ისეთი სოციალური მეცნიერების მიღწევები,  
როგორიცაა ფინანსობრივი, ფილოსოფია და სოციოლოგია.  
ამავე თვალსაზრისით, სახელმწიფო მართვის თეორია  
შეიძლება მედიცინასაც შევადაროთ. თვალშისაცემია ამ ორი  
ერთმანეთისგან შორს მდგომი მეცნიერების კონცეპტუალური  
მსგავსება. ასე მაგალითად, მედიცინა მასთან ისეთი  
“მოსაზღვრე” დისციპლინებისგან იყენებს მიღწევებს,  
როგორიცაა ანატომია, ქიმია თუ ფიზიკა. მაგრამ ამ  
მეცნიერებათა ცოდნა თვით მედიცინის საგნის ცოდნას როდი  
ნიშნავს. ასეთივე მდგომარეობაა სახელმწიფო მართვის  
თეორიაშიც.

პლიტოლოგიის, სოციოლოგიის, კონფლიქტოლოგიის,  
ფინანსობრივის, ეკონომიკის მეცნიერებათა ინფორმაციები  
სახელმწიფო მართვის თეორიისათვის სავალდებულოა, თუმცა  
ეს მეცნიერებანი სახელმწიფო მართვის თეორიის საგანს არ  
წარმოადგენენ. ის დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინაა  
[3, გვ. 27].

სახელმწიფო მართვის მეცნიერება შედარებით უფრო  
ახლოს ადმინისტრაციულ სამართალთან დგას, რადგანაც  
ორივე მათგანი სახელმწიფო-ადმინისტრირების პრობლემებს  
სწავლობს. მაგრამ სახელმწიფო მართვის თეორიის ამოცანაა  
ადმინისტრაციულ სფეროში ობიექტურად არსებული  
კანონზომიერების გამოვლენა და მით ოპტიმალური  
რეკომენდაციების ჩამოყალიბება. ადმინისტრაციული  
სამართლის საგანს კი რეკომენდაციების იურიდიულ  
ნორმატივებში გარდაქმნა წარმოადგენს.

ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი მართვის თეორია  
მჭიდროდაა დაკავშირებული, ასევე პრაქსეოლოგიასთან და  
ორგანიზაციის თეორიასთან. ცოდნის სამივე ეს სფერო  
ერგოლოგიკურ მეცნიერებას განეკუთვნება ე.ი. ადამიანთა  
მოღვაწეობის ორგანიზაციის მეცნიერებას. მათ შორის სხვაობა  
აბსტრაქციის არაერთგვაროვანი დონით განისაზღვრება.  
ერგოლოგიკურ მეცნიერებათა სისტემაში შედარებით უფრო  
აბსტრაქციულია პრაქსეოლოგია, რომელიც განზოგადების

მაღალ საფეხურს წარმოადგენს. ამ მეცნიერების საგანია ადამიანთა ნებისმიერი საქმიანობის კვლევა-ძიება. პრაქსეოლოგიის პრინციპები და პრაქტიკული ინფორმაციები თითქმის ყველა სფეროში გამოიყენება. თუმცა ისინი მცირერიცხოვანია, ვინაიდან სამხედრო საქმის, კერძო ფირმებისა თუ კოპერატივების ორგანიზებისას თანაბარი ლირებულებების რეკომენდაციებს ვერ იძლევიან.

ორგანიზაციის თეორია განხოგადების ნაკლები დოზით გამოირჩევა. ის სოციალური სისტემების მართვისა და მათი ეფექტური ფუნქციონირების საკითხებითა დაინტერესებული. ორგანიზაციის თეორიის საგანს სახელმწიფო მართვის ორგანოების პერსონალის მოღვაწეობა წარმოადგენს. ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი მართვის თეორია განხოგადების მხრივ ერთი საფეხურით დაბლა დგას, ვინაიდან ის მხოლოდ სახელმწიფო ადმინისტრირების კვლევითაა დაკავებული.

ადნიშნული დისციპლინების ურთიერთკავშირი ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: პრაქსეოლოგიის ყველა საინტერესო საკითხი მნიშვნელოვანია ორგანიზაციის თეორიისათვის, ხოლო ის საკითხები, რომლებიც ორგანიზაციის თეორიის ინტერესს შეადგენს მთავარი საკითხია ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი მართვის თეორიისთვის. მაგრამ არა პირიქით: ყველა საკითხი, რაც ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი თეორიის სფეროს შეადგენს ორგანიზაციის თეორიის კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს და არა ყველა ის საკითხი, რასაც ორგანიზაციის თეორია სწავლობს პრაქსეოლოგიის კვლევის სფეროში არ შედის.

დღეისთვის შეიძლება გამოიყოს რამდენიმე პრობლემა, რომლებიც ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი თეორიის კვლევა-ძიების ძირითად სფეროს შეადგენს.

პირველი ესაა სახელმწიფო მართვის ორგანიზაციის პრობლემა, რომელიც ძირითადად ნაციონალური, რეგიონული და ადგილობრივი მართვის სისტემებს მოიცავს. მასვე ეკუთვნის სახელმწიფო ორგანიზაციის ზოგადი თეორიის შემუშავება, სახელმწიფო აპარატის ფუნქციები და კოორდინაცია.

მეორე პრობლემაა მართვის კადრების მომზადება და რეკრუტირება. ამ სფეროში შეისწავლება სახელმწიფო აპარატის მოხელეთა საშეაბო შემადგენლობის ოპტიმალური სტრუქტურის, პერსონალის მართვისა და სახელმწიფო მოხელეთა პროფესიონალიზმის საკითხები.

მესამე პრობლემა სახელმწიფო ადმინისტრირების ტექნიკასთანაა დაკავშირებული. ეს პრობლემებია – სახელმწიფო გადაწყვეტილებების შემუშავების პროცედურა, პოლიტიკური პროგნოზირება, სახელმწიფო მართვის მეთოდების შემუშავება კრიზისულ და კონფლიქტურ სიტუაციებში, სახელმწიფო ადმინისტრაციის და მასობრივი ინფორმაციების საშუალებების ურთიერთობის ტექნოლოგიური პროცესები [1, გვ. 15-17].

სახელმწიფო მართვის ორონის კვლევა-ძიების მექანიზმები შეიცავენ სამეცნიერო კვლევის უკედა იმ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, შედარება, შეჯამება. მართვის მეთოდოლოგიაში წამყვანი აღგილი სისტემურ და სიტუაციურ ანალიზს უკავია.

სისტემური ანალიზის საეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ კვლევის ორიენტირება ხდება ობიექტის მთლიანობაში შესწავლასა და მისი მექანიზმების უზრუნველყოფაზე. სისტემური ანალიზი ადმინისტრაციულ-სახელმწიფო უკედა მართვის რთული პრობლემების და გადაწყვეტილების მიღების არგუმენტირებისთვის გამოიყენება. პრობლემის გადაწყვეტის პროცესი მიზნების მკაფიო ფორმულირებით იწყება. ამასთანავე პრობლემები მთლიანობაში განიხილება; მიზნის მიღწევის ყველა ალტერნატიული გზა ანალიზდება. სისტემური ანალიზის ცენტრალური პროცედურა განმაზოგადებელი მოდელების შექმნაა, რომელიც ფაქტორთა რეალურ სიტუაციას ასახავს. სისტემური ანალიზის საფუძველი გამომოვლელი მანქანები და საინფორმაციო სისტემებია.

სისტემური კვლევის პრინციპს წარმოადგენს, ასევე სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი. ესაა სოციალური ურთიერთზემოქმედების იმ ელემენტთა გამოყოფა, რომელიც კვლევა-ძიებას ექვემდებარება, ადმინისტრაციულ-სახელმწიფო უკედა მართვის სისტემაში მათ ადგილსა თუ ფუნქციას განსაზღვრავს. სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზის ლოგიკური გაგრძელებაა სიტუაციური ანალიზი, რომელიც ორგანიზაციული პრობლემების გადაწყვეტის საუკეთესო მექანიზმია. სიტუაციური ანალიზის ჩარჩოებში ადმინისტრაციულ-სახელმწიფო უკედა მართვის მიღწევი როგორივი ხელმძღვანელობა პერმანენტულად არქვევს მოცემული სიტუაციისათვის მართვის სტრუქტურისა და ხერხების ოპტიმალურ გარიანტებს [5, გვ. 18-22].

სიტუაციური ანალიზის თვალსაზრისით, ადმინისტრაციულ-სახელმწიფო უკედა მოცემული მეთოდოლოგია ორსაფეხურიანი პროცესით წარმოგვიდგება:

1. დასახული მიზნების მისაღწევად მმართველი ირჩევს ერთ ან რამდენიმე მეცნიერულ მეთოდს: სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზის, მოტივაციური მოდელის, გადაწყვეტილებების მიღების რაოდენობრივი მეთოდები და ა.შ.
2. კონკრეტულ სიტუაციაში მიღებულ ნებისმიერ მართვის მეთოდებს სუსტი და ძლიერი მხარეები აქვთ. მმართველს უნდა შეეძლოს წინასწარ განკვრიტოს თუ რა შედეგები მოჰყვება მის მიერ არჩეულ მეთოდებს.
3. მმართველს უნდა ხელეწილებოდეს სიტუაციის სწორი ინტერპრეტირება. უნდა განსაზღვროს თუ რომელი ფაქტორი არის უფრო ეფექტური მოცემულ სიტუაციაში და რა შედეგი არის უფრო ეფექტური მოცემულ სიტუაციაში, და რა შედეგი შეიძლება მოყვეს ერთ ან რამდენიმე ფაქტორის შეცვლას.
4. მმართველს უნდა შეეძლოს კონკრეტული მექანიზმების გამოყენება კონკრეტული სიტუაციის პირობებშიც კი უარყოფითი ეფექტების აღმოფხვრისათვისაც.

აღსანიშნავია, რომ სიტუაციური ანალიზის მეთოდოლოგიამ მნიშვნელოვნად გაზარდა თეორიული სისტემის გამოყენების ბაზა. ვფიქრობთ, სწორედ სიტუაციური აზროვნების განვითარებასთან მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სახელმწიფოებრივი მეთოდოლოგიის წინსვლა.

სახელმწიფო მართვის კვლევისას ფართოდ გამოიყენება ისტორიული მეთოდი, რომელიც ისტორიული ცნობებით სახელმწიფო მართვის ტენდენციების გამოვლენა ხდება. მეტნაკლებად გამოიყენება, ასევე კონკრეტულ-სოციოლოგიური მეთოდები, სოციალურ-რაოდენობრივი, სამართლებრივი და იმიტაციის მეთოდები [2, გვ. 55-56]

ამრიგად, სახელმწიფო მართვის მეცნიერება მზარდი მეცნიერებაა, რომლის თეორიები და მეთოდოლოგიაც შესაბამისად იხვეწება და ვითარდება.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Трапезников В.А. Управление и научно-технический прогресс. М. 1983
2. Чиркин В. Е, Государственное и муниципальное управление. М. 2003
3. American Public Administration . N.Y. 1975
4. Dimoch M. Philiosophy of Administration. N. Y. 1978
5. Heady F. Public Administration . N. Y.1991

6. Somit A., The Development of American political Science.  
N.Y, 1982

### **Summary**

**Temur Todua**

**Shota dogonadze**

**The theory and methodology of Public Administration**

Modern theory of public administration is a new scientific synthesis connected with all branches of scientific studies. The theory of public administration is implemented by administrative institutions at various levels using public administration technologies in staff training and recruiting .

During the studying period different general and specific scientific approaches are used.

Systematic and Situational methods of analysis are of vital importance; Historical, sociological and legal methods are widely applied.

### **Резюме**


**Темур Тодуа**

**Шота Догонадзе**

**Теория и методология государственного управления**

Современная теория государственного управления это новый научный синтез, имеющий необходимое отношение ко всем областям знания. Теорией государственного управления занимаются организации государственного управления на разных уровнях . подготовка и рекрутование управленческих кадров, с техникой государственного администрирования.

При изучении государственного управления используются различные общенаучные и специальные методы. Среди научных методов важное значение имеют системные ситуационные анализы. Широко используются исторические, конкретно-социологические, социально-качественные, правовые и другие методы.



პოლიტიკური აზროვნების დასაწყისი კაცობრიობის პირველ ციფრიზაციათა წარმოშობას უკავშირდება. საზოგადოებრივი ევოლუციის კალობაზე თავდაპირველი პოლიტიკური წარმოდგენები სულ უფრო იხვეწებოდა და მოძღვრებით ხასიათს იძენდა. ეს პროცესი მკაფიოდ უკავშირდება ცალკეული ერის იმ სოციალურ-ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და საერთო კულტურულ თავისებურებებს, რომელშიც იგი ყალიბდებოდა და ვითარდებოდა. ამითაა განკირობებული მსოფლიო პოლიტიკური კულტურის მრავალფეროვნება, მაგრამ ეს საგანძური მრავალსაფეხურიანიცაა. ამიტომ მისი მეცნიერული შემეცნება შესაძლებელია მხროდ განვითარების ყველა ეტაპს თანმიმდევრული შესწავლით.

ჩვენი საკვლევი თემის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების გაგებისთვის აუცილებელია გავარკვიოთ მისი ანალიზის კულტურული ჩარჩოები. მენეჯმენტი არ წარმოადგენს ჩაკეტილ მოღვაწეობას, ვინაიდან მენეჯერი მართავს თავის ორგანიზაციას და იდებს გადაწყვეტილებებს გარკვეული კულტურული ფასეულობებისა და ინსტიტუტების ნაკრების ზემოქმედებით. მენეჯმენტს აქვს ღია სისტემის ხასიათი, რომელშიც მენეჯერი ზემოქმედებს თავის გარემოცვაზე და, თავის მხრივ, ხვდება ამ გარემოცვის ზემოქმედების ქვეშ. მმართველობითი აზრი არ ვითარდება კულტურულ ვაკუუმში, მენეჯერის საქმიანობაზე ყოველთვის მოქმედებს არსებული კულტურა.

ლიტერატურაში კულტურას ხშირად ყოფენ როგორც აღმოსავლურ და დასავლურს. აღმოსავლური და დასავლური კულტურების შეპირისპირება აჩვენებს მნიშვნელოვან განსხვავებას ბევრ საბაზო მახასიათებლებში. თავისი არსით აღმოსავლური კულტურა წარმოადგენს სინთეტიკურს, შექმნილს განსხვავებული რელიგიური და ფილოსოფიური

სისტემების თანარსებობის საფუძვლზე, და ასახავენ სამყაროზე განსხვავებულ შეხედულებებს. (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 1.**

<b>დასავლური კულტურა</b>	<b>აღმოსავლური კულტურა</b>
• ანალიტიკური	• სინთეტიკური
• ინდივიდუალისტური	• კოლექტივისტური
• კონკურენტული	• კორპორაციული
• წინააღმდეგობრივი	• არაწინააღმდეგობრივი
• ზუსტი	• განუსაზღვრელი
• უსახური	• პირადული
• საზოგადოებრივად მოაზროვნე	• ფრაქციონულად მოაზროვნე
• უპირატესობა ენიჭება კონტრაქტს	• უპირატესობა ენიჭება არანათელ შეთანხმებას
• პატივს სცემს ადამიანის კერძო სამყაროს	• იჭრება ადამიანის კერძო სამყაროში
• აბსოლუტური	• რელიატიური
• ინტელექტუალური	• ემოციონალური
• არგუმენტირებული	• ჰარმონიული
• ეგოცენტრისტული	• კონფორმისტული
• ლოგიკური	• არა ლოგიკური

კულტურა – ეს არის ადამიანისა და საზოგადოების შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთობლიობა და შედეგი, ხორცებსხმული მატერიალურ და სულიერ ღირებულებებში.

კულტურის დეფინიცია თავისთვად განსაზღვრავს ანალიზის სფეროს, მაგრამ არ იძლევა ყოველი კონკრეტული კულტურის ანალიზის მეთოდებს. ამისთვის აუცილებელია იმ არსებობითი ნიშნების გამოყოფა, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ადამიანის ორგანიზაციულ ქცევასთან.

ადამიანური ქცევა წარმოადგენს წარსულისა და თანამედროვე კულტურული ძალების პროდუქტს, ხოლო მეცნიერების ისეთი სფერო, როგორიცაა მენეჯმენტი წარმოადგენს წარსულისა და აწმეოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ძალების შედეგს. ვინაიდან კულტურის სწორედ ეს სფეროები უშეალო გამოყენებით მიმართებაში არიან მენეჯმენტთან.

I. – კულტურის ეკონომიკურ ასპექტს წარმოადგენს ადამიანის დამოკიდებულებას რესურსებისადმი. რესურსები შეიძლება იყოს ბუნებრივი ან თვით ადამიანის მიერ წარმოებული. ეს ტერმინი აღნიშნავს როგორც ხელშესახებ, აგრეთვე იმ ხელშეუხებელ ძალისს მეშვეობას, რომელთა გამოყენებაც შემთხვევაში გარკვეულ შედეგს იძლევა.

ფიზიკური რესურსები თავის თავში შეიცავს მიწას, შენობებს, ნედლეულს, შუალედურ პროდუქტებს, ინსტრუმენტებსა და მოწყობილობებს, აგრეთვე იმ ხელშესახებ ობიექტებს, რომლებსაც იყენებენ ადამიანები და ორგანიზაციები. რესურსებს მიეკუთვნებიან აგრეთვე ადამიანური აზრები და ძალისს მეშვეობა, იმიტომ რომ ისინი გეგმავენ, აგროვებენ, ფორმას აძლევენ და ქმნიან იმ სხვა სახეებს, რომლთა შედეგს წარმოადგენს პროდუქციის ან მომსახურეობის წაემოება.

ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს ერთი მხრივ, შეზღუდული რესურსებისა და, მეორე მხრივ, ეკონომიკური მიზნების სიმრავლის პრობლემა. ისტორიაში შემოგვინახა, პროდუქტებისა და მომსახურების წარმოებისა და განაწილებისათვის საჭირო, დეფიციტური რესურსების მობილიზების მრავალი ფორმა. ძირითადად არის სამი მეთოდი: ტრადიციული, საკომანდო და საბაზო.

- ტრადიციული მეთოდი – ოპერირებს წარსულის საზოგადოებრივი პრინციპებით, როდესაც ტექნოლოგიები ძირითადად სტატიკურია, დაკავებული თანამდებობები მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას, სოფლის მეურნეობა დომინირებს მრწველობაზე, ხოლო სოციალური და ეკონომიკური სისტემები პრაქტიკულად უცვლესლად რჩებიან.
- საკომანდო მეთოდი წარმოადგენს რომელიმე ცენტრალური ორგანოს ან ორგანიზაციის ნების თავზე მოხვევას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გაანაწილონ და გამოიყენონ რესურსები. ეკონომიკური მთავარსარდალი ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს მონარქი, დიქტატორი ან კოლექტივისტური ცენტრალური დაგეგმარების ორგანიზაცია. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებები იმის შესახებ, თუ რა უნდა ეწარმოებინათ, როგორი უნდა ყოფილიყო ფსექტი და ხელფასი, როგორ უნდა განაწილებულიყო საქონელი და მომსახურეობა, მიიღებოდა ცენტრალიზებული წესით.
- საბაზო მეთოდი – ეყრდნობა რესურსების განაწილება ძალისა და გადაწყვეტილებების უსახო ქსელს. ფასები,

ხელფასები და საპროცენტო განაკვეთები დგინდება ვაჭრობის პროცესში, მათ შორის ვისაც აქვს პროდუქტები და მომსახურება და იმათ შორის, ვისაც მათში აქვს საჭიროება. ამგვარად ყველა რესურსი პოულობს საუკეთესო გამოყენებას და ადარ არსებობს საჭიროება რამე ცენტრალური ორგანოს ჩარევისათვის.

თანამედროვე საზოგადოებაში ადგილი აქვს ტრადიციული, სკომანდო და საბაზრო სისტემების შერეულ ელემენტების.

- განსხვავებულ ფუნქციებს ასრულებს მენეჯერი ამ სისტემებში: ტრადიციულად – ორიენტირებულ ეკონომიკაში – მენეჯერის როლი შეზრულებულია წინამდებარე მითითებებით, პრინციპებით;
- საკომანდო ორიენტაციის ეკონომიკაში – მენეჯერი წარმოადგენს ზემოთ მიღებული გადაწყვეტილებების უბრალო შემსრულებელზე;
- საბაზრო ორიენტაციის ეკონომიკაში – მენეჯერს ეძლევა საშუალება ნოვატორულად გამოიყენოს რესურსები მრავალი მიზნის მისაღწევად.

II. – სოციალური ასპექტი ჩადებულია ადამიანების ურთიერთობებში არსებული კულტურული გარემოს ფარგლებში. ადამიანი არ ცხოვრობს მარტობაში, იგი უპირატესობას ნახულობს ადამიანურ გაერთიანებებში, რათა გადარჩეს ან მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. ჯგუფების ფორმირებაში საწყის მიზნის წარმოადგენს განსხვავებული მოთხოვნილებების, შესაძლებლობებისა და ღირებულებების მრავალი ადამიანის გაერთიანებების წარმოქმნა. ამ მრავალგვაროვნების გარეთ ნებისმიერი ერთგვაროვნება უნდა განვითარდეს, ან ჯგუფი არ იქნება სიცოცხლისუნარიანი. ამგვარად მონაწილეები ქმნიან თავისებურ კონტრაქტს, რომლითაც განსაზღვრულია ზოგიერთი ზოგადი წესი და საშუალებას იძლევა შეთანხმდნენ იმის თაობაზე თუ როგორ უნდა მოიქცენ ჯგუფის შესანარჩუნებლად. დაუწერელი, მაგრამ მიუხედავად ამისა, სავალდებულო კონტრაქტი განსაზღვრავდა სხვა ადამიანების შესაძლო ქცევას და შესაძლებელს გახდიდა ყოველი ინდივიდის შესაძლო რეაციის შეფასებას. მასში შეიძლება ყოფილიყო ზოგიერთი შეთანხმება იმის შესახებ, თუ უფრო კარგად როგორ უნდა აწარმოონ და შეათანხმონ თავიანთი მოქმედებები დასახული ამოცანის შესასრულებლად, იქნება ეს ეკონომიკური პროდუქტის შექმნა, თუ სოციალური ონამეგობრობის დაქმაყოფილების მიღწევა.

ღირებულებები, ანუ ქცევის მოცემული ტიპის შესაბამისობის განსაზღვრის კულტურული სტანდარტები,

წარმოადგენენ სოციალური ურთიერთომოქმედების სხვა ნაწილს. დირექტულებები იცვლებიან დროის ცვალებადობასთან და კულტურის შეცვლასთან ერთად. მენეჯერის მოქმედებაზე გავლენას ახდენენ ურთიერთობები პიროვნებასა და ჯაფუს შორის, აგრეთვე კულტურის მოცემულ ტიპში წამყვანი სოციალური დირექტულებები.

III. – კულტურის პოლიტიკური ასპექტი შეიძლება განხილული იყოს ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობების კუთხით: იგი თავის თავში შეიცავს სოციალური წესრიგის დამყორების, სიცოცხლისა და საკუთრების დაცვის პოლიტიკურ ღონისძიებებს. სახელმწიფოსა და წესრიგის არ არსებობას ანარქიას უწოდებენ: მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში არსებობს რადაც შესაძლებლობა უგონო ადამიანისაგან გონიერი ადამიანის დასაცავად, საბოლოო შედეგი მაინც იქნება სრული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ქაოსი.

სადაც იქნება წესრიგი, იქ დასრულდა ანარქია. წესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკურმა ინსტიტუტებმა შეიძლება მიიღონ სხვადასხვა ფორმები, დაწყებული ტიპიური სახელმწიფოთი და მონარქიით ან დიქტატურით დამთავრებული. პოლიტიკური შეხედულებები ადამიანის ბუნების შესახებ იცვლება ერთიდან მეორე უკიდურესობამდე: ადამიანი როგორც თვითმართვადი სისტემა – როდესაც ერთი ადამიანი ან მმართველი ორგანო თავიანთ ნებას თავს ასვევნ დანარჩენებს და მიაჩნიათ, რომ ადამიანს არ შეძლია, ან არ სურს მართოს თავისი თავი.

ისეთი ცნები, როგორიცაა საკუთრება, კონტრაქტები და მართლმაჯულება წარმოადგენენ საკუთრება, კულტურის პოლიტიკური ასპექტის განხილვისას. დემოკრატიის პირობებში ადამიანს აქვს კერძო საკუთრების, სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლა არ შესვლის და მართლმსაჯულებაში სააპელაციო სისტემის უფლება.

დიქტატურის ან მონარქიის პირობებში კერძო საკუთრების ფლობისა და გამოყენების უფლება მკაცრად არის შეზღუდული, სახელშეკრულებო უფლება ლიმიტირებულია, ხოლო მართლმსაჯულების სისტემა დამოკიდებულია ხელისუფლების მფლობელთა კაპრიზებზე.

მენეჯმენტის კულტურული როდი იმყოფება შემდგენ ფაქტორების გავლენის ქვეშ: მმართველობის ფორმა, საკუთრების ფლობა არ ფლობის შესაძლებლობა, საქონლის წარმოებისა და გავრცელების მიზნით საკონტრაქტო ურთიერთობებში შესვლის შესაძლებლობა, საჩივრების გადაწყვეტის სააპელაციო მექანიზმი.

ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ასპექტები ანალიზის სასარგებლო საშუალებებს წარმოადგენს მმართველობითი აზრის განვითარების კვლევის დროს. მენეჯერი მისი გარემომცველი პულტურული გარემოს ზემოქმედების ქვეშ იმყოფება, ხოლო რესურსების განაწილებისა და გამოყენების გზები ეკოლუციას განიცდის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ღირებულებების შესახებ წარმოდგენების ცვლილებასთან ერთად.

სიტყვა „მწერალენტი“ თავის საფუძველში შეიცავს ლათინურ ძირს „manus“-ს ხელს, რაც თანხმოვანია ქართული „ხელმძღვანელობის“. ჟღერადობის მიხედვით მასთან ახლოს დაბა აგრეთვე სიტყვა „მართვა“ ანუ ვიდაცის ქცევის წარმართვა.

თანამედროვე ინტერპრეტაციით მენეჯმენტი არის მეცნიერების, ხელოვნებისა და პრაქტიკის სფერო, რომელიც განეკუთვნება ორგანიზებული ფორმებით მოქმედ სხვადასხვა კოლექტივებში ადამიანების მართვას.

მენეჯმენტი როგორც მოღვაწეობა – არის ზემოქმედების, მოწესრიგებისა და ორგანიზებულობის ხერხები და პროცესები. ეს პროცესები შეიძლება შეიცავდნენ მოღვაწეობას მიმართულს ადამიანებსა და მათი კოლექტივების ფსიქოლოგიური მითითებების ჩამოყალიბებაზე, მათ დამოკიდებულობაზე საკუთარი მოღვაწეობისადმი, ხელმძღვანელობის მართვითი მოღვაწეობისადმი და სხვა.

მენეჯმენტი – არის კონკრეტული მიზნების რეალიზაციისათვის საჭირო ყველაზე გამოსადეგი ფორმებისა და პროცედურების ორგანიზაციის არჩევა.

მენეჯმენტი განუყოფლადაა დაკავშირებული მენეჯმენტის სუბიექტის მიერ, მართვის პროცესში, იმ კერძო და უფრო ზოგადი გადაწყვეტილებების მიღებასთან, რომლებითაც ის ხელმძღვანელობს მართველობითი მოღვაწეობის განხორციელებას, მართვის ყაიდასთან და სტილთან.

მენეჯმენტი საშუალებას იძლევა გადაწყვეტილი იქნას მთელი რიგი კონკრეტული პრობლემები:

- განისაზღვროს მართვის მიზნები და ამოცანები;
- დაიყოს ამოცანები კონკრეტული სახის ოპერაციებისათვის;
- სხვადასხვა ქვედანაყოფების ურთიერთქმედების კოორდინირება;
- იერარქიული სტრუქტურის სრულყოფა;
- გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპტიმიზაცია;

- ხელმძღვანელობისა და მოღვაწეობის მოტივაციის ეფექტური სტილის ძიება.

მართვა, როგორც ადამიანური მოღვაწეობის განსაკუთრებული სახე წარმოიქმნა პირველი ხელოვნური ერთობების (მონადირეთა ჯგუფი, სამეზობლო თემი, სახელმწიფო) გაჩენისთანავე.

პირველი სახელმწიფოების შექმნის პროცესში გაჩნდა პროფესიონალი მართვის სპეციალისტების პირველი ფენა – სოციალური მენეჯერები. ფაქტურად ჩვენ შეგვიძლია პირველ მმართველებს გუწოდოთ მენეჯერები, ვინაიდან მათი ორგანიზაციული მოღვაწეობა მიმართული იყო სოციალურ ორგანიზაციებზე, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენენ სამეურნეო ორგანიზაციებსაც. სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებამ გამოიწვია მმართველობითი პრაქტიკის მნიშვნელოვანი ცვლილებები. სახელმწიფოები წარმოადგენენ როგორც ორგანიზაციებს, რამაც გამოიწვია მმართველობითი პრაქტიკის განვითარება.

### **შრომის საზოგადოებრივი დანაწილება**

#### **პრობლემის ტრადიციული ხედება**

I – შრომის პირველადი დანაწილება ხორციელდებოდა სქესისა და ასაკის მიხედვით. იგი დაკავშირებული იყო ფიზიოლოგიურ სხვაობებთან და უნართან შეესრულებინათ სხვადასხვა სახის სამუშაოები. მამაკაცები დაკავებულნი იყვნენ ფიზიკურად მძიმე სამუშაოებზე, ქალები და მოზარდები კი შედარებით უფრო მსუბუქი საქმით. ამასთან, მოზარდები ასრულებდნენ იმ სახის საქმიანობას, რომლებიც მოითხოვნ ნაკლებ ცოდნას და გამოცდილებას, ხოლო ქალები ასრულებდნენ კერის შენარჩუნების მოვალეობას და უვლიდნენ მცირეწლოვან ბავშვებს. ამგვარად, შრომის პირველ საზოგადოებრივ დანაწილებას ჩვენ შეიძლება უწოდოთ ფიზიოლოგიური.

II – შრომის მეორე საზოგადოებრივი დანაწილება უკავშირდება მიწათმოქმედების გამოყოფას მესაქონლეობისაგან ან პირიქით. შრომის ეს სპეციალიზაცია მნიშვნელოვანწილად განისაზღვრებოდა გეგრაფიული ფაქტორებით და იგი ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც დარგობრივი, შიდაბარულები.

III – შრომის მესამე საზოგადოებრივი დანაწილება დაკავშირებულია ხელოსნობის მიწათმოქმედებისაგან გამოყოფასთან. ლითონისაგან დამზადებული შრომის იარაღების გაჩენის შემდეგ სულ უფრო და უფრო რთული ხდება მათი შექმნა; მათი წარმოების პროცესი მოითხოვს

განსაკუთრებულ ლითონებს, ტექნოლოგიებს და საქმის ცოდნას. შრომის ამ დანაწილებას ჩვენ შეგვიძლია უწოდოთ სამრეწველო ან უბრალოდ საწარმოო. თავისი არსით მოელი აგრარული წარმოება არის მხოლოდ ბუნების აღწარმოება და მხოლოდ ხელოსნობის გამოყოფის შემდეგ ადამიანი ქმნის ცალკე დარგს, რომელშიც იგი ქმნის, აწარმოებს იმას, რაც არ არსებობს ბუნებაში.

IV – შრომის მეოთხე საზოგადოებრივ დანაწილებად ითვლება ვაჭრობის გამოყოფა. შრომის ეს საზოგადოებრივი დანაწილება დაკავშირებულია არა უშუალოდ წარმოებასთან, არამედ მის გარშემო მოძრაობასთან.

V – და ბოლოს, ყურადღება უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე კიდევ ერთ შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას – განსაკუთრებულად ფასეული ჯგუფის ან ფენის გამოყოფას.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე IV ათასწლეულის დასასრულისთვის ეგიპტესა და შემერში უკვე იღპენ საგრძნობლად დიდ მოსავალს. ეს კი ნიშნავს, რომ თითოეული ადამიანის შრომა აწარმოებს უფრო მეტს, ვიდრე საჭიროა თვით მისი გამოკვებისათვის. თემს უკვე შეუძლია, შრომისუნარიანების გარდა, გამოკვებოს არა მარტო შრომისუნარინი, არამედ მას უკვე შეუძლია შექმნას საკმარისი სურსათ-სანოვაგის რეზერვი, რათა თავისი შრომისუნარიანი ადამიანების ნაწილი გამოანთვისუფლოს სასოფლო სამეურნეო შრომისგან.

ბუნებრივია, რომ ზედმეტი პროდუქტის გაჩენის მომენტისთვის მისი ოდენობა არ იყოს საკმარისი იმისთვის, რათა ჭარბი რაოდენობა გადანაწილებულიყო ყველაზე. ამავდროულად ტერიტორიულ თემში ყველას არ ჰქონდა ერთნაირი შესაძლებლობა უზრუნველყოფით თავისი თავი სხვების ხარჯზე. ყველაზე ხელსაყრელ მდგრამარებელი აღმოჩნდნენ ერთის მხრივ სამხედრო ბელადი და მასთან დაახლოებული პირები (გარემოცვა), მეორეს მხრივ – მთავარი ქურუმი. ზოგ შემთხვევაში ბელადი და ქურუმი შეიძლება ყოფილიყო ერთი და იგივე პიროვნება. კლასობრივი საზოგადოების წარმოქმნა ექვემდებარება მკაცრ ლოგიკურ კანონებს. საწარმოო ძალებისა და საზოგადოების კულტურულ – იდეოლოგიური ზრდის საუკეთესო და მნიშვნელოვანი განვითარებისთვის აუცილებელია იმ პირების არსებობა, რომლებიც განთავისუფლებული არიან მწარმოებლური შრომისგან. ეს არ ნიშნავს, რომ საზოგადოება შეგნებულად ათავისუფლებს მწარმოებლური შრომისგან სწორედ საუკეთესო ორგანიზატორებს, ყველაზე ღრმად მოაზროვნებს, ყველაზე

შესანიშნავ ხელოვანებს – არამც და არამც. ჭარბ პროდუქტებს, რომელსაც მოაქვს მწარმოებლური შრომისაგან განთავისუფლება, ხელში იგდებენ არა ისინი, ვისაც შეუძლიათ მისი ყველაზე რაციონალური გამოყენება, არამედ ისინი, ვისაც შეუძლიათ. ისინი, ვის ხელშიც იმყოფება ფიზიკური, შეიარაღებული ან იდეოლოგიური ძალა თავის თავზე იდებენ საორგანიზაციო ამოცანებსაც. მათი უმრავლესობა, საზოგადოებისთვის უსარგებლოდ, ახდენს სხვისი შრომის ექსპლუატირებას, მაგრამ მათში რაღაც გარკვეულ პროცენტს შეადგენენ ადამიანები, რომლებიც ნამდვილად ხელს უწყობენ საზოგადოების ტექნიკურ და კულტურულ პროგრესს.

### პრობლემის მმართველობითი ხედვა

პირველი ადამიანები, რომლებიც საზოგადოებამ გაანთავისუფლა უშუალო მწარმოებლური შრომისგან იყვნენ:

- ბელადები (მხედარმთავრები ომის დროს და ოქმის წარმომადგენლები, სამყაროს შეუცნობელი ძალების – ღმერთების წინაშე).
- ქურუმები (თემის წარმომადგენლები ღმერთებთან, მაგიური ქმედებით უზრუნველყოფნენ სულების მფარველობას უმნიშვნელოვანეს საქმეებში; მორწყვის, ანუ მატერიალური კეთილდღეობის საფუძვლის, ორგანიზატორები).

ამგვარად, პირველი, მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეები, რომლებიც განთავისუფლდნენ მწარმოებლური შრომისგან, იყვნენ ორგანიზატორები, მმართველები, სოციალური მენეჯერები, რომლებსაც იმ შორეულ დროში უწოდებდნენ ქურუმებს და ბელადებს, შემდეგ – მეცნიერებსა და ფარაონებს და ბოლოს დღეს სახელმწიფოს პრეზიდენტებს, პარლამენტის პალატების სპიკერებს, კომპანიების პრეზიდენტებს და მენეჯერებს.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი „მენეჯმენტის ისტორიის“ კურსის მსვლელობაში თქვენ არაერთხელ დარწმუნდებით თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საზოგადოების ისტორიაში მმართველობას და მენეჯმენტს. თქვენ დარწმუნდებით პიტერ დოკუკერის სიტყვების მართებულებაში. პიტერ დორიუკერის, მსოფლიოში აღიარებული ავტორიტეტი მმართველობითი კონსულტაციების სფეროში, აზრით მენეჯმენტი – ეს არის მოღვაწეობის განსაკუთრებული სახე, რომელიც არაპროგნოზირებულ ბრძოს გარდაქმნის ეფექტურ, მიზანმიმართულ და მწარმოებლურ ჯგუფად.

ჩვენი კურსი დავიწყოთ მესოპოტამიური ცივილიზაციის განხილვით. გნახოთ თუ როგორ იცვლებოდა მენეჯმენტის

მასშტაბები და სირთულე სახელმწიფოში. ქვემო მესოპოტამიის ანუ შუმერული ცივილიზაციის შესწავლა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ სწორედ აქ მოხდა პირველად კაცობრიობის ისტორიაში პროფესიონალური მენეჯმენტის მექანიზმის ჩამოყალიბება.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულში შუმერის ეკონომიკური აღმავლობა განაპირობებული იყო სამიწათმოქმედო მეურნეობის განვითარებით ირიგაციისა და ლითონის უფრო ფართო გამოყენების ბაზაზე. იქმნება ფართო სარწყავი ქსელი ქვეყნის მთელი სამხრეთ ნაწილის მაშტაბით. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია სელოსნობის მაღალი დონე. პირველ ადგილზე მეტალურგიული წარმოებაა. შუმერი ოსტატები დაეუფლენ დნობის და რჩილვის მეთოდებს. სპილენძისაგან ამზადებენ შრომისა და საბრძოლო იარაღს. ისწავლეს ბრინჯაოს მიღებაც. მიმდინარეობს გაჭრობის გამოყოფა სელოსნობისაგან. თემს გამოყენენ სპეციალური მოვაჭრეები, რომლებიც დასაქმებული არიან საქონლისა და პროდუქტების გაცვლით. ვითარდება ვაჭრობა სირიასთან, ამიერკავკასიასთან, ირანთან, სპარსეთის ყურის სანაპიროსთან, სელოსნობა და ვაჭრობა თავს იყრის ქალაქების ცენტრში, იზრდება ქალაქების ფართობი, მატებას განიცდის მათი მოსახლეობის რაოდენობაც.

შუმერის მეურნეობა დაიყო ორ სექტორად:

დიდი საოჯახო სათემო მეურნეობა და მსხვილი მეურნეობები, რომლებსაც ფლობდნენ ტაძრები და სახელმწიფოს თანამდებობის პირთა ზედა ფენა.

ეს მეურნეობები წერილობითი ისტორიის პირველ ასწლეულებში თანდათანობით გამოვიდნენ თვითმართველობის თემური ორგანოების კომპეტენციის სფეროდან.

სატაძრო მეურნეობები იქმნებოდნენ მიწებზე, რომლებიც თავდაპირველად გამოიყოფოდნენ ღმერთების კულტის მომსახურეობისათვის და არა პირადად ქურუმებისათვის. სამელიორაციო – ირიგაციული სამუშაოების ორგანიზაცია ევალებოდათ ქურუმებს და ეს ლოგიკურია: ქურუმების ამოცანას წარმოადგენდა საქულტო ქმედებებისა და ღვთაებათა დამწყალობების გზით თემის ეკონიდენტობის უზრუნველყოფა. იმ დროს არსებული ტრადიციის თანახმად საკულტო და ტექნიკური ქმედებები, ყველაზე დიდი მნიშვნელობის სოციალური ქმედებები ევალებოდათ იმ პერიოდის პატივცემულ და ბრძენ ადამიანებს. შემთხვევითი არ არის, რომ ძველი ეგვიპტისა და შუმერის სახვით ძეგლებში მეფეების წინამორბედი ბელადი, ქურუმი არცოუ იშვიათად

სამიწათმოქმედო წესჩვეულებების აღსრულების მომენტია აღბეჭდილი.

ტაძრების განსაკუთრებული მნიშვნელობა თემისთვის განპირობებული იყო იმით, რომ მათ მეურნეობაში შექმნილი პროდუქტი თავდაპირველად წარმოადგენდა საზოგადოებრივ სადაზღვევო ფონდს, ხოლო სატარო მსხვერპლთ შეწირვაში მონაწილეობა ქმნიდა მოსახლეობის ხორცეულით კვების თითქმის ერთადერთ შესაძლებლობას, ამასთან ერთად სატარო მიწების დიდ მასივში უფრო ადვილი იყო მოწინავე საოჯახო სამეურნეო ტექნიკის გამოყენება და აქვე იქმნებოდა ზედმეტი პროდუქტის მირითადი მასა.

დაახლოებით ჩვენ წელთაღრიცხვებმდე 3000 – 2900 წწ. სატარო მეურნეობა იმდენად რთული და კრცელი ხდება, რომ საჭირო გახდა მისი სამეურნეო საქმიანობის აღრიცხვა, ანუ განხნდა იმის შესრულების აუცილებლობა რასაც დღეს კონტროლისა და აღრიცხვის მმართველობითი ფუნქცია ეწოდება. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში წნდება დამწერლობა. დამწერლობის განხინა მესოპოტამიაში გამოწვეული იყო მეურნეობის მართვის მოთხოვნილებებით და დიდი და რთული მეურნეობის შექმნის შედეგებით.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულში ეფურატის ქვემო დინებასთან ჩამოყალიბებული საზოგადოება წოდებებად იყო დაყოფილი. უმაღლეს წოდებას ეკუთვნოდნენ თავისუფალი თემების წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ მიწაზე სათვეო საკუთრებაში და გააჩნდათ თემური თვითმართველობის უფლება, თავდაპირველად მათ პქონდათ აგრეთვე ბელადის – მმართველის არჩევის უფლება. უფრო დაბალ ფენას მიეკუთვნებოდნენ სატარო და მმართველის მეურნეობის პერსონალის წევრები, ისინი მიწას ფლობდნენ პირობით: ემსახურათ და ემუშავათ, ან საერთოდ არ ფლობდნენ მიწას და იღებდნენ მხოლოდ ულუფას. ამის გარდა იყვნენ მონები, რომლებსაც საქონელივით ექცეოდნენ – უფლებოთა ფენა.

საზოგადოების წოდებრივი დაყოფა ასახავდა თემებისადმი, როგორც სოციალური – სამეურნეო ორგანიზაციებისადმი ადამიანების დამოკიდებულებას. მისი მმართველობითი აზრი მდგრმარეობს შემდეგში: პრაქტიკულად აგზომატური, მინიმალური სპეციალური მმართველობითი ქმედებები როგორც წოდებებს შორის, ასევე მათი შიდა ურთიერთობების დარეგულირებისათვის. ამგვარად საზოგადოების წოდებრივი დაყოფა ამარტივებდა მის მართვას.

ჩვენს ხელთ არსებული წეროების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, უმეტესი სტრუქტურული და ტექნოლოგიური ცვლილებები ხვდებოდა სახელმწიფო სექტორში,

განსაკუთრებით კი მის მთავარ შემადგენელში - სატარო მეურნეობაში. სახელმწიფო ისე ძლიერ იყო დაინტერესებული საკუთარი ბაზის გაფართოებით, რომ მიღიოდა მეოქმებისაგან მიწის შესყიდვაზე, თუმცა ეს დაკავშირებული იყო გარკვეულ ფინანსები სახსრებთან და ორგანიზაციულ საქმიანობასთან. საქმე იმაშია, რომ საოგემო ფონდიდან მიწის შესაძენად საჭირო იყო არამარტო მათი სამეურნეო მფლობელობის თანხმობა, არამედ მათი უახლოესი გარემოცვისთვის. მაგალითად, ცალკე აღებული ჩვეულებრივი ოჯახის მიწის სამფლობელოს გაყიდვა ხდებოდა მხოლოდ მოელი დიდი საოჯახო თემის ნებართვით, გამყიდველი იღებდა თანხას, ხოლო მისი ნაოესვები - სხადასხევანირ ზედმეტ თანხმებს, პირად საკუთრებაში. მოელი დიდ ოჯახიანი თემის მიწის გაყიდვა ხდებოდა მხოლოდ ყველა მონათესავე დიდ ოჯახიანი თემების ნებართვით, რომელთა პატრიარქებს ყავდათ მამრობითი ხაზის საერთო წინაპარი, ამასთან თანხას იღებდა მიწის გამყიდველი თემის პატრიარქი, ხოლო სხვადასხვნანირ ზედმეტ თანხებს, დანარჩენი ნაოესავები დაინტერესებული სახლებიდან. და ბოლოს, თუ ერთდროულად რამოგენიმე სახლის მიწა იყიდებოდა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი მათი მამაკაცები ეკუთხნდნენ ერთზე მეტ გვარს, საჭირო ხდებოდა ტერიტორიული თემის ან მოელი ტომის სახალხო კრების თანხმობა. ნადიმს სახალხო კრებისათვის აწყობდა მყიდველი - მმართველი.

სახელმწიფო სექტორი ივხებოდა საოგემო მიწების გამოსყიდვის ხარჯზე, რაც იწვევდა თემისგან მმართველების უფრო მეტ დამოუკიდებლობას, მმართველობითი პერსონალის რაოდენობრივ ზრდას და შრომის ნაყოფიერების ზრდას. მათში აღინიშნებოდა შრომის უფრო მეტი სპეციალიზაცია, დაქირავებული მუშაკების რაოდენობის ზრდა და შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერება. ყოველივე ეს იყო შედეგი იმ ეფექტური მმართველობის, რომელსაც ახორციელებდნენ იმ დროს ყველაზე კვალიფიციური მენეჯერები - ტამრების მსახურები.

ეროვნული მეურნეობის მართვის სისტემაში ცვლილებების შეტანის ჩვენთვის ცნობილი ერთერთ საინტერესო მცდელობას წარმოადგენდა ძველი წელთაღრიცხვის XXII საუკუნის მეორე ნახევარში გუდეას მმართველობა ლაგასში. მოელი ქვეანა დაყოფილი იყო ოლქებად, რომლებიც შეიძლება დამთხვევოდა ადრე არსებულ ნომებს, შეიძლება არა. ადრე მათ სათავეში ენსები ედგნენ, მაგრამ ეხლა მათ მართავენ უბრალო ჩინოვნიკები, რომლებსაც სამეცნ ადმინისტრაციის ნებასურვილის მიხედვით გადაისროდნენ ერთი ადგილიდან

მეორეზე. მხოლოდ ზოგიერთ სასაზღვრო რაიონში იყო შენარჩუნებული ტრადიციული ხელისუფება.

გუდეამ ცენტრალიზებული გახადა არა მარტო მიწათმოქმედება, არამედ მეცხოველეობაც, საქონელს ძირითადად აშენებდნენ ლერთებისათვის მსხვერპლად შესაწირად, ნაწლობრივ კი ტყავისა და საპნის წარმოებისათვის. ტაძრების ზვარაკით მომარაგება მოიცავდა ყველა ოლქს: ყოველი ოლქი ვალდებული იყო რიგ-რიგობით გარევული დროის განმავლობაში მომარაგებინა ტაძრები, რაც თავისებურ გადასახადს წარმოადგენდა. ერთიანი სამეფო მეურნეობის ორგანიზაციამ, მთელი ქვეყნის მაშტაბით, მოითხოვა ადმინისტრაციული პერსონალის უზარმაზარი რაოდენობა: ზედამხედველები, მწერლები, რაზმის მეთაურები, სახელოსნოების უფროსები, მმართველები, აგრეთვე მრავალი კვალიფიციური ხელოსანი.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ გუდეამ იპოვა ყოფილი სათემო მიწების ეფექტური გამოყენების ხერხი: სახელმწიფო სექტორის მეოხებით მან იხინი გადაანაწილა წვრილ მწარმოებლებს შორის, რომლებიც მეთემჯებთან შედარებით სოციალურად და ტექნოლოგიურად უფრო განათლებულნი და მოძრავნი იყვნენ, ხოლო რაც შეეხება დიდი სახელმწიფო მეურნეობის ეკონომიკური ეფექტურობის საკმარის საკამათო საკითხს აქ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათი აუცილებლობა ნაკარნახვი იყო პოლიტიკური მოთხოვნილებით.

თუ ჩვენ მოგახდენთ გუდეას რეფორმების ანალიზს ეროვნული მეურნეობის, როგორც ორგანიზაციის მართვის თეორიის კუთხით, აგრეთვე საზოგადოების ორგანიზაციის პოზიციიდან, შეიძლება ავღნიშნოთ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი მიგნებები და ინოვაციები. უპირველეს ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ მის მოღვაწეობაში მკაფიოდ შეიმჩნევა საერთო მიზნის პრიორიტეტი მეურნეობისა და საზოგადოების შემადგენელი ელემენტების მიზნებზე. ეს თვალნათლივ ჩანს:

- ცენტრალური სახელოსნოების ორგანიზაცია, რომლებიც თავის პროდუქციით უზრუნველყოფნებს სახელმწიფო სტრუქტურებას, ტაძრებს და თვით მუშაკებს.
- ტრადიციული ადმინისტრაციული სტრუქტურების შეცვლა ტაძრებისთვის ზვარაკის რიგ-რიგობით მიწოდებაში;
- სახელმწიფო მეურნეობაში აუცილებლობის შემთხვევაში, მეთემჯებისა და სამეფო მეურნეობის მუშაკების მიზიდვა.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემოება: ბიუროკრატიული ხელისუფლება გავრცელდა მეთემებზეც. ეს კი ნიშნავს, რომ გუდუამ პრაქტიკურად დაასრულა სახელმწიფოს შექმნა, რამეთუ ხელისუფლებას დაუქვემდებარა თავისი სახელმწიფო გაერთიანების ყველა მკვიდრი მაცხოვებელი.

კრიზისიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალების დემონსტრირება მოახდინა მესოპოტამიურმა ცივილიზაციამ ძველი წელთლრიცხვის XX – XVII საუკუნეებში, როდესაც სანგრძლივი ომების შედეგად დაცემის გზაზე დადგა მესოპოტამიური ცივილიზაციის საფუძველი – ირიგაციული სისტემა. საირიგაციო სისტემის მოშლა მტკიცნეულად აისახა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მეურნეობაზე, თუმცა ეს უკანასკნელი თავიანთი პრიმიტიული ორგანიზაციის გამო უფრო იოლად ახერხებდნენ აღორძინებას.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო მეურნეობის აღდგნის შესახლებლობა მისცა ინიციატივიან მეწარმეებს, რომლებიც მზად იყვნენ თავიანთი ენერგია ჩაედოთ მცირე საწარმოებსა და მეურნეობაში. სახელმწიფო მიწების, სახელოსნოებისა და საგაჭრო საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა კერძო პირების ხელში, თვით ქურუმთა თანამდებობის განაწილებაც კი, სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციიდან გადაიქცა ვაჭრობის, კერძო გარიგებებისა და ანდერძების საგნად. საგარაუდოა, რომ გადასახლების ბევრი სახეობა გადაეცათ კერძო პირებს. ყველა ამ ღონისძიებამ მრავალმხრივი ზემოქმედება მოახდინა ეროვნული მეურნეობის პროცესებსა და მექანიზმებზე. მჩქევარე სამეურნეო ცხოვრება, მზარდი უსაფრთხოება ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოებში იზიდავდა უამრავ ახალმოსახლეებს უახლოესი გარემომცველი სამყაროდან, ეს კი თავის მხრივ უზრუნველყოფდა შემოქმედებითი ენერგიის მატერიალური საშუალებისა და იაფი მუშახელის მოზიდვას. და როგორც შედეგი, განხილულ პერიოდში შეინიშნება სათესი ფართობების (ყამირი და ნასვენი მიწების) გაფართოება, მეურნეობის ისეთი ინტენსიური დარგის განვითარება, როგორიცაა მებაღეობა (ფინიკის პალმების მოშენება), მარცვლოვანი და ზეთოვანი კულტურების უფრო მაღალი მოსავლის მიღება.

მნიშვნელოვანწილად ყოველივე ეს მიღწეული იყო მთელი ქვეწის მასშტაბით საირიგაციო ქსელის გაფართოების გზით. საეციალური ჩინოვნიკები ვალდებული იყვნენ მკაცრად ედევნებინათ თვალყური დიდი და მცირე არხების მდგრმარეობისათვის. თავისი მოღვაწეობის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად ბაბილონის მეფეს მიაჩნდა

გრანდიოზული არხის (პამურაბის მდინარე) გაყვანა. დიდი მასშტაბით ვთორდებოდა მეცხოველეობაც, იყო მსხვილფეხა და წვრილფეხა ცხოველთა ჯოგები. მათ მოსავლელათ მწყემსებს ქირაობდნენ. ხშირად ცხოველებს აქირავებდნენ გარევეული სასოფლო სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად: მინდორში სამუშაოდ, სიმძიმეების გადასატანად და სხვა. ხელოსნობა წარმოდგენილი იყო სხვადასხვა პროფესიებით. ხელოსანთა შრომის ანაზღაურებისათვის დადგენილი იყო მყარი ფასები და მკაცრი პასუხისმგებლობა შესრულებულ სამუშაოებზე.

ძველ მესოპოტამიაში დიდი ორგანიზაციების (სასახლე, ტაძარი) გვერდით არსებობდნენ სხვა პროფესიული ასოციაციებიც: ვაჭრობისა და ხელოსნობის გაერთიანებები, რომლებიც გილდიების მსგავსად იყვნენ აგებულნი, მკითხავთა პროფესიონალური ჯგუფები და ბოროტი სულების გამდევნობა მაღალკალიფიციური სპეციალისტები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. დოდონაძე შოთა. მენეჯმენტის თეორიული კონცეფციებისათვის //ხელისუფლება და საზოგადოება. 2007. №2.
2. ბალათურია გიორგი. სახელმწიფო პოლიტიკა (თავი 5,6,8,9). თბილისი. 2002
3. Кравченко А.И. История менеджмента М., 2000
4. История менеджмента. Учебное пособие. /Под редакцией Д.В. Валового/. М.19
5. Кезин А.В. Менеджмент: методологическая культура: Учебное пособие. М., 2001
6. Управление - это наука и искусство: А. Файоль, Г. Эмерсон, Ф. Тейлор, Г. Форд. М., 1992
7. Уткин Э.А. История менеджмента. М.1997
8. Вебер М. Протестантская этика и дух капитализма. Избранные произведения. - М., 1990.
9. Мескон М.Х., Альберт М. Хелоури Ф. Основы менеджмента. М. 1992.
10. Вачугов Д., Весник В. Из истории менеджмента. // Социально-политические науки, 1993, 3
11. Фалмер Р. Энциклопедия современного управления. В 5 томах. М., 1992.

**Otar Kochoradze**

**Ivane Bejashvili**

**From a history of management**

The knowledge of the past experience helps to realize specificity of modern management and develops aspiration to expect the future. At the same time, the knowledge of the history of management defines opportunities of its effective perfection. It is important for the Georgian scientists dealing with theorist and practice of management. These scientists face the task of creating national model of management. Therefore special attention should be given to the study of a history of management in our country.

**Резюме**

**Отар Кочорадзе**

**Иване Бежашвили**

**Из истории менеджмента**

Знание прошлого опыта помогает осознать специфику современного менеджмента и развивает стремление предвидеть будущее. Вместе с тем, знание истории управления определяет возможности его эффективного совершенствования. Оно имеет большое значение для грузинских теоретиков и практиков менеджмента, перед которыми стоит задача создания национальной модели управления. Поэтому особое внимание следует уделить изучению истории менеджмента в нашей стране.

## მარინა ქურდაძე

**სისტემური მიღგომა და სისტემური  
აზროვნება  
ეკონომიკური პროცესების მართვაში**

სისტემური მიღგომა ეკონომიკური პროცესების მართვაში (ეპმ) გულისხმობს თითოეული ეკონომიკური ობიექტის, მოვლენისა და პროცესის შესწავლას სისტემური კლევის მეთოდებით მთლიანობისა ან მათში მიმღიანევი იმ პროცესების საერთო თუ სპეციფიურ კანონზომიერებათა ინტეგრირებულობის კუთხით, რომელებიც წარმოგვიდგენენ ეკონომიკას, როგორც ერთიან სისტემას. სისტემურ მიღგომას ვიყენებთ ეკონომიკური პროცესების მართვის ანალიზის შეცნობისა და სინთეზისათვის.

ეპმ-ის მიმართ სისტემური, მთლიანობითი მიღგომა ეფუძნება ეკონომიკურ ფაქტორთა არსების, როლის მნიშვნელობისა და ურთიერთდამოკიდებულებას, გააზრებას მათს დამოკიდებულებაში ანუ კომპლექსში. ეს შესაძლებლობას გვაძლევს კომპლექსურად და ყოველმხრივ შევისწავლოთ ეკონომიკური პრობლემას, გამოვყოთ პრიორიტეტები და მოვახდინოთ ეკონომიკური სისტემის ძირითადი პარამეტრების ოპტიმიზაცია.

დღეს, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე სისტემური კრიზისების ხანაში, სისტემური მიღგომის მნიშვნელობა იზრდება, ვინაიდან ამ კრიზისებს შეიძლება დაუპირისპირდეს მხოლოდ მათთან ბრძოლის სისტემური მეთოდები. ეს მიღგომა არის საშუალება იმისა, რომ ამოვიცნოთ სისტემურ წინააღმდეგობათა ხასიათი, გამოვავლინოთ ურთიერთკავშირების სირთულე და შევიმუშავოთ პრობლემების გადაწყვეტის სტრატეგია.

ეპმ-ის მიმართ სისტემური მიღგომა ქვენის აღორძინებისა და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მთავარი პირობაა. ამ მიღგომის გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გლობალური პრობლემების შესწავლისას. ამ პრობლემებს და მათს სისტემურ გააზრებას

ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელიბა აქვს. ისინი იმდენად კომპლექსური ხასიათისაა, რომ მათი გადაწყვეტის მცდელობა დადგბით შედეგს არ მოგვცემს, თუ ერთდროულად არ მოვახდენთ ზემოქმედებას ეკონომიკური სისტემის მრავალ პარამეტრზე.

ეპმ-ის, როგორც ერთიანი სისტემის გარდაქმნის ანუ ტრანსფორმაციის პროცესები დაიყვანება უწინარეს ყოვლისა ეკონომიკური სისტემის სტრუქტურის შეცვლაზე. ეკონომიკური სისტემის სტრუქტურის შეცვლას მისი თითოეული შემადგენელი რგოლის ან მათ შორის კავშირების რაოდენობრივი ცვალებადობა იწვევს. იცვლება ცალკეული ეპური რგოლის ან ყველა შიდარგოლთაშორისი კავშირის ძალა. ეს კავშირები ძლიერდება ან სუსტდება, ან წყდება კიდეც და მათ ადგილს იკავებს ახალი კავშირები. ეკონომიკურ რგოლთაშორის კავშირების მკეთრმა დასუსტებაშ შეიძლება სისტემის მდგრადობის დაქვეითება და შემდგომში კი მისი დაშლა გამოიწვიოს. მთლიანად სისტემური გარდაქმნების კუთხით როგორც სოციალური რეფორმა, ისე რევოლუციური სტრუქტურული გარდაქმნებია, ოღონძ სხვადასხვა მაშტაბისა და სიღრმისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა ის გარდაქმნები, რომლებიც თვისებრივად ახალ სისტემას წარმოშობენ. ძველ სისტემაში მიმდინარე შეერთება-გაყოფის პროცესები რაოდენობრივად გროვდება და რომელიდაც მომენტში ამას შეუძლია მიღებისანოს სისტემის მთლიან თვისებრივ გარდაქმნამდე.

გარდაქმნა შეიძლება გამოიწვიოს გარე გამაღიზიანებელმაც. იმისათვის, რომ მან აამორაოს მთლიანად ეპური სისტემა, აუცილებელია ისეთი მექანიზმი, რომელიც შეცვლის ამას როგორც ეპური რგოლების თვალსაზრისით, ასევე მათი თვისებრივი შემადგენლობით. ეს კი არის რთული პროცესი და მოითხოვს ეპ-ში სიღრმისეულ წვდომას. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ თუ თვით სისტემის შიგნით არსებობს შინაგანი დაძაბულობა. იმის მიუხედავად, თუ რამდენად დიდია ეს დაძაბულობა მით უფრო დაბალი დონის გამაღიზიანებელი მექანიზმი შესძლებს ეპური სისტემის შინაგანი სტრუქტურებიდან ენერგიის გამონთავისუფლებას, მის გარდაქმნას. არსებობს ეპური სისტემის ისეთი გარდაქმნებიც, რომლებიც სტრუქტურულად ერთმანეთის მსგავსია და საბოლოო ჯამში მსგავს საბოლოო შედეგს იწვევენ. ასეთ გარდაქმნებს კონვერგენციულს უწოდებენ.

ეკონომიკური პროცესების მართვაში სისტემურ პროგრესს ახასიათებს ისეთი სტრუქტურული და ფუნქციური

ცვალებადობა, რომელიც სრულყოფს ეკონომიკური სისტემის ორგანიზაციას. სისტემურ პროგრესს თან ახლავს ორგანიზაციის გართულება

ეპ-ში სისტემურ პროგრესს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გარემოსთან კავშირების რაოდენობრივი ზრდა და მრავალფეროვნება. სისტემური პროგრესი მდგომარეობს იმაში, რომ იზრდება სისტემაში მოცემული სასარგებლო ინფორმაციის მოცულობა. რაც უფრო მარტივი ხდება გარემო და რაც უფრო მარტივდება მასთან კავშირები, მით უფრო მარტივდება თვით სისტემა და თუ უკიდურეს ზღვრამდე გამარტივდა, განიცდის რეგრესს.

საერთოდ ცნობილია, რომ ეპ-ური სისტემის თვისებები დამოკიდებულია გარე მომხმარებელზე. თუ დაინტერესება გარედან არ მოდის, სისტემის შესაბამისი თვისება დახსულ სივრცეში ექცევა. ეპ-ური სისტემა ლია შეიძლება იყოს და თავის ამა თუ იმ თვისებას ავლენდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოცემული თვისებით დაინტერესებული გარე მომხმარებელი წნდება, დახურულ სისტემაში კი ეს თვისება ქრება. ამის მაგალითია, დღვევანდელი საქართველოს სინამდვილე: ეკონომიკური მეცნიერების, როგორც სისტემის მიერ მოპოვებული ახალი ცოდნის მიმართ აქაური ეკონომიკა ჯერჯერობით უგრძნობელია. ეკონომიკა ესწრაფვის წამიერ სარგებელს და არ არის ორიენტირებული ფუნდამენტური გამოკლევების შედეგების ათვისებაზე, სამუცნიერო-ტექნიკური გამოკვლევების მიღწევათა დანგრევაზე.

**ეკონომიკური პროცესების მართვაში სისტემური აზროვნების მიზანია** სწორად და მთლიანობაში აღიქვას ეკონომიკური გარემო. მთლიანობაში გაიაზროს დაკვირვებით მოპოვებული ინფორმაცია, შეიცნოს მატერიალური და არამატერიალური სამყაროს კანონები და კანონზომიერებები. ისწავლოს ეპ-ში ამ კანონთა და კანონზომიერებათა გამოყენება. სისტემური აზროვნება ნიშნავს—იაზროვნოს ისე, რომ მთლიან სურათად ხედავდეს საკვლევ ობიექტს თუ პროცესს. ასეთ აზროვნებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადამიანის ინტეიცია და ფარული (მიღმური) ცოდნა.

თუ ახალ ობიექტს ვიკვლევთ და ამისათვის არ გვიყვნის არსებული მოდელები, მაშინ სისტემური აზროვნება, მთლიანობით მიღებომა, ინტეიცია და ფარული (მიღმური) ცოდნა გვეხმარება შევიმუშაოთ ახალი, უფრო ეფექტიანი, მოღელები. მეცნიერებას არ გააჩნია საზომი, რომლითაც სისტემური აზროვნების დონეს გაზომავდა, მაგრამ შეიძლება გამტკიცოთ, რომ სისტემურმა აზროვნებამ უკვე მიაღწია

განვითარების იმ საფეხურს, როდესაც ადამიანი მის ხელთარსებული კონიტური მოდელების გამოყენებით ახერხებს ჩასწვდეს ეპმ-ში.

სისტემური აზროვნება, რომელშიც ინტუიცია და ფარული (მიღმური) ცოდნის ფაქტორები მძლავრობს, იყენებს როგორც ინდუქციურ, ისე დედუქციურ მეთოდებს. შედარებით ჩვეული დედუქციური აზროვნება გულისხმობს იმას, რომ ჯერ განისაზღვრება კომპლექსური სისტემური პრობლემები, შემდეგ კი იძებნება ამ პრობლემების გადაწყვეტა, ხოლო ინდუქციური სისტემური ანალიზის დროს პირიქით, თავდაპირველად ეძებენ ახალ იდეას ან პრინციპულად ახალ კომპლექსურ გადაწყვეტას, შემდეგ კი ცდილობენ ეს გადაწყვეტა მოარგონ შესაბამის პრობლემას.

ეპმ-ში სისტემური აზროვნების პარადოქსებია მთლიანობის და იერარქიულობის პარადოქსები. მთლიანობის პარადოქსთან გვაქს საქმე, როდესაც სისტემის აღწერა შესაძლებელია მისი დანაწევრებით ისეთ “მთლიანობებად” ისეთ ნაწილებად, რომელი ნაწილებიც ჯერ კიდევ ინარჩუნებენ სისტემის მთლიანობით თვისებებს, და ამ ნაწილების აღწერით. ანუ ეს ის შემთხვევაა, როდესაც მთლიანობის თვისებებს, რომლებსაც სისტემა ატარებს, გარკვეულ ზღვრამდე მისი დანაწილებისას ინარჩუნებენ გამოყოფილი ნაწილებიც. მეორე მხრივ, ნებისმიერი მთლიანობითი სისტემა უფრო მაღალი რანგის სისტემის-ზესისტემის ელემენტია ანუ მისი ქვესისტემაა და მისი აღწერა შესაძლებელია ამ კუთხით (როგორც ქვესისტემისა). იერარქიულობის პარადოქსი ამაში მდგრმარეობს.

რაც უფრო რთულია ეპონომიკური სისტემა და რაც უფრო სუსტად არის იგი ფორმალიზებული, ნათელია, რომ მით უფრო ეფექტური იქნება სისტემური აზროვნების ეფექტიანობა.

ცნობილია და ცხოვრებაც ადასტურებს იმას, რომ ეპონომიკური განვითარების ყველა გრძელვადიანი და საშუალოვადიანი პროგრამა, რომელიც კი დედუქციურ მეთოდებს ემყარება, სწრაფად ცვალებად გარემოში უნიადაგო. ეს იმით აისხება, რომ კონსტრუქტივიზმს, რომელიც მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების კონკრეტულ პრაგმატულ მეთოდებს, ადრე შეძენილ გამოცდილებასა და ცნობიერებაში დამკვიდრებულ გარემო პირობებს იღებს საფუძვლად, შემდგომში უხდება განხორციელება სრულიად შეცვლილ პირობებში, რაც მას არ აძლევს პროცესების ეფექტიანი მართვის შესაძლებლობას.

უნდა გამოვიდეთ იქიდან, რომ მმართველობითი გადაწყვეტილების ეფექტიანობის კოეფიციენტი

დამოკიდებულია ასახვის (შეცნობის) შეფარდებაზე იმ ინფორმაციასთან, რომელიც მოცემული ობიექტის შესახებ არის მიღებული და რომელსაც შეიძლება ამ ობიექტის აღწერა ვუწოდოთ

ეს კოეფიციენტი უმაღლესია (ერთს უახლოვდება) მაშინ, როდესაც ადამიანის ცნობიერება, რომელიც მას ბუნებისა და საზოგადოების კანონებისა და კანონზომიერებათა შეცნობის საფუძველზე ჩამოუყალიბდა, სამყაროს მისეული ხედვის იდენტურია (ანუ, პირუკუ თუ ვიტყვით, როდესაც სამყარო მისი ცნობიერების იდენტურია).

სამწუხაროდ ცვალებად გარემოში, მით უფრო თანამედროვე პირობებში, როდესაც ინფორმაციის ოდენობა ყოველწლიურად ორმაგდება, სუბიექტს უძნელდება ორიენტირება და სწორი გადაწყვეტილების მიღება. დამატებით მიღებული ინფორმაცია, რომლის გაცნობიერებასაც სუბიექტი ვერ ასწრებს, უნდა განვიხილოთ როგორც ენტროპის ზრდის წყარო, როგორც ქაოსი, უწესრიგობა. გაუცნობიერებული ინფორმაციის ხვედრი წილის ზრდა, ცხადია, მკვეთრად ამცირებს გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანობის კოეფიციენტს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არცერთი სისტემის ევოლუცია არ ხდება ენტროპიის გარეშე. ენტროპია ევოლუციის და თვითორგანიზაციის გენერატორია

მიწოდებული ინფორმაცია მხოლოდ მაშინ ხდება ნამდვილი ინფორმაცია, როდესაც მას ადამიანი გაიცნობიერებს. ამიტომ აუცილებელია ინფორმაციის ნაკადების სტრუქტურირება და მისი მიწოდება ისეთი ენით, რომელიც მისაწვდომი იქნება აღქმისათვის.

ინფორმაცია ურთიერთქმედების პროცესის სუბსტანციას წარმოადგენს, მისი მეშვეობით მყარდება მიზეზისა და შედეგის კავშირი, რომლის განხორციელების ფორმაა ხდომილება და ყველაფერი აქედან გამომდინარე ეკონომიკური პროცესების მართვაში სისტემური მიღობა და სისტემური აზროვნება დამოკიდებულია ინფორმაციის ნაკადთა სტრუქტურირებასთან, სწორ თრიენტაციასთან, კაუზალობასთან, კორელაციასთან.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Милнер Б.З. Теория организаций М., 2001
2. Минцберг Г. Школы стратегии М., 2000.
3. Новые педагогические и информационные технологии в системе образования, под редакции Е.Полат М., 1994
4. Ромашенко В.М. Принятие решений – ситуации и советы, Киев 1990

**Summary**

**Marina Khurdadze**

**The System Approach in the Process of Economic Order**

The system approach in the process of economic order implies the study of economic objects, processes and phenomena using the method of the system research. The author believes that all the above-mentioned is ruled by some definite order. This order makes the study of economic problems complete.

**Резюме**

**Марина Курдадзе**

**Системный подход и системное мышление в управлении экономических процессов**

В работе рассмотрен полный системный подход к процессу экономического управления, что дает возможность комплексно и всесторонне изучить экономические проблемы, выделить приоритеты, оптимизировать основные параметры экономической системы. Системный подход позволяет определить характер системного сопротивления в периодах системного кризиса в общественной жизни, выявить сложность взаимоотношений и разработать стратегию решения проблемы.

## გასილ ქაჭარავა

### ავტოსტრადების მშენებლობა ეიზენჟაუერის ადმინისტრაციის დროს

დღეს საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა და ეს პროექტი შეიძლება ჯეშმარიტად ისტორიული მნიშვნელობის გახდეს. აქსიომის დონეზეა ცნობილი, რომ გზები ეკონომიკის განვითერების სისხლასარდგვებია. შესაბამისად გზების გარეშე ეკონომიკა ვერ ვითარდება, ამიტომაც რაც უფრო მეტი და კარგი გზებია ქვეყანაში, მით უფრო მეტი შანსი აქვს მისი ეკონომიკის აყვავებას.. მთუმეტეს, რომ კარგი გზები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ქვეყნისათვის, რომელიც თავის ეკონომიკურ წარმატებებს სატრანზიტო ფუნქციასაც უკავშირებს.

ჩქაროსნული მაგისტრალი და, ამავე დროს, მთელი საქართველოს ელექტროენერგიით თანაბარი მომარაგება, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დედაქალაქში თავმოყრის და დანარჩენი ქალაქებისა და რეგიონების დაცრიკელების დამანგრევებულ პროცესსაც შეაჩერებს, რომელიც არა მარტო ჩვენს ეკონომიკას, არამედ საერთოდ ჩვენს სახელმწიფოებრიობას აყენებს უდიდეს ზიანს.

ისიც ადსანიშნავია, რომ თავისი საგარეო პოლიტიკის კურსისა და მეზობლებთან მეგობრული ურთიერთობებიდან გამომდინარე, საქართველო არ გეგმავს აღნიშნული ავტოსტრადების სამხედრო მნიშვნელობით გამოყენებას.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ 1930 იანი წლების გერმანია და 1950-იანი წლების ამერიკის შეერთებული შტატები, როდესაც მართლაც რომ, სახელმწიფოებრივ დონეზე წარმართულმა გრანდიოზული მასშტაბის ავტოსტრადების მშენებლობამ უდიდესი გავლენა მოახდინა ამ ქვეყნების განვითარებაზე.

ხელისფლებაში მოსვლის პირველივე 1933 წელი, ნაცისტური გერმანიის ახალმა ლიდერმა ადოლფ ჰიტლერმა, სწორედ ავტობანების მშენებლობის გრანდიოზულ პროექტს დაუთმო (თუმცა, ავტობანების მშენებლობის აუცილებლობაზე გერმანიაში ჯერ კიდევ 1924 წელს დაიწყეს საუბარი). 1932 წელს კი დასრულდა ავტოსტრადის მშენებლობა, რომელმაც კიოლნი დააკავშირა ბონს. მაგრამ მის გახსნას ისეთი პომპეურობა არ მოყოლოია, როგორიც შემდგომში ნაცისტებმა ისწავლეს). გარდა უშეალო სატრანსპორტო დანიშნულებისა, ამ პროექტის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო გერმანიში არესებული 6 მილიონი უმუშევრის გარკვეული ნაწილის დასაქმება და ისიც საზოგადეოებისათვის მეტად საჭირო საქმით. ამ პროექტის ხელმძღვანელის დოქტორ ფრიც ტოდის ხელმძღვანელობით ნახევრად გასამხედროებული მუშათა კოლექტივები ცალმხრივი მოძრაობის ბრწყინვალე ავტოსტრადებს აშენებდნენ. დასაწყისში ამ საქმეში 30 ათასი კაცი ჩაერთო, შემდეგ მშენებლთა რიცხვმა 70 ათასს გადაჭარბა. ხოლო ავტოსტრადების მშენებლობის დასაწყისს ნიჩბით ხელში პირადად ადოლფ ჰიტლერი ჩაუყარა საფუფელს. ჰიტლერი გეგმავდა 7 500 მილის სიგრძის ავტობანების მშენებლობას. 1938 წლამდე მან ამ ამოცანის მეოთხედი შეასრულდა. ეს ბრწყინვალე ხარისხის ბევრნის ავტობანები დღესაც კი ფუნქციინორებს. რაოდენ პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს, მიუხედავად იმისა თუ რა უბედურება მოუტანა გერმანელ ხალხს და თითქმის მთელ მსოფლიოს ადოლფ ჰიტლერმა, გერმანიაში ბევრს იგი იმ კაცად ახსოვთ რომელმაც ავტობანები ააშენა<sup>1</sup>. როგორც ჰიტლერის პირადი არქიტექტორი, ხოლო 1942 წლიდან შეირადებისა და საომარი პროდუქციის მინისტრი ალბერტ შპეერი აღნიშნავდა ავტობანები ეს ჰიტლერის საყვარელი პროექტი იყო, პარტიული დანიშნულების შენობებისა და ბერლინის აღმშენებლობის პროექტებთან ერთად<sup>2</sup> ბუნებრივია ამ გზების მშენებლობამ ავტონდუსტრიის განვითარებასთან ერთად აქტიურად შეუწყო ხელი მრეწველობის სხვა დარგებსაც. ამ გზებს აგრეთვეს უდიდესი პროპაგანდისტული მნიშვნელობა ჰქონდა და ემსახურებოდა, როგორც გერმანელთა ეროვნული გენიის და ასევე ნაცისტური მთავრობის შესაძლებლობების დემონსტრაციას. ამ მშენებლობის მასშტაბი და ხარისხი უცხოელებზეც უდიდეს გავლენას ახდენდა და გერმანიის საერთაშორისო პრესტიჟის ზრდაზეც იყო გათვლილი (3) როგორც უახლესმა მომავალმა გვიჩვნა ამ გზებს წმინდა ეკონომიკურის გარდა, უდიდესი სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობაც ქონდა. ეს ავტოსტრადები

გერმანიას აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ კვეთდნენ და უდიდესი როლი ითამაშეს გერმანული არმიის გადაადგილებისათვის. თუმცა ძალადობისა და რასიზმის გამარჯვებას ვერც ამ ბრწყინვალე ავტობანებმა შეუწყვეს ხელი.

ამერიკის შეერთებული შტატების სახით გვაქვს უფრო კეთილშობილი მაგალითიც, თუმცა სამხედრო დანიშნულებამ აქაც სერიოზული როლი ითამაშა.

დღიდი ავტომაგისტრალების საკითხი ამერიკაში ჯერ კიდევ 1910-იან წლებში წამოიჭრა. ავტომაგისტრალების ქსელის მშენებლობის აუცილებლობა ამერიკის უზრამაზარმა მანძილებმა და ავტომობილების უზარმაზარმა რაოდენობამ განაპირობეს. ამერიკაში იყო უველაზე მეტი ავტომობილი და ავტომობილის მფლობელიც. მაგალითად 1920 წელს ამერიკაში 9,2 მილიონი ავტომობილი იყო, 1925 წელს უკვე 20 მილიონი ხოლო 1930 წელს 26,7 მილიონი. ასე, რომ ორამდე მანქანა მოდიოდა უველა სამ ამერიკულ ოჯახზე. ავტონდუსტრიამ უდიდესი გავლენა მოახდინა ამერიკულ ეკონომიკაზე. ავტომობილებს ხმარდებოდა ფოლადის წარმოების 20%, რეზინის წარმოების 80 %, შუშის წარმოების 70 % და ა.შ.(4). ამდენი მანქანა, არც ერთ სხვა ქვეყანაში არ არსებოდა (თუმცა პიტლერმა წამოაყენა წინადაღება, რომ ყოველ გერმანელს ან ყოველ შემთხვევაში ყოველ გერმანელ მუშას უნდა ქონდა საკუთარი მანქანა. და მანქანას ესეც დაარქვეს “სახალხო მანქანა.” (ფოლადს ვაგენი) მისი ხიჭოსებრი ფორმაც თვით ადოლფ ჰიტლერმა მოიგონა. ამისათვის, ბრაუნშვაიგის მიდამოებში აშენდა უზარმაზარი ქარხანა, რომელსაც წელიწადში 1,5 მილიონი ავტომიბილი უნდა გამოეშვა და გერმანელ მუშებს შეეძლებოდათ მისი 990 მარკად ყიდვა. ძალაზე კარგად შემუშავებული გეგმა იყო, მაგრამ გერმანიის აგრესიულმა ომებმა და მასთან დაკავშირებულმა ქარხნის პროფილის შეცვლამ ეს პროექტი შეაჩერა.)

შესაბამისად ძველი გზები ამ დატვირთვას ვეღარ აკმაყოფილებდნენ და საჭირო იყო ახალი უზარმაზარი ქსელის მშენებლობა. ამ მასშტაბის მშენებლობას ადგილობრივი ხელისუფლებისა და შტატების ხელისუფლების არც ეკონომიკური და არც ორგანიზაციული შესაძლებლობები არ ეყოფოდა. საჭირო იყო ფედერალური მთავრობის ქმედებანი. ჯერ კიდევ ვუდრო ვილსონის ადმინისტრაციამ გაამახვილა უურადღება ამ თემაზე და 1916 წელს ფედერალური გზების კანონი მიიღეს.. 1921 წელს მიიღეს ფედერალური ავტოსტრადების კანონი, რომელიც გულისხმბდა ყოველ წელს 75 მლნ. დოლარის გამოყოფას გზების

მშენებლობისათვის და ხარჯების ნახევარს ფედერალურ მთავრობას აკისრებდა.

საბოლოოდ ათწლეულის დასასრულს ამაზე 690 მლნ. დოლარი დაიხსარჯა ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მაშინდელი ვაჭრობის მინისტრი პერძერტ პუვერი არ ეთამნებოდა კლასიურ კონსერვატულ ფორმულას, რომელიც ქვეწის სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში ფედერალური ხელისუფლების თითქმის სრულ უმოქმედობას გულისხმობდა და მიაჩნდა, რომ საჭირო იყო ფედერალური ბიუჯეტით დაფინანსებული ე.წ. საზოგადოებრივი სამუშაობის ორგანიზება, განსაკუთრებით გზების მშენებლობის ასპექტებში. ამ მშენებლობას, უმუშევრობის შემცირების მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციაც ეკისრებოდა.

საინტერესოა, რომ ამ სამანქანო რევლუციის დროს, ამერიკის პრეზიდენტს 1923-29 წლებში, კალვინ კულიჯს, არასოდეს ყოლია საკუთარი მანქანა. იგი მხოლოდ გადაგომის შემდეგ იყიდა და მასაც მისი მდგროლი ატარებდა.

ზოგიერთი მონაცემებით ფედერალური ხარჯების წილი გზების მშენებლობაზე 1932 წლამდე არასოდეს ყოფილა 10 პროცენტზე მეტი . ფედერალური წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალი კურსის პერიოდში და 1933 წელს 40 პროცენტს გადააბიჯა. (5)

1938 წელს მიიღეს ფედერალური გზატკეცილების კანონი, რომელიც აგალებდა საზოგადოებრივი გზების ბიუროს შესაწავლა ექვს ხაზიანი ავტოსტრადების მშენებლობის შესაძლებლობა და კონკრეტული გეგმა შეემუშავებინა. ამ ბიუროს შეფმა თომას მაკლონანდმა მოამზადა გარკვეული დასკვნები სახელით “ფასიანი და უფასო გზები”, რომლის მიხედვით უარყოფილ იქნა ფასიანი ავტოსტრადების იდეა. ავტოსტრადები უფასო უნდა ყოფილიყო. მაგრამ ომის საშიშროებიდან გამომდინარე პრობლემების გამო ეს პროექტი მაინცა და მიანც წინ არ წაწეულა.

1944 წელს მიიღებული ფედერალური გზატკეცილების კანონით დაფინანსდა ავტოსტრადების შეკეთება და ამვე დროს შეიქმნა საფუძველი ახალი 40 ათას მილიანი შტატებსშორისო გზატკეცილების ეროვნული სისტემის შექმნისათვის. მაგრამ მაშინ, თვით მშენებლობის დაფინანსებაზე კონკრეტული გდაწყვეტილება არ მიღებულა 1952 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, II მსოფლიო ომში მოკავშირეთა გაერთიანებული ჯარების ყოფილმა სარდალმა დუაებ ეიზენაუერმა გაიმარჯვა. რაც მნიშვნელოვან წილად არა რეპუბლიკური პარტიისადმი, არამედ თვით ყოფილი გენერლისადმი სიმპატიაში განაპირობა (იმავე 1952 წელს, რესპუბლიკელებმა ძლიერ მიაღწიეს

უმრალესობას კონგრესში, ხოლო 1954 წელს კი ძალზე დიდი ხნით, ათწლეულობით, დაგარგეს იგი.)

რესპუბლიკელებს ერთის შერიც სურდათ ახალი კურსის მონაპოვრის შენარჩუნება (შეიძლება არც სურდათ, მაგრამ სხვა გზა არ გააჩნდათ), მეორეს შერიც კი ცდილობდნენ იგი უფრო მეტად ადარ გაედრმავებინათ. მათ ძველი ფასეულობებისათვის ახალი ტონალობის მინიჭება სურდათ.

დინამიური კონსერვატიზმის თეორია, როგორც ეიზენპაუერმა განაცხადა გულისხმობდა ლიბერალიზმს ადამიანთან მიმართებაში და კონსერვატიზმს ყოველივე იმასთან, რაც ფულობან იყო დაკავშირებული.

ამ მსოფელგველობის მიუხედავდ, სწორედ ეიზენპაუერი გამოვიდა ვრცელი და უხვად დაფინასებული ფედერაციულრი ავტომაგისტრალების მშენებლობის პროგრამით. ომიდან დაბრუნებულმა გენერალმა დაასკვნა, რომ გერმანულ ავტომანქებთან შედარებით ამერიკული გზები მეტად უხარისხო იყო. მან თვალნათლივ ნახა თუ რა როლი ითამაშეს ამ ავტომანქებმა გერმანული არმიის მობილურობაში, მოგვიანებით კი როგორც ამერიკული არმია გერმანიის ტერიტორიაზე შეიქრა, თვითონაც გამოცადა ამ ბრწყინვალე ავტომანქების ეფექტურობა და კომფორტი. მას 1919 წელს ჩატარებული, სამხედრო ავტომანქების ტრანსამერიკული საჩვენებელი ავტოგადარბენაც ახსოვდა. უხარისხო მანქანებისა და ცუდი გზების გამო ეს ქარაგანი საშუალოდ საათში 5 მილს გადიოდა.

როგორც პროფესიონალურ სამსედროს, რომელსაც ცივი ომის პერიოდში მოუწია პრეზიდენტობა, მას კარგად ესმოდა, რომ კარგი ავტომაგისტრალები საჭირო იყო მოსახლეობის სწრაფი ევაკუაციისათვის ატომური თავდასხმის შემთხვევაში და ასევე ჯარების სწრაფი გადაადგილებისათვის ამერიკის ტერიტორიაზე ომის შემთხვევაში. როგორც ამერიკელი ისტორიონები ჯონ პატრიკ დიგინსი აღნიშნავს, ქვეყნის უსაფრთხოების ინტერესებმა ძალზე დიდი როლი ითამაშეს ეიზენპაუერის გადაწყვეტილებაში ახალი ავტოსტრადების მშენებლობის საქმეში.(6) მას აგრეთვე მშევენივრად ესმოდა, რომ ხარისხიანი ცალმხრივი მოძრაობის ჩქაროსნული ავტომაგისტრალები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. ამას ისიც დაერთო, რომ ამერიკელთა დიდი ნაწილი გარეუბნებში გადადიოდა საცხოვრებლად. ე.წ. ლევიტაუნებში. ეს იყო ტიპიური და იაფი ასაწყობი სახლებისაგან შექმნილი დიდი უბნები, რომელთა მშენებლობის სისტემა მმებმა უილიამ და ალფრედ ლევიტებმა შეიმუშავეს. 1944 წელს კონგრესის მიერ

მიიღებული სამხედრო მოსამსახურეთა მოწყობის კანონით დემობილიზებულ ჯარისკაცებს უამრავი შედავათი მიეცათ. ერთ-ერთი მათქვანი იყო შედავათიანი სესხები სახლომშენებლობისათვის. შედეგად მიღიონობით ახალგაზრდა ოჯახები შეისყიდა ისინი და გარეუბნებში გადავიდა. გარეუბნებში ცხოვრება კი მანქანისა და შესაბამისად გზების გარეშე შეუძლებელია. მანქანათა რაოდენობაც საოცრად იზრდებოდა. თუ 1946 წელს გაიყიდა 2,1 მილიონი ახალი მანქანა, 1950 წელს უკვე 6,7 მილიონი, ხოლო 1955 წელს 7,9 მილიონი (სანქტერესოა, რომ დღევანდელი ამერიკისაგან განსხვავებით მაშინ ამერიკულ ბაზარზე თითქმის არ იყიდებოდა უცხოური ავტომობილები. მაგალითად 1950 წელს გაყიდული თითქმის 7 მილიონი ავტომობილიდან მხოლოდ 16,336 იყო უცხოური) (7).

კონსერვატორი რესპუბლიკელები თავდაპირეელად ეწინააღმდეგებოდნენ პრეზიდენტის იდეას, მითუმრეს რომ ძირითადად იგი ფედერალური ხარჯებით უნდა დაფინანსებულიყო და მათი აზრით ეს გაზრდიდა ეროვნულ გალს, რაც ტრადიციულ რესპუბლიურ იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდა. როგორც ცხობილი ამერიკელი პუბლიცისტი და მკვლევარი მაქს ლერნერი ამბობდა ყოველი ადმინისტრაცია რწმუნდება, რომ გაცილებით უფრი ადგილია კონგრესს გამოსატაცო მილიარდები თავდაცვაზე, ვიდრე მილიონები ფედერალური სახსრებით პიდროვლებებისა და მდინარისპირა დაბლობის განვითარებისათვის (8).

შესაბამისად 1955 წელს პრზიდენტის ინიციატივა ავტოსტრადებთან დაკავშირებით კონგრესმა არ მიიღო. მეორეს მხრივ ბევრს ეგონა, რომ 1956 წელს, კანონპროლექტის ახალი განხილვისას, დემოკრატთა მიერ კინტროლირებადი კონგრესი ნამდვილად არ დაამტკიცებდა მას, რათა საპრეზიდენტო არჩევნების წელს არ მიეცა რესპუბლიკელი პრზიდენტისათვის ასეთი კოზირი.. მაგრამ ეიზენჰაუერმა ბევრი იმუშავა კონგრესთან და მათაც ეროვნული ინტერესები პარტიულზე წინ დააყენეს. კონგრესმენებმა ალბათ ეიზენჰაუერის პოლიტიკური რეიტინგიც გაითვალისწინეს, რომელიც თავად რესპუბლიკური პარტიისაგან განსხვავებით, მეტად მაღალი იყო. 1956 წელს ეიზენჰაუერის საქმიანობით პრეზიდენტის თანამდებობაზე ქმაყოფილი იყო გამოკითხულთა 70 %. (9)

აქედან გამომდინარე 1944 წლის გეგმის ცხოვრებაში გატარება სულ უფრო რეალური ხდებოდა. აღნიშნული საკითხის დასამუშავებლად პრეზიდენტმა სპეციალური

მრჩეველთა საბჭო შექმნა, რომლის სათავეში დიდი ხნის თანამშრომელი ინჟინერი და “ჯენერალ მოტორსის” დირექტორთა საბჭოს წევრი ლუკიუს კლეი დანიშნა. ამ ჯგუფის რეკომენდაციების მეშვეობით ეიზენაუერი ცდილობდა ავტომაგისტრალების დაფინანსების საკითხისაგან ჩამოეცილებინა ისეთი ამ თემასთან დაახლოვებული ჯგუფების გავლენა, როგორც თვირტმზიდავების გართიანებები, ავტო კლუბები, შტატების ინჟინერები, ავტონდუსტრია და ნავთობის კომპანიები. მაგრამ, როგორც ეიზენაუერის ერთ-ერთი ბიოგრაფი რობერტ ბერკი აღნიშნავდა, საპრეზიდენტო მრჩეველთა კომისიის ანგარიშში, პირველ რიგში, სწორედ, რომ ამ გავლენიანი ჯგუფების ინტერესები გაითვალისწინეს (10).

1956 წლის ყოველწლიურ საპრეზიდენტო მიმართვაში პრეზიდებმა განაცხადა „კანონმდებლობა თანამედროვე შტატებშორისო ავტოსტრადების შესახებ წელს კიდევ უფრო ძეგლად გატირდება ვიდრე შარშან. ჩვენ 12 თვით დაგაგვანეთ გზების მშენებლობა, რომლებიც ჩვენს პირად უსაფრთხოებას, საერთო აყვავებას და ეროვნულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. ამ წლის მანძილზე მანქანათა რაოდენობა 58 დან 61 მილიონამდე გაიზარდა. წინა წლის მანძილზე 38 ათასი ადამიანი დაიღუპა. ავტოკარასროვებში დაჭრილთა რაოდენობა და მაჩვრიალური ზარალი კიდევ უფრო დიდია.

ჩემს მიმართვაში, 1955 წლის 22 თებერვალს, მე ვამტკიცებდი, რომ აუცილებელია ზომების მიღება რათა 10 წლის მანძილზე დავასრულოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი 40 ათასი მილის შტატებშორისო აგენტომაგაისტრალების სისტემის მშენებლობა, რომლის ღირებულება დაახლოებით 25 მილიარდი ლორდი იქნება.(11)

ამავე წლის საბიუჯეტო მიმართვაში კონგრესისდადმი უკვე  
16 იანვარს ეიზეპაუერი ხაზს უსვამდა რომ ავტოსტრადების  
პროგრამა ჯანსაღ ფინანსურ საფუძველს უნდა დაეყრდნოს,  
რათა არ შექმნას ბიუჯეტის დეფიციტი (12) თავისი  
პრლიტიკური კრედიტს გამოსახატავად, ეიზეპაუერი ხშირად  
იყენებდა აბრაჟამ ლინკოლნის გამონათქვამს მთავრობის  
როლის შესახებ---“მთავრობის კანონიერი მიზანია, ის აკომის  
საზღადოებისათვის რისი გაკეთებაც საზოგადოების წევრებს  
ჭირდებათ, მაგრამ არ შეუძლიათ თავად გააკეთონ ან არ  
შეუძლიათ მისი კარგად გაკეთება თავისი განცალკევებული და  
ინდივიდუალური შესაძლებლობების გამო. ეკველა იმ  
შემთხვევაში, როდესაც ადამიანებს თავად ძალუმთ საკუთარი  
პრობლემების კარგად მოგვარება, მთავრობა არ უნდა  
ჩაერიოს”.(13) .

ეროვნული ავტომაგისტრალების სისტემის მშენებლობა კი სწორედ იმ მასშტაბის პრობლემა იყო, რომელსაც მხოლოდ ფედერალური მთავრობა თუ გადაწყვეტდა. თუმცა მათი მფლობელობა და მართვა შტატების ხელისუფალთ გადაეცათ. საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ამ გრანდიოზული პროექტის დაფინანსება საწვავზე გადასახადის ზრდის ხარჯზე მოხდებოდა. ერთ ცენტრი გადასახადი ერთ გალლონ საწვავზე. გარდა ამისა გაიზარდა გადასახადი საბურავებზე და კომერციულ მანქანებზე.

1956 წლის 29 ივნისს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ეროვნული შტატებსშორისო და თავდაცვითი ავტომაგისტრალების კანონის მიედვით, 42 ათასი მილის (67 ათასი კილომეტრი) სიგრძის ავტომაგისტრალების ქსელის შესაქმნელად 10 წლის მანძილზე 26 მილიარდი დოლარი უნდა დახარჯულიყო. ავტომაგისტრალები უნდა ყოფილიყო ოთხზიანიდან რვა გზიანამდე. როდესაც ამ კანონის მიღებაზე საუბრობდა, ეიზენაუერმა აღნიშნა, რომ ეს იყო გზებთან დაკავშირებული ყველაზე ამბიციური პროექტი, რომელიც კი რომელიმე ერს მიუღია მსოფლიოში.(14)

ამავე დროს ეს იყო უდიდესი საზოგადოებრივი სამუშაოების შემცველი პროექტი ამერიკის ისტორიაში. ამ წლებში გრანდიოზულმა საზოგადოებრივმა სამუშაოებმა ახალი კურსის მასშტაბებს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. თანაც საბოლოოდ 55 მილიარდამდეც კი მაღწია. ცხრა მეათედი იმ ხარჯებისა ფედერალურმა მთავრობამ გაიღო(15) სხვათა შორის, როდესაც 1958 წელს მომხდარი კრიზისის დროს უმუშევრობამ 5 მილიონს მიაღწია, ეიზენაუერმა კიდევ უფრო გაზარდა გზების მშენებლობის ტექნიკი და მასშტაბები. როგორც ეიზენაუერმა აუწესა თავის ამომრჩევლებს ეს ავტომაგისტრალების სისტემა იქნებოდა მისი აღმინისტრაციის დიადი ძეგლი და ასახავდა მისი ხედვის შესაძლებლობებს (16).

ამ შეფასებას შემდგომში ამერკელი ისტრიკოსების გარკვეული ნაწილიც დაეთანხმა, რომელტაც მიაჩნდათ, რომ ეს კანონი იყო ეიზენაუერის აღმინისტრაციის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა საკანონმდებლო სფეროში (17).

2004 წლის აპრილში ცნობილმა ამერიკულმა ჸურნალმა US News and World Report-მა თავის სპეციალურ გამოცემაში გამოაქვეყნა აშშ-ის ეროვნული არქივის სპეციალური კომიტეტის მიერ შერჩეული 100 ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი ამერიკის ისტორიაში და მათ შორის აღნიშნული კანონიც არის მითითებული.

საინტერსოა რომ მიუხედავად პრეზიდენტის დიდი მცდელობისა და დაგეგმილი ხარჯთაღიცხვის დიდი ზრდისა, მისი შმართველობის პერიოდში მხოლოდ 7 500 მილის გზები დაიგო (18).

საბოლოოოდ, როდესაც ამ სისტემის მშენებლობა დასრულდა აღმოჩნდა, რომ ეს 42 ათასი მილი ამერიკის გზების მხოლოდ ერთ პროცენტს წარმოადგენს, თუმცა დატვირთვა გამოყენების ასკექტში 23 პროცენტს შეადგენს. თუმცა, კრიტიკოსი ყველაფერს, მათ შორის ასეთ ბრწყინვალე და ერთი შეხედვით ყველასათვის მისაღებ პროექტსაც კი გამოუწნდა, როგორც ამერიკელი ისტორიკოსი ჯეიმს პატერსონი აღნიშნავდა, გზების დამგეგმავებმა არ გაითვალისწინეს ბევრი ადგილობრივი ინტერესები, მრავალი დიდებული ლანდშაფტი დაამახინჯეს და აგრეთვე გაიყვანეს გზები გავლენის არ მქონე დარიბ რაიონებზე (19). რიგი გამოვლების მიხედვით საბოლოო ჯამში ამ სისატემის მშენებლობა, დამატებითი მონაკვეთების ჩათვლით 1995 წლისათვის 329 მილიარდი დოლარი დაჯდა 1996 წლის კურსით, (1957 წლის კურსით 58,5 მილიარდი).

1990 წლის 15 ოქტომბერს, იმ უდიდესი დგაწლისათვის, რომელიც ეიზენაუერს ქონდა ამ იდეის განხორციელებაში, პრზიდენტ ჯორჯ ბუშის გაწყვეტილებით ამ გზების სისტემას დუაიებ ეიზენაუერის სახელობის ეროვნული შტატებს შორისო და თავდაცვის აგენტურადების სისტემა ეწოდა.

მართლაც ამ სისტემამ უდიდესი როლი ითამაშა ამერიკის ისტორიასა და მისი ეკონომიკის განვითარებაში. სიჩქარისა ზრდისა და უკეთეს გასასვლელების გაფართოების წყალობით ტკირთის ლირებულება შემცირდა. იგი საოცრად ამოკლებდა მანძილებსაც. მაგალითად თუ მანმადე ჩიკაგოდან ინდიანაპოლისში ჩასასვლელად 6 საათი იყო საჭირო ახალი აგენტურადებით ეს მანძილი 3 საათამდე დაიყვანებოდა. ამავე დროს კომერციისათვის გახსნა შუა დასავლეთის შედარებით იზოლირებულ ქალსაქები (20) საერთო მაჩვენებელს თუ ავილებთ ამ გზებმა დაახლოებით 20 პროცენტით შეამცირეს მანძილები ქალაქებს შორის. ამ სისტემის წყალობით შედარებით იაფი მიწები ხელმისაწვდომი გახდა ტრანსპორტისათვის, რამაც ხელი შეუწყო მათ ათვისებასა და განვითარებას ტრანსპორტირების გამარტივებამ, გაუმჯობესებამ, დაკვეთილის დროზე მიტანის გარანტიების ზრდამ, შეამცირა საწყობებში პროდუქციის შენახვის ვადები და დაეხმარა წარმოებას. მყიდველთა და მომსმარებელთა გეოგრაფიული შესაძლებლობების ზრდამ ხელი შეუწყო

პროდუქციის არჩევანის ზრდას, რამაც თავის მხრივ გაზარდა კონკურენცია და დაწია ფასები. გაამარტივა რა პროდუქციის ტრანსპორტირება, ავტოსტრადამ ხელი შეუწყო ზოგადეროვნელი ბაზრის განვითარებას, გაუადვილა რა ამერიკულ კომპანიებს უფრო იაფად მიეწოდებინათ პროდუქცია ქვეყნის სვადასხვა რეგიონებში, რამაც კვლავ დადებითად იმოქმედა ფასების შემცირებაზე.

უფელელივე ზემოთ ჩამოთვლილმა, ფასების კლებამ, შრომაცა და კაპიტალიც უფრო ეფექტური გახდა, რითაც ხელი შეუწყო ბიზნესის განვითარებას, ახალ ინვესტიციებს და სამუშაო ადგილების შექმნას. ავტოსტრადებმა მრავალჯერ აანაზღაურეს მათ მშენებლობაში დაბანდებული თანხები.

გამოთვლილია რომ თავისი არსებობის დაახლებით 40 წლის მანძილზე 1957 დან 1996 წლამდე ამ გზებმა ამერიკულ კონომიკას ჯამში 1 ტრილიონზე მეტი დოლარი დაუზოგეს.

ავტოსტრადების სისტემა არის აგრეთვე სამუშაო ადგილების გენერატორი. რომ აღარავერი ვთქვათ თვით გზის მშენებლობაში დაკავებული ადამიანების რაოდენობაზე. მან აგრეთვე განავითარა უდიდესი რაოდენობის გზასთან დაკავშირებული საქმიანობა. აღსანიშნავია რომ კების წერტილებში მომსახურება შეიძლება უფრო მეტად გაიზარდა ვიდრე თვით მოსახლეობის ზრდის ტემპები.

კონომურ ზრდაზე არანაკლები და ალბათ უფრო დიდ მნიშვნელობა ქონდა იმ ფაქტს, რომ ცალმხრივი მოძრაობის, გზის საფარის მაღალი ხარისხისა და გზების მომსახურების უკეთესი ორგანიზაციის წყალობით ამ ავტომაგისტრალებზე მნიშვნელოვნად იზარდა უასფრთხოების სტანდარტმა. ფატალური შედეგები 60 პროცენტით ნაკლებია ვიდრე სხვა გზებზე. როგორც ამ გზების სამსახურის ვებ გვერდზეა აღნიშნული, არსებობის 40 წლის მანძილზე ამ სისტემამ 187 ათასი ადამიანის სიცოცხლე შეინარჩუნა. დაჭრილთა და დაზიანებულთა რაოდენობა 70 პროცენტიტ დაბალია ვიდრე სხვაგან, შესაბამისად 40 წლის მანძილზე 11, 8 მილიონი ადამიანი გადაურჩა ტრამვებს. 1957 დან 1996 წლამდე უსაფრთხოების ზრდის წყალობით დაახლოებით 368 მილიარდის დოლარის პირდაპირი ზარალი გამოირიცხა. ავტომაგისტრალების მიერ უზრუნველყოფილი მაღალი სიჩქარის წყალობით დროის მნიშვნელოვანი მოგება მოხერხდა.

ავტოსტრადების მაღალმა ხარისხმა თვით მანქანის ექსპლოატაციის ხარჯებიც შემაცირა და 40 წლის მანძილზე 41 მილიარდი დოლარის კონომია გაუწია ავტომაგისტრალებზე. ავტოსტრადების წყალობით გაზრდილმა მობილურობამ, მეტი არჩევანი მისცა ამერიკელებს როგორც სამუშაო ადგილის

ასევე საცხოვრებელი ადგილის შერჩევისას. უფრო მეტს მიეცა საშუალება დიდი ქალაქებისაგან მოშორებულ და შესაბამისად იაფ ადგილებში შეეძინა საკუთარი კარ მიდამო, რაც ე.წ. ამერიკული ოცნების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

გინაიდან ჩქაროსნულ ავტოსტარდებზე არ არის საჭირო მანქანის ხშირი შეჩერება, დამუხსრულება, თავიდან დაძრა, რაც უფრო მეტ მაგნე გამონაბოლქეს გამოყოფს, შემცირდა პაერის დაბინძურების მაჩვენებლებიც. ამ ავტოსტრადებმა მრავალი ამერიკული უფრო მჭიდროდ დააკავშირა დიდ კულტურულ ცენტრებსაც, რაც მოსახლეობის სულიერ ცხოვრებაზეც დადებითად აისახა. თუ ჩვენებურ ტერმინლოგიას გამოყიურებთ, შეიძლება ვთქვათ რომ ამ ავტოსტრადებმა კიდევ უფრო შეამცირეს განსხვავება ქალაქება და სოფელს შორის.

როგორც თავიდანვე აღვნიშეთ, ავტოსტარდების მშენებლობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ეროვნული თავდაცვის საკითხებთან. ცივი ომის შემდგომ პოსტუმინისტურ ერაშიც ე.წ. აშშ-ის სამხედრო ავტოსტრადების კორიდორი-ქსელი ძირთადად სწორედ ამ სისტემაზეა დაფუძნებული. სხვათა შორის, ოკეანისგამა კონფლიქტების დროსაც, იგივე ახლო აღმოსავლეთში ჯარების გადასრულისას, სწორედ ამ ავტოსტრადების მეშვეობით მოხდა ჯარებისა და აღჭურვილობის სწრაფი გადასრულა ოკეანესპირა პორტებში. როგორც ვხედავთ, სახელმწიფოს არსებობის თითქმის არც ერთი სფერო არ დარჩენილა, სადაც ეიზენაუერის სახელობის ავტოსტრადებს მეტად მნიშვნელოვნი როლი არ ეთამაშათ და მათი არსებობა პირდაპირ პროპორციულ კავშირშია აშშ-ის წარმატებებთან. თუ გავითვალისწინებთ გეოგრაფიული მანძილებისა და მოსახლეობის რაოდენობაში არსებულ განსხვავებას. ამერიკაში დღეს ჩქაროსანული სუპერ ავტოგასტრილების კონცენტრაცია 2,4-ჯერ უფრო მეტია ვიდრე გერმანიაში, 2,9-ჯერ – ვიდრე საფრანგეთში, 6,5-ჯერ – ვიდრე ინგლისში, 9,7-ჯერ – ვიდრე იაპონიაში.

რასაკვირველია დღეს საქართველოს კიდევ ბევრი უკლია ასეთ მაგვენებლებამდე, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოთაღნიშნული სარგებლიანობის პრინციპები უნივერსლურია ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვისაც, უნდა ვიგარაუდოთ, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალიც მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული საქართველოში ჩქაროსნული ავტოსტრადების მშენებლობის პროექტის წარმატებულ დაგვირგვინებასთან.

գամոցելելով լուսաբառական

- 1.Hannah Vogt The Burden of Guilt . *A Short History of Germany* , 1914-1945 New York. Oxford University Press 1978. P149
2. Memoirs by Albert Speer *Inside the Third Reich.*, Ollier Books a Division of Macmillan Publishing Co., Inc New York 1970 p. 180.
- 3 T.J Jarman , *The Rize and fal of Nazi Germany*A Signet Book, Published by the American Library1956 p.175A
- 4.James T Patterson, *America in the Twentieth Century, A History*, Harcourt Brace Jovanovich. Inc. New York 1976 , p.160)
- 5.Gary M Walton, Hugh Rockoff *History of the American Economy.*, Harcourt Brace Jovanovich, Publishers N.Y.,1990 ,p.616.
- 6.John Patrick Diggins., *The Proud Decades, America in War and Peace* 1941-1960. W. W. Norton & Company. N.Y. Londond 1989., p131
- 7.James T. Patterson, *Grand Expectations The US ,1945-1974.*, N.Y , Oxford , Oxford University press 1996 p.p. 70-71
8. Max Lerner *America as a Civilization*, Henry Holt and Company , New York 1987., p342
- 9.Michael Barone, *Our Country The Shaping of America From Roosevelt to Reagan* The Free Press A Division of Macmillan , inc n. Y., 1990 p.284
- 10.Robert F Burk., *Dwight D. Eisenhower , Hero and Politician*. Twain Publishers, Boston A Division of G. K. Hall & Co. 1986. p. 157
11. Public Papers of the Presidents of the United States. Dwight D Eisenhower 1956 Containing the Public Messages, Speeches, and Statements of the President US Government Printing Office 1958 p.18.
- 12 Ibid. p.88
მეფეები მზად არიან, დააგირაონ თავიანთი ალმასები, ხოლო ვაჭრები – გაყიდონ ქონება, ოღონდ ექსავდიცია აღჭურვონ. ზოგი ქალაქი ოკეანესთან უფრო ახლოა, ვიდრე ვენეცია და გენუა. მათ მცხოვრებთ წინსწაფვა იტაცებთ. მეზღვაურები თვალს ვერ აშორებენ ოკეანის სივრცეს, რომლის იქით, მათი აზრით, ინდოეთის ტაძრები და ჩინეთის მოოქრული სასახლეებია. და გემები ერთიმეორის მიყოლებით გადიან გიბრალტარიდან. მრავალგზის ცდებსაც არ დაუყოვნებია. ჯერ იყო და ვასკო და გამამ აფრიკის გამოვლით ინდოეთს მიაღწია, ახლა გზები უკვე დედამიწის მეორე ნახევარსფეროზე გადავიდა. ეძებენ კიდევ უფრო მოკლე გზას. ძიებამ კოლუმბს ამერიკა აღმოაჩენინა, ხოლო მაგელანის მიერ დედამიწის გარშემოვლით სამყარო ისე გაფართოვდა, რომ ოვით ოსმალეთა ვრცელი იმპერიაც კი ამ ოკეანეში უმნიშვნელოდ მოჩანს. კიდევ უფრო უმნიშვნელო გამოჩნდა ძველი ხიდი – კაგასაია.

კაცობრიობის უდიდესი ნიშანსვეტი – დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, წინა აზიის კულტურული სამყაროსათვის ერთსა და იმავე დროს უდიდესი უბედურების დასაწყისადაც იქცა. ამ დროიდან მოყოლებული, ოსმალეთსა და ირანს შუა მომწვდეულები, ყოფნა-არყოფნის საკითხს ვწყვეტდით.

ასე მიტოვებულნი არასდროს ვეოფილვართ. ამაოდ ირჯებოდნენ უეროპელი მისიონერები და დიდი ქართველი მამულიშვილები, გაეცოცხლებინათ მივიწყებული ტრადიცია. ჯვაროსნულ ომებს, ევროპელთა და ქართველთა ერთობლივ ბრძოლებს დიდ ოურქობასთან, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. სულხან-საბაც ამაოდ დაშვრა რომის პაპთან და საფრანგეთის „მზე მეფესთან“ ლუი XIV-სთან „ცრუ უბრობით.“

კაცობრიობის ისტორიის ორი თარიღი საბედისწერო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა ჩვენთვის – 1453 წელს კონსტანტინოპოლისა და მასთან ერთად ქრისტიანული ბიზანტიის დაცემა, და XV საუკუნის მიწურულს – დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები. არც ერთ მათგანს პირდაპირი კავშირი არ ჰქონია საქართველოს ისტორიასთან, თუმცა

თავისი შედეგით არაფერს არ მოუხდენია ისეთი გავლენა ჩვენს ბედზე, როგორც ამ ორმა უგნიასკნელმა გარემოებამ მოახდინა.3

ევროპას საქართველოსთვის აღარ ეცალა...

### **გამოყენებული დიტერატურა**

1. გ. ჯოლია, ქვეყანაომცოდნეობა, ევროპა, თბ., გვ. 94-112.
2. მ. პაპაშვილი, საქართველო რომის ურთიერთობა VI-XX სს, თბ., 1995.
3. გ. მჭედლიშვილი, შეა საუკუნეების ქართული პოლიტიკური აზრი და „ვეფხისტყაოსანი”, თბ., 2000, გვ. 185-187.

### **Summary**

#### **Georgi Mchedlishvili**

#### **Georgian-French political-cultural relations**

Georgian-French political-cultural relations have a long history. From the Middle Ages the relationship between our peoples used to have various forms. Special attention is given to the work of the great Georgian diplomat Sulkhan-Saba Orbeliani in France.

Basically, closer cultural - political contacts existing between Georgia and Europe were prevented by two historical facts: a capture of Konstantinopol in 1453 and great geographical discoveries.

Europe had no time to consider problems of Georgia.

### **Резюме**

#### **Гергий Мчедлишвили**

#### **Грузинско-Французские политическо-культурные взаимоотношения**

Грузинско-Французские политическо-культурные взаимоотношения имеют долгую историю. Контакты между нашими народами носили многосторонний характер, начиная от крестовых походов до наших дней. Особое внимание уделяется посольству великого грузинского просветителя Сулхан-Саба Орбелиани к Лудовику XIV.

В основном, более тесному культурно-политическому контакту Грузии и Европы помешали два исторических факта: Взятие турками Константинополя в 1453 году и Великие географические открытия. Европе уже было не до Грузии.

## ნანა ციხისთავი

### თანამედროვე ტენდენციები სეკულარულ სამყაროში

სეკულარიზაცია, საერთოდ, ხასიათდება, როგორც ტრადიციული რელიგიების ავტორიტეტის ინსტიტუციონალური გავლენის დაცემა, რელიგიური პლურალიზმის ზრდა და, შესაბამისად, რელიგიების მონოპოლიის დაქვეითება, რელიგიური სინკრეტულობა. იმავდროულად, XX ს-ის ბოლოს აშკარად სეკულარიზაციის საწინააღმდეგო ტენდენცია “რელიგიური აღორძინება”, ე.ო. დასავლური სამყაროს დესეკულარიზაცია. ეს ტენდენცია თვალშისაცემია, თუმცადა სხვადასხვანაირად, არა მხოლოდ დღვევანდელ აშშ-ში, აზიურ ან მუსლიმურ სახელმწიფოებში, არამედ აღმ. ევროპის ყოფილ სოციალისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

XX საუკუნის ბოლოს პოლიტიკური ნეოლიბერალიზმი, მსოფლმხედველობრივ მატერიალიზმთან და ათეიზმთან ერთად, დისკრედიტირებული აღმოჩნდა პოსტსოციალისტური ქვეყნების მოქალაქეების თვალში. ბევრ თანამედროვე საზოგადოებაში, სადაც გაჩნდა “ტენდენცია სულიერების დაბრუნებისა”, პოლიტიკური რეფორმები ლეგიტიმაციას გადის ტრადიციული კონფესიების მონაწილეობით. არ არის შემთხვევითი ასევე მეორე თვალსაჩინო ტენდენცია. ახალი რელიგიური მოძრაობები ფაქტობრივად ყველა ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში(ასევე ძველი დემოკრატიის ქვეყნებშიც) ხვდებიან სტრატეგიულ ალიანსში სამართალდამცავ ორგანიზაციებთან და ტრადიციული რელიგიების ოპოზიციაში. კონფლიქტის ხაზი აშკარაა [1].

დღესდღეობით, რელიგიათა ადგილი განსაზღვრულია რელიგიური ფაქტორის ცივილიზაციური მნიშვნელობით. მან ასახვა პპოვა ს. პანტინგტონის კონცეპციაში “ცივილიზაციათა დაჯახება”, ფ. ფუკუიამას “ისტორიის დასასრული”, ალი ტარიკის “ფუნდამენტალისტების შეჯახება”, ფ. ენგელხარდტის “შესამე მსოფლიო მიზის დასაწყისი”, მსოფლიოს გაყოფა “მშევიდობის ზონად” და “კონფლიქტის ზონად”(პ.პ პოლმი და პ.სორენსენი) და სხვ. ყველა ამ კონცეპციაში რელიგია თამაშობს გადამწყვეტ როლს ცივილიზაციათა ურთიერთობებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტებს დაპირისპირება ესახებათ სხვადასხვა

ოპოზიციის სახით, ყველა მათგანში ჩვენ შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ რელიგიურ დაპირისპირებას. აღნიშნული დაპირისპირება შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას სხვადასხვა საფუძვლებით: ცივილიზაციური (ცივილიზაციათა კონფლიქტი), სამხედრო-პოლიტიკური (ტერორისტები ანტიტერორისტული კოალიციის წინააღმდეგ), გონიომიკური (პროგრესული მოდერნისტული პოსტინდუსტრიული პროექტი ჩამორჩნილი ტრადიციული ან ფუნდამენტალისტურის წინააღმდეგ), სახელმწიფოს როლთან დამოკიდებულების საკითხი (ეტატიზმი ლიბერალიზმის წინააღმდეგ), ეთნოკულტურული საფუძვლები (მულტიკულტურულობა, კულტურული პლურალიზმი მონოკულტურულობის წინააღმდეგ), რელიგიურ-ფასეულობითი კრიტიკული მემკინობის მისამართი ფუნდამენტალიზმი “ამერიკული იმპერიალიზმისა” და “პოსტქრისტიანული დასავლეთის კოლონიალიზმის წინააღმდეგ”. ყველა ამ შემთხვევაში საბოლოოდ მაინც ვდგებით რელიგიური ფაქტორის არსებობის წინაშე [2].

გამოჩენილი მეცნიერი კ. ტოფლერი 1990წელს წერდა მსოფლიო პოლიტიკაში ე.წ. გლობალურ მეომართა დაბრუნების თაობაზე (ტრანსაციონალური კორპორაციები, მსოფლიო რელიგიები, -უპირველესად ისლამი და კათოლიკიზმი), რაც გამოიწვევდა პეტეროგენული მსოფლიო სისტემის აღორძინებას (სისტემები, რომლებიც არსებობდა ჯერ კიდევ ინდუსტრიალ ეპოქამდე, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლება არ იყო გადანაწილებული ნაციონალურ სახელმწიფოებს შორის) მხოლოდ ახალ პირობებში: გლობალური შესაძლებლობებისა და გლობალური ცდუნების სწრაფად ცვალებად, მაღალი ტექნოლოგიებით გაჯერებულ სამყაროში, ელექტრონული კომუნიკაციებისა და ბირთვული იარაღის პირობებში. ტოფლერი ამაში ხედავდა მსოფლიო პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის საწინააღმდეგოდ ჩამოყალიბებულ საშიშროებას. დღესდღეობით კი თანამედროვე რეალობა ხასიათდება იმით, რომ ახალი გლობალური სუბიექტები მსოფლიო განვითარებისა რეალურად გაჩნდნენ. და თუ უფრო კონკრეტული ვიქებით დაბრუნდნენ ძევლი მოქმედი პირები, მაგრამ გლობალურ შესაძლებლობათა ახალ პირობებში [3].

“ახალ ქვეყნებში” თავისი ადგილი დაიკავეს რელიგიებმაც. ისინი დღესდღეობით გვთავაზობენ მსოფლიოს გარდაქმნის გლობალურ პროექტებს შესაბამისად საკუთარი რელიგიური ხედვისა. ყველაზე ცნობილი და გახმაურებული (თავისი აგრესიულობითა და კონფლიქტურობით) არიან გეოპოლიტიკური პროექტები “მსოფლიო ხალიფატისა”, პონორელიგიური პანთურქისტული პროექტი (თურქული

ისლამური სახელმწიფოს- დიდი თურანის შექმნისა) და კონფუციანისტური (ჩინურ-ცივილიზაციური) პროექტი. თანამედროვე პირობებში შეიძლება იგნორირება გავუკეთოთ გლობალურ რელიგიის ადგილს საზოგადოების ცხოვრებაში, გავაგრძელოთ და დავიცვათ სეკულარისტული ფასეულობები, მაგრამ იგნორირება გავუკეთოთ გლობალურ რელიგიურ გამოწვევებს, პოლიტიკური ხელისუფლებისა და რელიგიის ურთიერთობას, უკვე შეუძლებელია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ პოლიტიკურ სელისუფლებისა და რელიგიის შორის ურთიერთობა მუსლიმურ ქავენებში იშვა ისლამის გაჩენასთან ერთად. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისლამი ამ ქუთხით უნიკალური რელიგიაა. მიუკერძოებელი და ობიექტური შეხედულება ისტორიაზე მოწმობს, რომ ურთიერთობა დასახელებულ სუბიექტებს შორის, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური განვითარება იყო ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ვაელა დროში და პრაქტიკულად სამყაროს ყველა ნაწილში, სადაც კი გავრცელებულია ეს რელიგიური მიმდინარეობა. ვფიქრობთ, ყველაზე დიდი ზეგავლენა აღნიშნულმა ფაქტორმა მოახდინა იმ ქვენების განვითარებაზე, სადაც გაბატონებული იყო ორიდან ერთი “წიგნიერი რელიგია” – ქრისტიანობა ან ისლამი.

XX საუკუნის ბოლოს სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობის ფორმებმა ქვენებში, სადაც უპირატესად მუსლიმი მოსახლეობა ცხოვრობდა, მიიღო ახალი და ძლიერი იმპულსი. ვფიქრობთ, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციაზე ზემოქმედების პლანში იგი ობიექტურად აგარებს ნეგატიურ დატვირთვას. შეიძლება ითქვას, რომ ისლამის ბედი ახალ საუკუნეში, მისი როლი და ადგილი საზოგადოებისა და ინდივიდის ცხოვრებაში გადაიქცა თანამედროვეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცესში. სწორედ ამით აიხსნება დღესდღეობით მეცნიერთა დაკირეცხის ქვეშ არსებული ინტერესების საყოველთაო ტალღა ამ საკითხების მიმართ. ისინი იხილება, უპირატესად, მსოფლიოში რელიგიური ადორძინების პროცესების კვალდაკვალ, რელიგიური ცხობიერების ტრანსფორმაციით, მისი პოლიტიკურით, რელიგიური ინსტიტუტების ადაპტაციით თანამედროვეობასთან და ა.შ.

ახალი საუკუნის ერთ-ერთი თავისებურება გახდა კ.წ. “მუსლიმური სამყაროს საზღვრების გაფართოება”, რომელიც გამოიხატა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ადგილზე ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებით, რომლებშიც ჭარბობს მუსლიმი მოსახლეობა. მათში მიმდინარეობს რელიგიური ადორძინების აქტიური პროცესის მიმართ ადაპტაციით, რელიგიური ინსტიტუტების ადაპტაციით თანამედროვეობასთან და ა.შ.

და საერთოდ, რელიგიის ბუნებრივი აღგილის აღდგენა საზოგადოების ცხოვრებაში. ისლამური ქვეყნების უმრავლესობის ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალები ცდილობენ მიაღწიონ ისეთ “წონასწორობას”, რომელიც რელიგიას მისცემს საშუალებას, დაიმკიდროს თავისი ბუნებრივი აღგილი საზოგადოებაში. იმავდროულად შეასრულოს მხოლოდ პოზიტიური და კონსტრუქციული როლი.

ფაქტორთა საექტრი, რომლებიც გავლენას ახდენს სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერტობებზე, ისლამურ ქვეწებში, ძალზედ ფართო და მრავალფეროვანია. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ამ ქვეწების საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარება უკანასკნელ ათწლეულში, ორივე მხარე – სახელმწიფოც და რელიგიაც – ძალისხმევას არ იშურებს, რათა მიღწეულ იქნეს ურთიერთმისადგები რაციონალური ბალანსი საზოგადოების როგორც საერო, ასევე რელიგიურ ნაწილში. ამ ძალისხმევას კონსტრუქციული შედეგებიც აქვთ. ძალზედ მნიშვნელოვანია რაციონალობის შემდგომი გადრმავება სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობებში გამორჩეულად ისლამურ ქვეწებში. კუიქრობთ, ამ შემთხვევაში, კონტრეტულ სფეროდ გვევლინება პოლიტიკური ასაექტები სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთობაში. დემოკრატიის მოთხოვნების მიხედვით მათი სამართლებრივი რეგულირება, სახელმწიფო და რელიგიურ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის ფორმები და გზები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის პირობებში, საგანმანათლებლო ამოცანები, რელიგიურ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვა ამ პროცესებში და სხვა. მაგრამ მთავარი მიზანი ამ ტიპის სქამეცნიერო-პრაქტიკული პროექტებისა, რომლებიც ეხება რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას ისლამურ ქვეწებში, მდგომარეობს იმ ამოცანების ერთობლივად გადაჭრაში, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია სამეცნიერო და პრაქტიკული თვალსაზრისით.

ჩვენთვის უთურდ ასევე საინტერესოა ქრისტიანული ეკროპის რეალობაც. დღევანდელ პირობებში, მომავალი ერთიანი ეკროპის კონსტრუქტორება მხრიდან, არამართებულია და იმავდროულად მძიმეცაა ის დებატები (რომლებშიც, გარკვეულ სიმპტომად, რელიგიის დაბრუნებაც შეინიშნება), რომელიც გაიშალა სეკულარისტებსა და ეკროპის ქრისტიანულ ორგანიზაციებს შორის. სწორედ იგი შთაგონებდა ეკროპული ცივილიზაციის ქრისტიანული საფუძვლების შესახებ ერთიანი ეკროპის მომავალი კონსტიტუციის ტექსტის შემქმნელებს. საფრანგების პრემიერ-მინისტრმა – ჟან-პიერ რაფაელენმა,

აკეთებდა რა კომენტარებს 2004 წელს ევროპის კონსტიტუციის პროექტის გარშემო შექმნილ სიტუაციაზე, გამოაცხადა: “კონსტიტუციის პროექტი – საეროა. სეკულარიზმი უნდა გახდეს მომავალი ევროპული საზოგადოების საფუძველი”. ჯერ-ჯერობით აშკარაა, რომ ეს მხოლოდ სურვილად რჩება. დებატები უკვე დიდი ხანია, რაც მიმდინარეობს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ სეკულარიზმის მომხსრები უმრავლესობაში არიან. თვით რაფარენიც ფრანგულ რადიოსადგურ “ინტერ”-ზე მიცემულ ინტერვიუში იძულებული იყო ეთქვა, რომ “კონსტიტუციის პროექტი ხარბად ისრუტავს ევროპის კულტურულ-რელიგიური და პუმანიტარული მემკვიდრეობის მიღწევებს. ქრისტიანული მემკვიდრეობა, მთელს კონგრიენტზე, უდავო – თქვა არ მიირმა. მას ეფუძნება ჩვენი ისტორია, მაგრამ მე ვერ ვხედავ საფუძველს, რომ ამასთან დაკავშირებით შევიტანოთ ცვლილებები კონსტიტუციის პროექტის ტექსტებში”.

საგულისხმოა, რომ 1980-იანი წლების ბოლოდან დაიწყო საუბარი ეთიკურ პოლიტიკაზე, ეთიკურ ეკონომიკაზე, XXI საუკუნის დასაწყისში კი ტრადიციული ფასეულობების დაბრუნებაზე (მათ შორის – რელიგიაზეც), “პოსტ-სეკულარულ ეპოქაზე”. დავოსში გამართულ მსოფლიო ფორუმზე (2000წ.-ის ოქტომბერი), გავლენიანი პოლიტიკოსების, ბიზნესმენებისა და ფინანსისტების რიგებიდან შემდგარმა დასავლეთის ელიტამ განსაზღვრა მსოფლიო საშიშროების (მისი მნიშვნელობითა და პრობლემურობით) მეორე საფრთხე (დედამიწაზე კლიმატის კატასტროფული ცვლილებების შემდეგ): – ტრადიციული ეთიკური საწყისებისა და ნორმების გაქრობა. მხოლოდ რიგით მესამე პრობლემად დასახელდა არსებული საერთაშორისო სისტემის არაეფექტურობა.

ასე რომ მათ, ვისაც ანტიგლობალისტები უწოდებენ “მსოფლიოს ახალ მთავრობას” და “გლობალიზმის აგენტებს”, კაცობრიობის უპირველეს, ყველაზე დიდ პრობლემად დაასახელეს ეკოლოგიური კატასტროფა, მეორედ – ეთიკური ნორმებისა და ტრადიციების გაქრობა (აქ ეკლესია ასრულებს ხერხემლის როლს), მესამედ – ინსტიტუციონალობის კრიზისი. თუმცა, თუ ჩავიხედავთ და გავაანალიზებთ სიღრმისეულად, ეკოლოგიური კატასტროფაც ხომ ადამიანის მოღვაწეობის შედეგია.

უნდა ითქვას, რომ ტრადიციებთან მიმართებაში საწინააღმდეგო პოზიციაც არსებობს. იგი ცივილიზაციების ისტორიული განვითარების მექანიზმების გასაგებად სულ სხვა ხედვას ეყრდნობა. ინგლისელი სოციოლოგი ჯონ გრეი, ნაშრომში – “განათლების დაისი” – დას. ევროპულ ცივილიზაციას სთავაზობდა “უარესო დასავლეთის

ტრადიციაში დიდი ხნის განმავლობაში ფქსფგადგმული გაგება, როგორც წყარო უმაღლესი ჭეშმარიტებისა და არა „გარკვეული ცხოვრების წესის გამოხატულება“. „რელიგიურობის ტრანსცენდენტურობისაგან განთვავისუფლების“ ეს ტენდენცია, პოსტთანამედროვე სამყაროში გავრცელებული ერთ-ერტი ხედვის თანახმად აიხსნება შემდეგნაირად: „რელიგიურობის წახალისება მხოლოდ როგორც „ცხოვრების სტილი, ქცევის გზოტიკა და არა როგორც გარკვეული ფასეულობა“ [4].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ტრდიციების აღორძინება და დაბრუნება მეტად აქტუალურ პრობლემად იქცა თანამედროვე სამყაროში. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ იგი იღვიძებს, აქტიურდება და წინა პლანზე გამოდის მაშინ, როცა გლობალიზაციის პროცესები ღრმავდება და განვითარების სრულიად ახალ ფაზაში შედის. იგი თავის ბუნებრივ ადგილს იქერს საზოგადოებაში იმ უმნიშვნელოვანები პრობლემების გვერდით, რომლებზედაც მუშაობენ პოლიტიკოსები, სწავლობენ მეცნიერები და იკვლევენ რელიგიათმცოდნეები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Честертон Г К Ортодоксия М 2003 стр 66
2. Иноземцев В Л Неизбежность многополюсной цивилизации М 2001
3. Тоффлер Э Метаморфозы власти М 2001
4. Морозов А О Четвертая секуляризация М 2004

### Summary

#### Nana Cikhistavi

#### The contemporary tendencies in the secular world

At the end of the XX-th century in the whole world we can find the opposed tendency of secularization – “the revival of religion”, s.c. “desecularization”. This process is remarkable in USA, in Muslim countries, in eastern Europe – post socialist and post soviet countries. Nowadays religion plays the role of differential marker of civilization. Confrontation existing in the world can be grouped into different categories. It should be mentioned that the existence of religious factors can be found everywhere.

Nowadays the importance of religious factors from the global perspective is obvious.

The problem of ethic politics and ethic economics became important in 1980-ies, while the problem of returning traditional values, religious ones among them, acquired great significance in the “post secular” epoch. In 2000, the Davos forum considered three problems: ecological situation, disappearance of ethics and tradition and institutional crisis.

Thus, the issue of preserving traditions and returning traditionalism is very actual.

### **Резюме**

**Нана Цихистави**

**Современные традиции в секулярном мире**

С конца XX века во всем мире наблюдается оппозиционная тенденция секуляризации – «религиозное возрождение», то есть десекуляризация. Этот процесс нагляднее всего наблюдается в США, исламском мире, постсоциалистических и постсоветских странах. На сегодня религия играет роль дифференцированного маркера цивилизации.

С конца 80-х годов прошлого столетия начинается активный разговор об этической политике, этической экономике, а с наступлением XXI века, о возвращении традиционных ценностей, в том числе религиозных, т.е. «пост-секулярной» эпохе. В 2000 году на форуме в Давосе глобальной проблемой №1 было названо экологическая катастрофа, проблемой №2 исчезновение этических традиций (в которых религия играет стержневую роль), проблемой №3 кризис институционализма.

Исходя из этого, актуальным становится тема возвращения традиций и традиционного, тем более, что наряду с множеством других проблем, эту проблему на повестку дня ставят политики, ученые, религиозные деятели.

## დაგით თაქთაქიშვილი

სამყარო და ადამიანი

(ფილოსოფიური განხჯანი ფილოსოფიით  
დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის)

ფილოსოფიაში სამყარო მოიაზრება თრი

მნიშვნელობით:

ა) სამყარო როგორც მთლიანი რეალობა, რომელიც ობიექტურად არსებობს. იგი მოიცავს გალაქტიკასა და მეტაგალაქტიკას, განუქნილია სივრცეში და ითვლის დროს. ამავდროულად სამყარო უსასრულო და უსაზღვროა, არ აქვს არც დასაბამი და არც დასასრული (რიგი ფილოსოფოსები და აგრეთვე დამოისმეტყველები საპირისპირო აზრზე დგანან – სამყაროს აქვს დასაბამი და რასაც დასაბამი აქვს, მას დასასრულიც უქნება). ჩვენს გალაქტიკაში მეცნიერობა გამოთვლით, ას მიღიარდზე მეტი ვარსკვლავია. დედამიწასთან კი ყველაზე ახლოს მზეა, რომელიც დაახლოებით 150 მილიონი კილომეტრით არის დაშორებული დედამიწისგან. სხვა გარსკვლავებთან მიმართებაში კი მანძილს სინათლის წლებით ზომავენ. (სინათლე წამში მოძრაობს 300 ათასი კილომეტრით და თუ ასეთი სიჩქარის რაკეტას შევქმნით, უახლოეს ვარსკვლავს ალბათ 4 წლის შემდეგ მიაღწევს). აი, ასეთია სამყარო თანამედროვე ასტრონომთა და ფიზიკოსთა მონაცემებით. იგი ადამიანთაგან დამოუკიდებელია და მას არც საწყისი აქვს და არც სასრული.

ბ) არსებობს ადამიანთა გარემომცველი სამყარო. ეს არის ადამიანთა მოქმედების არეალი. ეს სამყარო, პირდაპირ თუ ირიბად, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრებასა და არსებობაზე. აქ არის მოულოდნელობით, შესაძლებლობა – შეუძლებლობით, გარდაუგადობით თუ შემთხვევითობით აღსავსე სამყარო. ამ სამყაროსთან გვაქს მუდმივი კონტაქტი, რომელიც ორმხრივია. ერთის მხრივ, ადამიანი თავისი ქმედებითა და მოღვაწეობით გავლენას ახდენს სამყაროზე, მეორეს მხრივ კი – თვითონ ჩვენ

განვიცდით გარესამყაროს ზემოქმედებას. ჩვენი სამყარო ანუ დედამიწა, სადაც ადამიანები არსებობენ, ერთი პატარა ნაწილია იმ უკიდევგანო სამყაროსი, რომელიც გარს გვარტყია. ჩვენ ვეპუთვნით მზის სისტემას. ჩვენ ვცხოვრობთ დედამიწაზე. თავის მხრივ დედამიწა მოიცავს ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ მხარეს –

1. ბუნება, რომლის შექმნაშიც ადამიანს არ მიუღია მონაწილეობა და არსებობს ობიექტურად, თავისთავად და ჩვენგან დამოუკიდებლად და
2. კულტურა, რომელიც ადამიანმა შექმნა და რომელიც წარმოადგენს მისი მეცნიერებლი, მხატვრულ-ესთეტიკური და არქიტექტურული მოღვაწეობის შედეგს. სამყარო პირველი მნიშვნელობით კონკრეტული მეცნიერების კვლევისა და განსჯის ობიექტია, მეორე მნიშვნელობით კი წმინდა ფილოსოფიური აკლევის საგანია. ფილოსოფიაში ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის სუბსტანციის პრობლემა. სუბსტანცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს ქვემდებარეს – იმას, რაც საფუძვლად ქვს. სამყარო მრავალფეროვანია და შედგება უამრავი, ერთმანეთისგან განსხვავებული საგნების, მოვლენებისა და პროცესებისაგან. ხომ არსებობს ერთი რაღაც ფეხვი, საფუძველი, საიდანაც ყველაფერი შეიქმნა?, რა არის პირველი საწყისი? აი, ასეთ კითხვებზე ცდილობენ ფილოსოფოსები პასუხების გაცემას. საწყისს ბერძნული ტერმინით “არხე” ქვია. სამყაროს სუბსტანციის პრობლემაზე ასე იწყებენ მსჯელობას – არის თუ არა ის შექმნილი? აქ გვაქს ორი დაპირისპირებული თვალსაზრისი – რელიგიურ-ფილოსოფიური და მატერიალისტური. რელიგია ამოდის შექმნის ფაქტორიდან და მიიჩნევს, რომ ყოველგვარი სამყაროს ერთადერთი შემოქმედი არის ღმერთი. ეს თვალსაზრისი ემყარება არა ცოდნას, არამედ რწმენას. მატერიალური თვალსაზრისით კი სამყარო არავის შეუქმნია. იგი მარადიულია, არსებობდა, არსებობს და იარსებებს. იგი განიცდის მუდმივ ცვალებადობას და განახლებას. ამ მარადიულ ცვალებადობაში არის თუ არა რამე უცვლელი? ამ კითხვაზე ფილოსოფოსებს აქვთ ორი პასუხი – პოზიტივისტური და მეტაფიზიკური. პოზიტივისტური თვალსაზრისის მიხედვით, სუბსტანციის პრობლემა არამეცნიერული და უაზრო რამეა. მასზე მეცნიერულად ვერ ვიმსჯელებთ. იგი მეტაფიზიკური შინაარსით არის გაჯერებული. პოზიტივისტ

ფილოსოფოსთა მიხედვით, ეს პრობლემა საერთოდ არც უნდა განვიხილოთ. უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ იმით, რაც ცდაში, ემპირიაში გვეძლევა. უცვლელი არაფერია, ყველაფერი მუდმივ ცვალებადობაშია.

მეტაფიზიკოსთა მიხედვით სუბსტანცია არსებობს. თუმცა აქაც არის აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი შეიძლება იყოს სუბსტანცია – ერთი თუ მრავალი. ამ პრობლემის გარშემო, შესაბამისად, სამი მიმართულება არსებობს: მონიზმი, დუალიზმი და პლურალიზმი. მონიზმი (ტერმინი ბერძნულია და „ერთს“ ნიშნავს) ამტკიცებს, რომ მხოლოდ ერთი სუბსტანცია არსებობს, ერთი საწყისი, საიდანაც ყველაფერი წარმოიშობა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ორ ურთიერთდაპირისპირებულ მიმართულებასთან – მატერიალიზმთან და იდეალიზმთან. მატერიალისტებთან სამყაროს საწყისი მატერიალურია, იდეალისტებთან კი, რა თქმა უნდა, იდეალური. დუალიზმი ორ სუბსტანციას აღიარებს. რაც შეეხება პლურალიზმს, აქ უკვე მრავალ სუბსტანციასთან გვაქვს საქმე.

ფილოსოფიაში გვხვდება საგნის სუბსტანციის პრობლემა. აქ კონკრეტული საგანი დროშია, ე.ი. მას აქვს დასაწყისი და დასასრული. ის ამ შემთხვევაში ერთსა და იმავე საგნიდ გეგეახება და, ამავე დროს, განიცდის მუდმივ ცვალებადობას. იცვლება მისი თვისებები. საინტერესოა, რა არის ამ საგანში უცვლელი, რის გამოც იგი რჩება ერთ და იმავე საგნად? მცენარე, ცხოველი, ადამიანი დროში იცვლება, მაგრამ ისინი მაინც იგივედ რჩებიან. რა არის ეს უცვლელი საფუძველი, რომელიც თითოეულს ამ ცვალებადობაში აერთიანებს? ამგვარ საფუძვლს ფილოსოფოსები უწოდებენ არსებას, რომელიც არის ზოგადი, უცვლელი და აუცილებელი. ეს ყველა საგანსა თუ ინდივიდშია და განსაზღვრავს მათ არსებებს. საგანი როგორც მოვლენა, იცვლება, მაგრამ მისი არსება უცვლელია. საგნის სუბსტანცია არის არსება. კონკრეტული საგნის სუბსტანციის პრობლემა არის არა საგნის საწყისის, არამედ მისი არსების პრობლემა. არსებობს თუ არა არსება? ამ შემთხვევაშიც ერთმანეთს უპირისპირდება მეტაფიზიკური და პოზიტივისტური თვალსაზრისები. მეტაფიზიკურის მიხედვით, ყოველ საგანს აქვს თავისი არსება, რომელიც მის თავისებურებას განსაზღვრავს. თავის მხრივ პოზიტივისტები მიიჩნევნ, რომ არსება არ არსებობს. იგი ცრუ ცნებაა და მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არ აქვს. ფილოსოფიაში ამგვარ საკითხთა გადაწყვეტას ყოველთვის

აქვს ალტერნატივა, რის გამოც ჩვენ გვიჩნდება განსხვავებული თვალსაზრისები და შეხედულებანი. კონკრეტულ მეცნიერებაში კი ასეთი რამ გამორიცხულია. რეალობას უოველთვის ახასიათებს დროსა და სივრცეში არსებობა. რეალობაში არსებული უოველი საგანი დროის რომელიღაც მონაკვეთში არსებობს და იმავდროულად სამყაროს რომელიღაც გარკვეული ადგილი უჭირავს. სივრცე გამოხატავს ობიექტთა თანაარსებობას. ე.ი. ერთმანეთის გვერდით არსებობენ. სივრცე გულისხმობს ორ განსხვავებულ მომენტს – ა) ერთი და იგივე საგნის ნაწილების თანაარსებობას, რომელსაც განფენილობა ჰქვია. ეს ქმნის საგნის მოცულობას, რომელსაც სამი განზომილება აქვს – სიგრძე, სიგანე და სიმაღლე. ბ) სხვადასხვა საგნის თანაარსებობას, რაც გამოხატება მათი ურთიერთგანლაგებითა და ურთიერთმდებარეობით – ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან და ა.შ. საგნებს შორის დაშორებას მანძილით გამოსახავენ. სივრცე არის საგანთა თანაარსებობის ანუ განფენილობის, ურთიერთგანლაგებისა და ურთიერთმდებარეობის წესრიგის ფორმა. თავის მხრივ, რას წარმოადგენს ადგილი? საგანს უჭირავს ადგილი, ეს ნიშნავს, რომ იგი გარკვეულ მიმართებაშია სხვა საგანთან. ადგილი როგორც ასეთი, რადაც დამოუკიდებელი და თავისთავადი ფენომენი კი არ არის, ადგილს ქმნის საგანთა ურთიერთგანლაგება.

დრო გამოხატავს მოვლენათა მონაცემლების, თანმიმდევრობას, ერთიმეორის შემდეგ არსებობს. მისი არსია ცვალებადობა, რომელიც ქმნადობის პროცესშია და გულისხმობს საგნის წარმოშობას, მის განუწყვეტლივ განახლებასა და შემდეგ მოსპობას. თანამედროვეობა ქმნის იმ საგნრძლივობას, რა პერიოდშიც ესა თუ ის საგანი არსებობს. დრო წარმოადგენს ურთიმეორის შემდეგ არსებობის, ანუ თანამიმდევრობისა და ხანგრძლივობის წესრიგის ფორმას. თავის მხრივ, დრო შედგება სამი მომენტისაგან – წარსულის, აწმეოსა და მომავლისაგან. წარსული არის ის, რაც ოდესლაც აწმეო იყო, მაგრამ დღეს უკვე აღარ არის. აწმეო არის ის, რაც ამჟამადაა. მომავალი კი არის ის, რაც ახლა არ არის, მაგრამ შეიძლება იყოს, აწმეოდ იქცეს. რაც ამჟამად არის, რეალურად არ არსებობს. დროის მომენტები ერთდროულად არ არსებობენ. სახეზე ყოველთვის მხოლოდ აწმეო. თავის მხრივ იგი წარსულიდან მოდის და მომავალში გადადის. რეალურია ის, რაც ამჟამადაა. მაგრამ ეს უამიც მოუხელოთებელია, იგი უცებ ქრება. ის, რომ ჩვენ ვამბობთ „ამჟამად“, ის უკვე წარსულშია. დრო რეალურად მხოლოდ „ამჟამად“ არსებობს და განიცდის მუდმივ, უოველწარმიერ განახლებას. როგორც აღინიშნა,

წარსული და მომავალი რეალურად არ არსებობენ, ჩვენ მხოლოდ მათი ცოდნა შეგვიძლია. წარსული აწმუოში მხოლოდ შედეგებით გვეძლევა, მომავალი კი მხოლოდ შესაძლებლობებით. ერთის და მეორის ცოდნაც მხოლოდ აწმუოს ემყარება. ოუმცა განსხვავებულია მათი წვდომის წესი: წარსულის ცოდნა არის შედეგებიდან მიზეზებზე, ხოლო მომავალის ცოდნა მიზეზებიდან შედეგებზე მიღებული დასკვნა. წარსული განსაზღვრავს აწმუოს, ორივე ერთად კი - მომავალს! სივრცე შექცევადია, შეიძლება საგანს ადგილი შევუცვალოთ. დრო კი შეუქცევადი! მას აქვს მიმართულება. იგი მიემართება წარსულიდან აწმუოს გავლით მომავლისაკენ. წარსულს ვერ დავიბრუნებოთ და ვერ აღვადგენთ. მისი არც შეცვლა შეიძლება და არც გადაკეთება. შეცვლა მხოლოდ აწმუოსი შეგვიძლია, რადგანაც იგი რეალურია და მასზე ზემოქმედება შესაძლებელია. მომავალზე ზემოქმედება კი გამორიცხულია, რადგანაც იგი ჯერ არ არსებობს. ჩვენ - აწმუოში ენერგიული და გონივრული მოქმედებებით შეგვიძლია მომავალიც შევცვალოთ.

ჩვენ გარსებობთ სამყაროში და ვქმნით სისტემურ ერთობას - საზოგადოებას. სამყარო და ადამიანი ერთმანეთთან მჰკიდრო კავშირშია. სამყარო, თავის მხრივ, ადამიანს უამრავ მოთხოვნილებას უყენებს. ამავე დროს ადამიანებსაც აქვთ თავიანთი მოთხოვნილებები და ინტერესები, რომლებიც არ ემთხვევიან სამყაროს ამგარად არსებობის პირობებს. ამიტომაც ადამიანებს ყოველთვის უჩნდებათ კითხვები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს სამყარო, რა ადგილი უჭირავს ადამიანს სამყაროში, საერთოდ რას წარმოადგენს ადამიანი, არის თუ არა იგი პიროვნება, რა არის ადამიანის ცხოვრების საზრისი. ყველა კითხვაზე სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული პასუხები გაიცემოდა. ადამიანთა ცხობიერებაც ეპოქათა ცვლილებასთან ერთად იცვლებოდა. იყო დრო, როდესაც ადამიანები ცხოველებს და მნათობებს აღმერთებდენ. მოგვიანებით ადამიანებმა ტრანსცენდენტური ღმერთი აღიარეს და მის შექმნილად ჩათვალეს თავიანთი თავი. შემდეგ კი, როცა ადამიანებმა საკუთარი შემოქმედების ნაყოფი იხილეს, უარყვეს ღმერთი და თვითონ აიღეს პასუხისმგებლობა აწმუოსა და მომავალზე. უკვე თვითონვე ადგენენ ცხოვრების საზრისი. რა არის ადამიანთა ცხოვრების საზრისი? ანუ რა გზით უნდა იაროს ადამიანმა ცხოვრებაში? რა მიზანს უნდა დაუმორჩილოს თავისი საქმიანობა? საით უნდა მიმართოს თავისი ნებელობა? ამას უკვე წყვეტს მსოფლმხედველობა. ადამიანებს რომ მსოფლმხედველობა აქვთ, სწორედ ამით განსხვავდებიან

ცხოველებისაგან. სწორედ მსოფლმხედველობით არის ადამიანი ჩაწერილი სამყაროში ანუ შემმეცნებელია იმ სამყაროსი, რომლის ნაწილი თვითონაცაა და ამდენად შესამეცნებელიცაა სამყაროს განუყოფელ ნაწილად და რაც უკელაზე მთავარია, ადამიანი, როგორც შემოქმედი, ანთროპოცენტრული სამყაროს, ანუ კულტურის შემქნელიც და მსაჭიროებელიცაა! სწორედ მსოფლმხედველობით მოიაზრებს ადამიანი სამყაროსაც და თავის თავსაც ამ სამყაროში. მსოფლმხედველობა მრავალგვარია. შეიძლება იყოს გულუბრევილო, რაც განპირობებულია ადამიანთა ცნობიერებით და საზოგადოებრივი მდგომარეობით. მსოფლმხედველობა შეიძლება იყოს მითოლოგიური, რელიგიური, ან მეცნიერული. მითოლოგიურსა და რელიგიურ მსოფლმხედველობას იკვლევს თეოსოფია. მითოლოგიურსა და რელიგიურს, მეცნიერებასთან მიმართებაში იხილავს თეოლოგია, მეცნიერულად დასაბუთებულ მსოფლმხედველობას კი იძლევა ფილოსოფია. მხოლოდ ფილოსოფია სცემს პასუხს კითხვებს: რას წარმოადგენს სამყარო? მისი საფუძველი მატერიალურია თუ იდეალური? სამყარო მოძრაობაშია თუ არა? შეგვიძლია სამყაროს შემცნება, თუ არა? რა არის ჰეშმარიტება და რა არის ჰეშმარიტების საზომი? და ა.შ. სწორედ ფილოსოფიის მეშვეობით გვეძლევა ცოდნა ამ პირობების შესახებ. თავის მხრივ ცოდნა – არის საგნობრივი ვითარების დახასიათება, რომელიც შეიძლება იყოს ჰეშმარიტი ან მცდარი. იგი ობიექტური და ინტერსუბიექტურია. მისი გაზიარება ან უარყოფა ხდება ცალსახად. ცოდნასთან ერთად რწმენაც განიხილება. იგი არის ადამიანთა დარწმუნებულობისა და დაჯერებულობის განცდა. იგი გამოხატავს არა საგნობრივ ვითარებას, არამედ ადამიანთა დამოკიდებულებას მისადმი. იგი ინდივიდუალური და სუბიექტურია. მას ჰეშმარიტება-მცდარობა არ ახასიათებს. ცოდნა აზრია, რწმენა – განცდა! ცოდნის მიზანია ჰეშმარიტების დაღგენა, რწმენისა კი – ადამიანთა დარწმუნებულობის განცდის გამოხატვა. ცოდნის შემთხვევაში ჩვენ აუცილებლად უნდა გავიზიაროთ ჰეშმარიტი დებულება. რწმენის შემთხვევაში კი შეგვიძლია ჰეშმარიტიც ვირწმუნოთ და მცდარიც. ბოროტიც და კეთილიც, მშვენიერიც და მახინჯიც და ა.შ.

ცოდნასა და რწმენას შორის ასეთი დამოკიდებულებაა: რწმენა დამოკიდებულია ცოდნაზეც, ცოდნაც დამოკიდებულია რწმენაზე. ა) იმისათვის, რომ გავიგოთ, უნდა ვიწამოთ (პავლე მოციქული)! მწამს, რადგან აბსურდია (ტერტულიანე)! ბ) იმისათვის, რომ ვიწამო, უნდა გავიგო. რწმენა ცოდნის ფუნქციაა (პიერ აბელევარი)! გ) რწმენა და ცოდნა

ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. ცოდნა თეორიული გონიერის, ხოლო რწმენა პრაქტიკული გონიერის საქმეა (კ. კანტი). რწმენაც ნაირნაირია. რელიგიური რწმენა ღმერთის არსებობაა. მისი წვდომა არ შეიძლება, იგი ტრანსცენდენტურია, დაფარულია, მისტიკურია, ის არ უნდა იცოდეს, ის უნდა იოწმუნო! ასეთი რწმენა არ არის ცოდნის შედეგი. არის ცოდნა, რომელიც ალბათურია. რაც უფრო დაბალია ალბათურობა, მით მაღალია რწმენა! ასეთია მეცნიერული რწმენა. ეს ისეთი ალბათური ცოდნის ფუნქციაა, რომლის შედეგების ემპირული შემოწმება მომავალში გახდება შესაძლებელი. ცოდნის საშუალებით ადამიანი შეიძლება ჰეშმარიტებას. იგი თავისი უნარებით, აღქმით, წარმოდგენებით, აზროვნებით, წარმოსახვით იმეცნებს საგანსა და მოვლენას და აყალიბებს ცოდნას, რომელიც ჰეშმარიტია, ან მცდარი! შემეცნების საპირისპიროა გამოცხადება. ეს არის ღმერთისა და მისი სახწაულმოქმედების უშუალო ხილვა და განცდა. თუ შემეცნების დროს ადამიანები იძენენ ჰეშმარიტ, ან მცდარ ცოდნას, გამოცხადების დროს ადამიანი მხოლოდდამხოლოდ ჰეშმარიტებას ეზიარება. მოსემ სინას მთაზე მოისმინა 10 მცნება! მას უშუალოდ მოესმა ღმერთის ხმა! მას ღმერთი გამოეცხადა“.

ღმერთმა ნუ მოგაკლოთ ცოდნის სურვილი და ღმერთმა მოგცეთ სამსახოვანი ერთი არსების უპირობო რწმენა!

## Summary

### David Taktakishvili

### The Universe and the Human

(*Philosophical Opinions for the Youth expressing Interest in philosophy*)

The article is aimed at satisfying the interest of the youth and teenagers who already have questions: What is the world, the Universe? What does the human being represent in this huge Universe? Who am I? What is my position in the world? What can I do? What is our function in this life?

The author tried to give answers to the above-mentioned questions. How can the world be considered in the context of philosophy? What kind of problem is the problem of the substance? Is there anything constant in this variable world? What do the empyrean space and time mean? How is

the humans' system integrity – Society established? What is the ideology in the aspect of theosophy, theology and philosophy? What kind of phenomenon is faith? What is the anthropocentric world or the culture created by human?


### **Резюме**

**Давид Тактакишили**

**Мир и человек (Философские суждения для молодых, заинтересованных философией)**

Целью данной статьи является удовлетворить любопытство тех подростков и молодых, у которых уже возникли вопросы: что такое мир, вселенная? Кем является человек в этом огромном мире? А кто же я? В каком отношении я с видимым, или с потусторонним миром? На что я способен? Какова моя функция в этой короткой жизни?

Автор постарался ответить на данные вопросы популярным, понятным для адресатов, языком и еще на ряд вопросов. В частности: как можно сообразить мир в философии? Какова проблема субстанции? Существует ли нечто неизменное во вечноизменном мире? Что означает эмпирическое пространство и время? Каким образом формируется системная общность людей – общество? Что такое Мировоззрение с теософской, с теологической и с философской точки зрения; Что за феномен – вера? Чем является антропоцентрический мир, т.е. культура, сотворимая человеком.



უძველესი პოპულარული დევიზი – „ჯანსაღი სხეული, ჯანსაღი სული“, დღეს შებრუნებულად ქლერს – „ჯანსაღი სული, ჯანსაღი სხეული!“

ამ იდეოლოგიის წარმომადგენლები კაცობრიობის ხსნას სულიერების აღორძინებაში – რწმენის, სიკეთისა და მორალურობის დამკაიდრებაში ხედავენ.

დღეს თანამედროვეობის ძირითად პრობლემად ატომური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და სხვა მსგავსი ფაქტორების გამოცხადებას ბევრი მოაზროვნე არ ეთანხმება. მათი აზრით, მთავარი საფრთხე ადამიანის სულიერი დაცემაა, რაც პრაგმატული ცხოვრების წესის დამკაიდრებამ და მატერიალური ღირებულებების გამოდევნებამ გამოიწვია.

ამ ფილოსოფოსების აზრით, ახლა კაცობრიობის მთელი ენერგია ზნეობრივი სრულყოფისაკენ უნდა იყოს მიმართული, ვინაიდან მან იმ ზღვარს მიაღწია, რომლის იქეთ ან სულიერი აღორძინება ან დაღუპვა. ხსნა თითოეული ადამიანის სულიერ განწმენდაში და იმის გაცნობიერებაშია, რომ კაცობრიობისა და სამყაროს ბედის გამო თითოეული ჩვენთაგანია პასუხისმგებელი. დროა, ხელი ავიღოთ პრიმიტულ მატერიალიზმზე, რომლის მიხედვითაც ადამიანი ფიზიკური სხეულით იწყება და მთავრდება. სინამდვილეში ადამიანი – ესაა ძალზე რთული ინფორმაციულ-ენერგეტიკული სისტემა, რომელიც მხოლოდ რამდენიმე პროცენტითაა ფიზიკური სხეული (დაახლოებით 95-98%) კი სულიერებაა; უმთავრესად ესაა ქვეცნობიერის ინფორმაციულ-ენერგეტიკული ფენა, რომელიც ჩვენთვის იმდენად უცნობია, რამდენადაც თვით სამყარო. მისი შეცნობა თანდათანობით უნდა მოხდეს და ეთიკის განვითარებით უნდა დაიწყოს. ეთიკა და სამყაროს მორალური პრინციპებით ახსნა დაცვის ის სისტემაა,

რომელსაც ჩვენ სუსტად ვფლობთ. სამყაროსთვის არა მარტო ბოროტება-უზნეობაა სახიფათო, არამედ ნეგატიური იდეები და სამოქმედო პროგრამებიც საშიშია, რამდენადაც ამ იდეების მატარებელი ადამიანი არღვევს მის წესრიგს. საზოგადოების და პიროვნების ყველა ცოდვა ადამიანის ქვეცნობიერში ინახება და იქნება წამლავს მის სულს, შემდგებ კი სხვულსაც.

მაგნე იდეების (ბოროტების) ბლოკირების მექანიზმია ავადმყოფობა, რაც სასჯელად გვევლინება. დამსჯელის ფუნქციას ველის თვითრეგულაციის მექანიზმი ასრულებს: შვილი მემკვიდრეობით იდებს მშობლისგან ამ მაგნე პროგრამას და აძლიერებს მას. ამიტომ, ცოდვა შვილზეც გადადის და ამისათვის იგი პასუხს აგებს, ზოგჯერ მშობელზე მეტადაც კი.

ბავშვის ენურეზი (უნებლივ შარდვა) მხოლოდ აისტერგის წვეროა და შესაძლოა იგი ბავშვში დედის ცოდვების გამოც განხდა, მის მიერ დიდი სიყვარულის ჩახშობის, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის და ა.შ. გამო. თუ ასეთი რამ ხანგრძლივად ხდებოდა, ქალს ერღვევა ქალური სტრუქტურა, რის შედეგადაც მისმა შვილმა, შესაძლოა მემკვიდრეობით არა მარტო ენურეზი და სხვა დაავადებები მიიღოს, არამედ პირადი ცხოვრებაც კი დაერღვეს წარუმატებელი საქმიანობით, უშვილობით, გადაჭარბებული მორცხვობით და ა.შ. ენურეზის მოხსნას ფსიქოთერაპევტები და პიპლოზიორები ზოგჯერ ახერხებენ კიდეც, მაგრამ სიყვარულის განადგურების პროგრამა რჩება და შესაძლოა, მან ქალს ან მის შთამომავლობას მიმდე შედეგები მოუტანოს.

ამგვარად, ბავშვებს ბიო-ინფორმაციული ველით გადაეცემათ როგორც ცუდი, ისე დადებითი პროგრამები. ამ პროგრამებს მხოლოდ მშობლები როდი გადასცემენ თავიანთ შვილებს, არამედ ველის დონეზე მშობლებიც აგებენ პასუხს შვილების მოქმედებისათვის. შვილების სიტყვა და მოქმედება მშობლების ველის მთლიანობაზე ანუ მათს სულზე, ბედზე, ჯანმრთელობაზე, ახდენენ გავლენას. ველის მთლიანობის დარღვევით კი ავადმყოფობა და შემდეგ სიკვდილიც იწყება. სუფთა, ანუ დახურული, მთლიანი ინფორმაციულ-ენერგეტიკული ველის მქონე ადამიანი ჯანმრთელია. იგი ლეთაებასთანაა ახლოს; მის მიმართ აგრესია სამყაროს წინააღმდეგაა მიმართული.

**რაკი ინფორმაციულ-ენერგეტიკული ველის თვითრეგულაციის მექანიზმისთვის ცალკეული ადამიანი არ არსებობს და ყოველი ადამიანი ორგანულადაა დაკავშირებული როგორც საკუთარ შთამომავლობასთან, ისე საზოგადოებასთან,**

აქ მიმდინარე ნეგატიური პროცესების ბლოკირების მექანიზმი ავტომატურად ჩაირთვება ავადმყოფობა-ეპიდემიების სახით.

ადამიანის ჯანმრთელობის უკელაზე საუკეთესო დამცველი საკუთარი რწმენით და ნებით მორალური ნორმების შესრულებაა. როცა ადამიანი ენერგეტიკულ თავდასხმას ენერგეტიკული დარტყმითვე უპასუხებს, ჯაჭვურ რეაქციას ვდებულობთ. მაგალითად, თუ ახალგაზრდობისას ბებიამ აბორტი გაიკეთა, რაც საყვარელი ადამიანისგან შეიღის გაჩენა არ ისურვა, სიყვარულის და შეიღის მოკვლის დანაშაულისთვის ასეუსს მისი შვილი და შვილიშვილი აგებენ. სასჯელი სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, ფსიქიკის დარღვევითა და შვილის ბედის დამახინჯებით დაწყებული, სხეულის ავადმყოფობით დამთავრებული.

არც ერთი კატეგორიული ფრაზის თქმა არ შეიძლება მოუფიქრებლად, რაც სიტყვის როლი უზარმაზარია, ესაა ენერგეტიკულ გელზე ზემოქმედება. აგრესიის მატარებელი ადამიანის (ხშირად ასეთები უგოისტები არიან) ველი, როგორც წესი, დეფორმირდება, რაც ავტომატურად მისი და მისი ახლობლების ჯანმრთელობას აუკრესებს. ამ აზრის საილუსტრაციოდ შემდგენ ანალოგია მოჰყავთ: თუ ცოცხალი ორგანიზმის უჯრედი უკელაფერს თვითონ ითვისებს, ერთ ხანს ის კარგადაა, მაგრამ მერე მთელს ორგანიზმს ღუპავს, რამდენადაც სიმსივნედ ყალიბდება. ასევე გარკვეულ ზომადე ეგოიზმიც. იგი ერთ ხანს დასაშეებია, მაგრამ, როცა ადამიანი ხანგრძლივად მხოლოდ თავის თავზე ზრუნავს, ამის დიდხანს გაგრძელება შეუძლებალია, რამდენადაც სამყაროს არსებობის პირობა – წონასწორობა – დარღვეულია. შეუძლებელია სიკეთეების მიღება დაუსჯელი დარჩეს, თუ მას გაცემაც არ აწონასწორებს.

სამყაროს განადგურების პროგრამა – ეგოიზმი, ავადმყოფობამ უნდა დაფაროს. უსაზღვრო ეგოიზმი და მატერიალური დოკლათისადმი მისწრავება კლავს მთავარს – სიყვარულს. ასეთი ადამიანი თავის ველში სამყაროს განადგურების პროგრამას ატარებს. როცა ადამიანისათვის მატერიალური კეთილდღეობა უფრო შეტს ნიშნავს, ვიდრე სულიერი, ესაა წუთიერ კეთილდღეობაზე ზრუნვა, სულიერი სიკვდილის ხარჯზე.

მაშასადამე, ამ იდეოლოგიის მომხრეებმა ის უძველესი მოსაზრება ააღორძინებს, რომლის მიხედვითაც ადამიანობის საეციფიკა სულიერი მოთხოვნილებების მიხედვით ცხოვრებაა. ეს იდეოლოგია მათ ახლებურად გამოხატეს. კერძოდ, მაღალი ენერგეტიკის წყაროები სულიერებაშია. არასულიერი ობიექტების სიყვარული კი მხოლოდ ფიზიკურ, სხეულებრივ ენერგიას

გვძენენ. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ენერგია, რომელსაც უმაღლესი გრძნობიდან იღებს, კურნავს მის სხეულს, ბედს, სულს. უხეში ენერგია (მომხმარებლობა) ფაქტი სულიერი სტრუქტურების დეფორმაციას და დეგრადაციას იწვევს; რაკი სამყარო დმერთმა შექმნა, კიდევ აკონტროლებს მას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველ სასჯელს დმერთი გვიგზავნის (საათი ადამიანმა შექმნა, მაგრამ ადამიანი მის მუშაობას არ განაგებს, დმერთმა შექმნა თვითრეგულაციის დიდებული მექანიზმი და ბიო-ინფორმაციული ველი თვითონ ასრულებს დანაშაულზე სასჯელის მიზნების ფუნქციას. ამ თვითრეგულაციის მექანიზმის შედევად ერთი ადამიანისადმი აგრესია მთელი მისი მოდგმის განადგურების პროგრამას წარმოადგენს. აგრესიული სუბიექტი უარყოფით ზემოქმედებას თავის თავზე იღებს, თავის სანაოესაოსთან ერთად, ანუ მასვე უბრუნდება. თუ ადამიანი საკუთარი ინტერესებისათვის არის აგრესიული და შემტევი, ამისათვის თავად აგებს პასუხს, თავის შთამომავლობასთან ერთად. მაგრამ თუ იგი საზოგადოების სახელით მოქმედებს, პასუხს მთელი საზოგადოება აგებს (ზოგიერთი რევოლუციონერი რომ სამღვდელოებას და ეკლესიას ესხმოდა თავს, ეს სამყაროზე თავდასხმის ტოლფასი იყო. საზოგადოებამ ამ უმაღლესი ეთიკური კანონის დარღვევისათვის მიღიონობით ადამიანის სიცოცხლით აგო პასუხი).

რამდენადაც კაცობრიობის ეთიკურ-ფსიქოლოგიური მომზადება დღეს მის ენერგეტიკულ შესაძლებლობებს მკვეთრად ჩამორჩება, კაცობრიობა თვითუარყოფის რეაქტი იმყოფება. ჩვენ უკავ ვხედავთ ამის შედეგებს.

საქმე იმაშია, რომ რაცი თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაციული ადამიანის ფსიქოლოგია პრაგმატიზმის ფსიქოლოგიაა, ძირითადი აქცენტი მატერიალური დოვლათის დაგროვებაზეა გადატანილი, რაც სამყაროსთვის უსარგებლო პროცესია. ცივილიზაცია ყოველთვის წმინდანების მხრებზე იდგა. მათ მიერ დაგროვილი სულიერი ენერგია დღემდე ეყო კაცობრიობას. დღეს წმინდა ენერგიის დეფიციტია. ამიტომ ღირებულებათა სისტემაში პრიორიტეტი სულიერ სიწმინდეებს უნდა მიენიჭოს. დღეს იმ ადამიანებს უწერიათ გადარჩენა, რომლებიც ერთდროულად წმინდანებიც არიან, ჩვეულებრივი ადამიანებიც და საქმოსნებიც.

თანამედროვე ეტაპზე კი ეთიკური და ფსიქოლოგიური დონე იმდენად ჩამორჩენილია, რომ ცივილიზაციის სულიერ გამდიდრებას ვერაფერს პატებს, რაც კაცობრიობის მომავალს საფრთხეს უქმნის. ამ ხარვეზის შევსება დიდ დროს, ენერგიას და ხარჯებს მოითხოვს, შედეგს კი ცოტა გვიან

იძლევა. ამიტომ საზოგადოებრივი განვითარება ეთიკა-ფსიქოლოგიის გარეშე მიღის. შედეგად სახეზეა დეგრადაცია.

თანამედროვე იდეოლოგები გადარჩენის გზას იმაში ხედავენ, რომ კომერსანტი, პოლიტიკოსი თუ მეცნიერი, წმინდანიც უნდა გახდეს, ანუ მისთვის მთავარი ეთიკური პრინციპები უნდა იყოს. მსოფლიო რელიგიები ხომ სამყაროს გადასარჩენად ადამიანების მთელს ძალებს ფაქიზი სულიერი სტრუქტურების ჩამოყალიბება-განვითარებისკენ მიმართვდნენ! რელიგიური მცნებები სხვა ადამიანის განადგურების და მაშასადამე, თვითგანადგურების პროგრამების ბლოკირებას ახდენენ, ქვეცნობიერის ღონებულებების განმავლობაში, რელიგიების მიერ სიყვარულისა და სიკეთის მცნებებით ადამიანი და მისი თანამომეთა შთამომავლობის ჯანმრთელობა საიმედო იყო დაცული, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სულიერება (ზენობრიობა, წესრიგი, სამართლიანობა, მაღალი იდეალები) გაცილებით უფრო დიდი დირექტულებაა, ვიდრე მიწიერ-მატერიალური, არც სულიერ დირექტულებას არ უნდა ჩავებდაუჭირო, არ ჩავეჭიდოთ და ფეტიშად არ გავიხსაღოთ. რაიმეს გაფეტიშებით კიდევ უფრო დავშორდებით დმერთს. რაიმეზე — სხეულებრივზე თუ სულიერზე — ჩაბლაუჭება ამპარტავნების ცოდვას, აგრესიას და პრეტენზიებს ბადებს, აგრესია — უბედურობებს და ავადმყოფობებს. თუ არის პრეტენზიები, არის აგრესია, თუ არის აგრესია — არის ავადმყოფები!

აგრესიის მოხსნის კარგი საშუალება უპრეტენზიობაა; თუ პრეტენზია მოიხსნება, აგრესიაც ქრება და მაშასადამე, დაავადების მიზეზიც!

აგრესიას სულში შეღწევის საშუალებას არ აძლევს, აგრეთვე გულწრფელობის სათნოება და იგი ადამიანს თავიდან აცილებს დაავადებას.

აგრესიის მოხსნის ერთ-ერთი შესანიშნავი საშუალებაა იუმორი, სპორტი, მუსიკა და საერთოდ, ხელოვნება, რაკი ისინი კათარზისის ფუნქციასაც ასრულებენ; მთავარი კი რელიგიური აღზრდაა, რაც სულიერების აღორძინების და მაშასადამე, კაცობრიობის გადარჩენის იმედსაც იძლევა.

ეს იდეოლოგია გვარწმუნებს, რომ ჯანსაღი სული ჯანსაღ სხეულს განაპირობებს და რაც უნდა სადავო იყოს მისი ცალკეული დებულებები, დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი თვალსაზრისით ნამდვილად დირექტულია!

## გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. ბანძელაძე, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და წეობრივი პროგრესის პრობლემა (სამ ტომად) თბ. 1979-82
2. მ. მეტერლინგი, სულის გამოღვიძება, თბ. გაზეთო „ალტერნატივა“ 5 (19)
3. რ. შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, თბ. 1995
4. კლოდ ლორენცი, ცივილიზირებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა (შესავალი თანამედროვე აზროვნებაში), თბ. 2007
5. ე. ფრომ. Psihoanaliz i etika. M., 1993
6. ს. ლазарევ, Диагностика кармы, СПБ., 1993-96

## Summary

### **Roza Gaprindashvili**

### **Fatal results of making a fetish from material welfare and of spiritual degradation**

Modern ideologists show great interest in the threat of society's spiritual degradation.


They revived the antic wisdom derived from spiritual values (kindness, beauty, truth); Replacement of these values with the material ones threatens mankind. This threat implies processes of enrichment and accumulation. They warn us about death of mankind if the society doesn't get back to moral and spiritual revival.

## Резюме

### **Роза Гаприндашвили**

### **Пагубные последствия фетишизирования материального благосостояния и духовного падения**

Современные идеологи заостряют внимание на угрозе духовного падения общества. Они возродили провозглашенную еще в античное время мудрость о том, что специфику человека составляют духовные ценности (доброта, красота, истина); их вытеснение материальными ценностями создало угрозу существованию человечества в виде пороков, связанных с процессами обогащения и накопления. Они предупреждают нас о том, что человечеству угрожает гибель, если оно не вернется к морально-духовному возрождению.



## ლალი გვასალია

### პულტურის ფენომენი ფილოსოფიურ- სისტემურ ჰრილში

როდესაც პელევის მიზანს კულტურის ფენომენი წარმოადგენს, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება ტერმინ „პულტურის“ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობაზე უნდა გავამახვილოთ. ეს ტერმინი იმთავითვე გადამუშავებულს, ადამიანის ნაზრუნევს, ხელოვნურს აღნიშნავდა, რაც ბუნებრივის, პირველქმნილის საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა.

დროთა განმავლობაში ტერმინმა „პულტურა“ თავის თავში მოიცვა საგანთა, მოვლენათა, მოქმედებათა ფართო საექტრი, რომელთა საერთო თვისებებს წარმოადგენდა ბუნების და ბუნებრივის საპირისპირო ხასიათი, ანუ მათი არა ღვთაებრივი, არამედ ადამიანური წარმოშობა. შესაბამისად, თვითონ ადამიანიც, იმ ზომით, რომლითაც იგი განიხილებოდა როგორც საკუთარი თავის შემოქმედი, ხედებოდა კულტურის სფეროში. ოღონდ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფაქტი, რომ მოვლენა, რომელიც კაცობრიობადა აღნიშნა ცნებით – „პულტურა“, საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ გაცილებით უფრო ადრე იყო შემჩნევლი და გამოყოფილი, ვიდრე რომაელებთან გამოხნდებოდა ტერმინი - „პულტურა“. ძველბერძნული „ტექნე“ (ხელობა, ხელოვნება, ოსტატობა, აქედან – ტექნიკა), რომელსაც არ ქონდა ისეთი ფართო, განმაზოგადებელი მნიშვნელობა, როგორც ლათინურ „პულტურას“, პრინციპი იმასვე ნიშნავდა, – ადამიანურ მოქმედებას, ანუ უფრო უკეთ, მოღვაწეობას, მატერიალური სამყაროს გარდაქმნას, ბუნებრივი საგნობრიობის ფორმის შეცვლას.

როდესაც ადამიანი შეიჭრა ბუნებრივ სამყაროში და ბუნებას ადამიანური დაღი დააჩნია, ეს არ იყო ღვთაებრივი ქმნილება. ღვთაებრივი მხოლოდ თავისუფლება და პრჩხანის უზლაბაბა, რაც დმერთმა უწყალობა მისი კრეაციული

მოღვაწეობის ნაყოფს, მოაზროვნე არსებას, ადამიანს! მაგრამ რა მოთხოვნილება ამოძრავებდა ამ დროს ადამიანს, როდესაც ბუნების კორექტირება მოინდომა? პასუხი ალბათ ასეთია, - ეს იყო თვითშემეცნების, თვითგაცნობიერების, თვითშეფასების ძლიერი, კაცობრიობისათვის მასასიათებელი პოტენცია.

რაც შეეხება კულტურის არსის ფილოსოფიურ დონეზე გააზრებას, ეს იწყება შედარებით გვიან, მხოლოდ მე-17 მე-18 საუკუნეებში პუფენდორფის, ვიოს, ჰელვეციუსის, ფრანკლინის, პერდერის, კანტის მოძღვრებებში. ადამიანი განისაზღვრება როგორც არსება დაჯილდოებული გონგით, ნებელობით, შემოქმედებითი უნარით, ხოლო კაცობრიობის ისტორია - როგორც მისი თვითგანვითარება საგნობრივი მოღვაწეობის წევლით, ამ მოღვაწეობის მრავალფეროვანი ფორმების ყველაზე ფართო სპექტრით - ხელობიდან და მეტყველებიდან დაწყებული პოეზიით და თამაშით დამთავრებული.

კულტურის თეორიის შემდგომი ბედი ევროპულ ფილოსოფიაში იმით იყო განპირობებული, რომ ყოფიერება, სამყარო, სინამდვილე მოიაზრებოდა როგორც ორნაწილიანი, რომელიც თავის თავში მოიცავდა ბუნებასა და კულტურას; ამიტომაც ფილოსოფია უნდა ყოფილიყო ნატურფილოსოფიური ტიპის ონტოლოგიაც და კულტურის თეორიაც, გაგებული როგორც „სულის სამეფო“, როგორც „ადამიანის სამყარო“, როგორც ცნობიერების განსხვავებულ ფორმათი ერთიანობა - ზენობრივის, რელიგიურის, ესთეტიკურის და ა.შ. ოდონდ მე-19 საუკუნის მეცნიერებაში გაბატონებულ ანალიტიკურ სულისკვეთებას იქამდე მივყავდით, რომ კულტურა თავის მთლიანობაში კი არ განიხილებოდა როგორც როგოლად ორგანიზებული სისტემა, არამედ თავის ამა თუ იმ კონკრეტულ, ავტონომიურ გამოვლენაში, რის გამოც კულტურის ფილოსოფია ისეთ კერძო დისციპლინებად განშტოვდებოდა, როგორებიცაა: რელიგიის ფილოსოფია, ეთიკა, ესთეტიკა, ენის ფილოსოფია, გნოსეოლოგია, აქსიოლოგია, ანთროპოლოგია... პოზიტივიზმის გავლენით კულტუროლოგიური ცოდნის სფერო სულ უფრო კირივდებოდა და ემპირიულ-ისტორიული ხდებოდა, რის შედეგადაც საერთოდ გადადიოდა ფილოსოფიური ხედვის სფეროდან კონკრეტულ მეცნიერებათა ფარგლებში (ჟონოგრაფიის, არქოლოგიის, ხელოვნებათმცოდნების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის ისტორიის).

ჰეგელის შემდეგ სულ უფროდაუფრო იშვიათი ხასიათი აქვს კულტურის ერთიანად დანახვის, მისი აგებულების მიღწევის, მისი განვითარების კანონებისა და ფუნქციობის

ჩვენების ცდებს. კულტუროლოგის ნაშრომი ან კულტურის ამა თუ იმ ისტორიული ტიპის შესწავლაზე დაიყვანება – პირველყოფილის, ანტიკურის, შეასაუკუნეობრივის, თუ რენესანსულის, რასაც ვხვდებით ბურკარდთან, ტეილორთან, პაიზინგასთან, ბახტიონთან, გურევიჩთან, ან კულტურის ზოგიერთი განსხვავებული ისტორიული და ეთნიკური ტიპების დახასიათებაზე – დანილევსკი, შენგლერი, სოროკინი, თოინბი. ასეთი კონკრეტულ-ისტორიული და ეთნოგრაഫიული მიღვმოს დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, რომელიც გვიჩვენებს კაცობრიობის მიერ გამომუშავებული კულტურული ფორმების სიმძიდრესა და ამ ფორმათა ისტორიული ცვალებადობის ზოგიერთ კანონზომიერებას, თვითონ კულტურის არსი, მისი ინგარიანტული მახასიათებელი ნიშნები უფრო ეფემერული და მოუხელობელი რჩება და კულტურის ფენომენალური ფორმების მრავალფეროვნებაში იფანტება. აღინიშნა კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს კულტურის არსის გაგების არსებითი განსხვავებანი (პ. ი. მილიუკოვი „რუსული კულტურის ისტორიის ნარკვევები“). მეცნიერთა ნაწილი კულტურას კაცობრიობის გონებრივ, ზნეობრივ, რელიგიურ ცხოვრებაზე დაიყვანს, სხვები კი „კულტურის“ ცნებას იყენებენ მისი თავდაპირველი, ფართო მნიშვნელობით, სადაც ეს ცნება მოიცავს შინაგანი ისტორიის ყველა მხარეს: ეკონომიკურსაც, სოციალურსაც, სახელმწიფოებრივსაც, გონებრივსაც, ზნეობრივსაც, რელიგიურსაც და ესთეტიკურსაც.

სხვათაშორის, გასაკვირი არაა ის ფაქტი, რომ 1952 წელს ა. კრებერისა და პ. კლაპონის მიერ ერთგვარად შეჯამდა კულტუროლოგიური აზროვნების მონაპოვარი მათ უზედამენტურ, განმაზოგადებელ გამოყოფებული – „კულტურა“, სადაც მათ მიერ დაჯგუფებულია კულტურის ცნების 180(!) განსხვავებული დეფინიცია. გამოყოფილ რებრიკათა განსაზღვრულებებია: „აღწერითი“, „ისტორიული“, „ნორმატიული“, „ფსიქოლოგიური“, „სტრუქტურული“, „გენეტიკური“ და „არასრული“, რომელიც საქმაოდ კარგად, გამომსახველად გვიჩვენებენ, რაოდენ მრავალმხრივია საკვლევი მოვლენა და რაოდენ ქაოტურია მისი მეცნიერული შესწავლის ზოგადი სურათი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, სადაც თავის დროზე ანთროპოლოგიის განყოფილება წამოყალიბდა აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით, ძალზე საინტერესოდ მუშაობდა და მუშაობს კულტურის პრობლემებზე. ლაპარაკია აწ განსვენებულ ფილოსოფოსებზე: ანგია ბოჭორიშვილზე, ზურაბ კაკაბაძეზე, ნიკო ჭავჭავაძეზე,

ბეგიაშვილზე, ოთარ ტაბიძეზე, ოთარ ჯიორზე. დღეს კი ამ მიმართულებით მუშაობები: გურამ ლებანიძე, ხოდარ ნათაძე, სერგი ავალიანი, გერონტი შუმანაშვილი, ავთანძილ ძამაშვილი, განო ჭიაურელი და სხვები. ყველა ისინი საინტერესო ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ მოსაზრებებს გამოთქვამენ როგორც კულტურის სტრუქტურაზე, კულტურასა და დირებულებაზე, შემოქმედებაზე, ასევე მეორდოლოგიასაც გვთავაზობენ კულტურის კვლევის წესებზე. რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, მათ ყურადღება დაუთმეს ერს, ენასა და კულტურას.

მინდა აღვნიშნო, რომ 1983 წელს, ტორონტოში  
გაიმართა მე-17 მსოფლიო ფილოსოფიური კონგრესი, რომელიც  
საქციალურად მიეძღვნა პრობლემას „ფილოსოფია და  
კულტურა“. ამ კონგრესზე წარმოდგენილ იქნა თანამედროვე  
ფილოსოფოსთა კულტურისადმი მიღღომის ფართო სპექტრი:  
თეოლოგიურიდან მარქსისტულამდე, რაციონალისტურიდან  
ემოცივისტურამდე, ტექნოლოგიურიდან სიმბოლისტურამდე,  
პერსონალისტურიდან სუბსტანცილისტურამდე, კრეატიულიდან  
დესტრუქტივისტურამდე. კონგრესის მუშაობაში აჩვნება, რომ  
ჩვენს დროშიც მსოფლიო კულტუროლოგიურ აზროვნებაში არა  
მხოლოდ კულტურის ერთიანი გაგება არ არსებობს, არამედ  
არც საერთო შეხედულება მისი შესწავლის გზაზე, რომელსაც  
ექნებოდა უნარი გადაედახა მეთოდოლოგიური უთანხმოება  
(აზრთა სხვაობა), დღვევანდელ კულტუროლოგიაში რომაა  
გამეცემული. ცნება „პულტურის“ მრავალმნიშვნელობა  
იძულებული არიან იმ ავტორებმაც აღნიშნონ, რომელთა  
მონოგრაფიები უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა და  
რომლებიც კულტურის თეორიის პრობლემებს ეძღვნება.  
მაგალითად, მ. დე სერტო საფრანგეთში, კ. ჯენკისი ინგლისში,  
კ. გურევიჩი, ბ. ერასოვი, ი. იაკოვეცი რუსეთში. სენებულ  
სიტუაციაზე თვალსაჩინო წარმოდგენა რომ შეიქმნას,  
კულტურის განსაზღვრებათა რიგს მოვიტან, რომლებიც  
შემოგვთავაზეს გამოჩენილმა ევროპელმა, ამერიკელმა და  
ქართველმა მეცნიერებმა:

1. კულტურა ეს არის კომპლექსი, რომელიც მოიცავს ცოდნას, რწმენას, ხელოვნებას, კანონებს, მორალს, ადათებსა და სხვა უნარ-ჩვევებს, რომლებიც მოპოვებულია ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის მიერ (კ. ტეილორი).
  2. კულტურა არის „მხარვრული სტილის ერთიანობა ხალხის ცხოვრების კავშირი“ (ფ. ნიკში).

3. კულტურა არის მაღალორგანული უნივერსუმის კულტურული ასპექტი, რომელიც მოიცავს წარმოდგენებს, ღირებულებებს, ნორმებს, მათ ურთიერთქმედებასა და ურთიერთდამოკიდებულებას (პ. სორიკინი).
4. კულტურა – ქცევის ფორმებია, ჩვეული ჯგუფების, ხალხთა ურთიერთობების, სოციუმისათვის, რომელთაც აქვთ მატერიალური და არამატერიალური ნიშნები (პ. ოუნგი).
5. კულტურა არის ადამიანის პროგრესულად თვითგათვალისუფლების პროცესი. ენა, ხელოვნება, რელიგია, მეცნიერება – ამ პროცესის განსხვავებული ფაზებია (ე. კასირერი).
6. კულტურა აზროვნების, გრძნობადობის და საქციელის სპეციფიური საშუალება (ტ. ელიოტი).
7. სიტყვა „კულტურა“ ახასიათებს მიღწევათა და ინსტიტუტთა მოელ ერთობლიობას, რომელიც ჩვენს ცხოვრებას გამოაცალკვევს ცხოველისმსგავს წინაპართაგან და ორ მიზანს ემსახურება: ადამიანის დაცვას ბუნებისაგან და ადამიანთა მოწესრიგებას ერთმანეთის მიმართ (ზ. ფრონიდი).
8. კულტურა ადამიანთა უმაღლესი ღირსებების კულტივირების გზით უმაღლეს ღირებულებათა რეალიზაცია (შ. ჰაიდეგერი).
9. კულტურა განსორციელებული ღირებულებებია (ნ. ჭავჭავაძე).
10. ცოდნა ობიექტურია, კულტურა კი – სუბიექტური. იგი ცოდნის სუბიექტური მხარეა, ანუ მოღვაწეობის ხერხი და ტექნოლოგიაა, განპირობებული ადამიანური მატერიის გადამწყვეტი შესაძლებლობებით, და პირიქით, რადაც პირველად კონსტრუირებულია ადამიანში – „გადამჭრელი ზომების“ სახით... „კულტურის“ ქვეშ მე მესმის როგორდაც ერთიანი ჭრილი, რომელიც ადამიანური მოღვაწეობის კველა სფეროს გაივლის (შ. მამარდაშვილი).

დეფინიციათა ეს (არასრული) ჩამონათვალი ალბათ „კრიანი იქნება დავ ტოლსტოის დასკვნით დაგამთავრო „ომისა და მშვიდობის“ ეპილოგიდან: „სულიერი მოღვაწეობა, განათლება, ციფილიზაცია, კულტურა, იდეა – ყველა ეს ცნება ბუნდოვანი და განუსაზღვრელია“...

სანამ დავსვამდეთ აუცილებელ კითხვას – რომ აიხსნება შეხედულებათა ასეთი სიჭრელე და ნაირგვარობა

კულტუროლოგიურ აზროვნებაში, მანამ, ალბათ მოკრძალებით უნდა შევეცადო ჩემი აზრის ჩამოყალიბებასაც კულტურის ფენომენზე: კულტურა ეს არის ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ხორმათა მიხედვით დამყარებული წესიგი, გამოხატული სიმბოლოებში.

ზემოთ დასტულ კითხვას რაც შეეხება, მასზე პასუხის ძიებამ საშუალება მოგვცა ძალზე საინტერესო დაკვირვებამდე მიგსულიყავით: სიტუაციას, რომელიც ჩამოყალიბდა კულტურის თეორიაში, პირდაპირი ანალოგი გააჩნია ადამიანის არსის ფილოსოფიურ ანალიზში და ესთეტიკის მიერ ხელოვნების არსის კვლევაში.

თუ ისმოდა კითხვა „რა არის ადამიანი?“ (კულტურის შემოქმედი) შემოთავაზებული იყო არა მხოლოდ განსხვავებული პასუხები ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში, არამედ ურთიერთგამომრიცხვაზიც. აქ, როგორც ჩანს, საქმე გვაქს ადამიანის როგორც სისტემური პერსონის უნიკალურ სირთულესთან, რომლის არსიც ერთი განსაზღვრებით არ ამოიწურება.

მსგავსი მეთოდოლოგიური სიტუაცია ესთეტიკაშიც აღმოჩნდა, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე გულმოლგინედ ცდილობს ჩასწვდეს ხელოვნების არსე. აქაც ხელოვნების დეფინიციათა ნაირგვარობასთან გვაქვს საქმე. ხელოვნების არსი განისაზღვრება, როგორც „ამსახველი“ და როგორც „შემოქმედი“, როგორც „შემეცნებითი“ და როგორც „შემფასებელი“, როგორც „იდეოლოგიური“ და როგორც „მოთამაშე“; ხელოვნებაში ხედავენ შემოქმედების „თვითგამოვლენის“ ხერხსა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის საშუალებას; მას განიხილავენ როგორც სპეციფიურ ენას და ამ ენაზე ღირებულებით აზრთა გადმომცემს და ა.შ. კულტურის არც ერთი სხვა სფერო, იქნება ეს შეცნიერება, მორალი, ტექნიკა, ენა, რელიგია, თუ სპორტი არ წარმოქმნიდა ამდენ განსხვავებულ და ურთიერთგამომრიცხავ დეფინიციებს. რატომ?

საქმე ის არის, რომ ხელოვნება იმ მოღვაწეობის ერთადერთი ნაყოფია, რომელიც ადამიანის ყოფას მის მთლიანობაში აღადგენს, ანუ „ადამიანის“ ურთულეს სისტემას იერსახეს უქალიბებს. ამიტომაც ხელოვნებაში ყველაფერი შეიძლება ვიპოვოთ: ცოდნა და ღირებულებანი, რეალობის ასახვა და ფანტაზიით კონსტრუირებული იდეალები, ნიშანთა სისტემები და მათში არსებული სულიერი მნიშვნელობანი....

კულტურის შესწავლის შედეგებს მივყართ დასკვნამდე, რომ აქ რაღაც ისეთი ხდება, რაც ადამიანისა და ხელოვნების თეორიულ კვლევას ჰგავს, რადგანაც თუ

ხელოვნება იღუზიურად აღადგენს ადამიანის გამთლიანებულ ყოფას, კულტურა ამ ყოფას ამთლიანებს სახელდობრ როგორც ადამიანურს, ისტორიულად გამომუშავებული ოვისებებითა და უნარებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის, რაც ადამიანში არის როგორც ადამიანური, კულტურის სახით წარმოჩნდება და ეს კულტურა იმდენად მრავალმხრივ-მდიდარი და წინააღმდეგობრივად აღმატებითია, როგორც თვითონ ადამიანი – კულტურის შემქმნელი და კულტურის მთავარი ქმნილება.

მინდა დიდი სიამოვნებით აღვინიშნო, რომ 60-იან წლებში, როცა საქართველოში ღირებულების თეორია მუშავდებოდა, როცა გახდა შესაძლებელი ღირებულების შესაბამისი შეხედულება ჩამოყალიბებულიყო კულტურაზე, ეს შესანიშნავად მოახერხეს ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ და სხვა ქართველმა ფილოსოფოსებმა, რომელთაც კულტურის აქსიოლოგიური ინტერესტებიცია დაუპირისპირებული აღმდეგისა. ამდვაწეობრივ-ტექნოლოგიურ კონცეფციას (ე. მარქაირიანისა).

კულტურამ უნდა მოიცვას ინფორმაციული პროცესები და მათი ორგანიზაციის სემიოტიკური ხერხები, ერთმანეთს უნდა შეეხამოს არსებული ობიექტების ასახვა და ჯერ კიდევ არარსებული ობიექტების შექმნა, ტრადიციული და ინოვაციური, ადამიანის თვითრეალიზაცია და მისი კომუნიკაცია, პიროვნების გამოცალკევების საშუალებები და ამ პიროვნების ურთიერთობა სხვებთან, ხოლო სხვებისა საკუთარ თვეთან, სამყაროს აღქმის თვორიულ-ცნებობრივი და მხატვრულ-სახოვანი ხერხები და ა.შ.

ამდენად, აუცილებელია კულტურა გააზრებული იქნას მისი არსებობის ამ რეალურ ერთიანობასა და კონკრეტულ ფორმათა სისრულეში, თავის აგებულებაში, ფუნქციობასა და განვითარებაში. ასეთი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია და საამისოდ მოწოდებულია მხოლოდ ფილოსოფია, რამდენადაც მას საქმე აქვს ამ მასშტაბის ერთიან სისტემურ ობიექტებთან.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Бахтин М.М. Философия поступка. В: Философия и социология. Ежегодник. – М., 1984-1985.
2. Гуревич П.С. Философия культуры. М., 1994.
3. Данилевский Н.Я. Россия и Европа. – М., 1991.

4. Мамардашили М. Наука и культура. В кн.: Методологические проблемы историко-научных исследований. – М., 1982.
5. Милюков П.Н. Очерки по истории русской культуры. В 3-х томах. М., 1993.
6. Сорокин П.А. Человек, цивилизация, общество. – М., 1992.
7. Тевризян Г.М., О. Шпенглер, Й. Хейзинга. Две концепции кризиса культуры. – М. 1989.
8. Тойнби А. Дж. Цивилизация перед судом истории. Сб. –М. – СПб., 1985.
9. фрейд З. Тотем и табу. – М. 1992.
10. Шпенглер О. Закат Европы. Очерки морфологии мировой культуры. Т. 1-М., 1993.

### **Summary**

**Lali Gvasalia**

**The Phenomena of the Culture from  
the system-philosophic point of view**

The phenomenon of Culture and various approaches to this phenomenon have been discussed in the article. Remarkable endowment of Georgian philosophers working in the field of culture is also mentioned in the article.

### **Резюме**

**Лали Гвасалиа**

**Феномен культуры в системно-философском разрезе**

В статье рассмотрен феномен культуры; проанализированы причины столь разнообразного подхода к этому феномену. Подчеркнут значительный вклад Грузинских философов - культурологов в исследовании культуры – антропоцентрического мира.

## სერგო ლომინაძე

### „შავი“ PR-ის საფუძვლები და მოქმედების მეთოდები

თანამედროვე ეპოქაში მრავალი ადამიანი აწყდება ჩვენი საზოგადოებისათვის ახალ ცნებას – Public Relations – PR. ფაბლიქ რილეიშენზე სოციალური მეცნიერება და მეცნიერულ-გამოყენებითი დისციპლინაა. PR ინფორმაციის ისეთი სისტემაა, რომელიც მიმართულია საზოგადოებაში მაქსიმალურად ხელსაყრელი ურთიერთობების შექმნისაკენ. PR გვასწავლის, როგორ მივადწიოთ ურთიერთობებას, როგორ გადაჭრათ წინააღმდეგობა, კონფლიქტები ხალხსა და ხელისუფლებას, მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის. PR-ის ამოცანაა უჩვენოს, რომ პოზიტიურის აქტივიზაცია და განვითარება პრობლემებისა და კონფლიქტების გადაჭრის ერთადერთი სწორი გზაა. ნებატიურზე ყურადღების გამახვილებას მივყაროთ საზოგადოებაში ურთიერთობათა გაუარესებისაკენ, დააძირდობის ზრდისაკენ, მნიშვნელოვანი მატერიალური და სოციალური დანაკარგებისაკენ.

საყოველოაოდ ცნობილია, რომ მხოლოდ მაღალ ეთიკურ პრინციპებზე აგებულ PR-ს შეაქვს წვლილი საზოგადოების პრობლემების გადაჭრაში. მაგრამ არაან ადამიანები, რომლებიც დაინტერესებულინი არიან ამ პრობლემათა დამახინჯებაში, დახლართვაში. ისინი ესწრაფვიან ადამიანთა ცნობიერებიდან განდევნონ ცხოვრების მოწყობის მთავარი საფუძვლები, გადაიტანონ აქცენტი უფრო ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე. მათი ძირითადი მიზანია ცნობიერებით მანიპულირება. საზოგადოება ამ არაეთიკურ და მაგნიტურ ზემოქმედების ფორმას ცნობიერებაზე უწოდებს „შავ“ PR-ს.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს „შავი“ PR-ის არსი. მაშინ ის შეძლებს უკეთ ამხილოს არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც ფაბლიქ რილეიშენზით ინიდებიან. „შავი“ PR-ის

არაკეთილსინდისიერი ტექნოლოგიის უკეთესი გაგებისათვის ჩვენ უნდა ვიცოდეთ სოფისტია ფილოსოფიის არსი. სოფიზმი არსებობდა ძველ საბერძნეთში ძვ. წ. აღ. მე-5-4 საუკუნეებში. სოფიზმის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ – პროთაგორი, გორგიი, პიპიუსი. ისინი უარყოფდნენ ობიექტურ ჭეშმარიტობას. სპეცუალირებდნენ რა შემეცნების პროცესის ცვლილების, წინააღმდეგობის, სირთულის ფაქტებზე, სოფისტები ახდენდნენ სუბიექტური ჭეშმარიტების აბსოლუტიზაციას. წინასწარ და განზრას არღვევდნენ რა ლოგიკის კანონებს, ისინი ცდილობდნენ ცრუ საბუთები და არგუმენტები გაესაღებინათ ჭეშმარიტებად. ამრიგად, სოფიზმის მიზანია სიცრუის ჭეშმარიტებად გასაღება, ლოგიკურად დაუსაბუთებელი მსჯელობისათვის, ლოგიკური სისწორის მოწვენების მინიჭების გზით. სოფისტიკის ძირითადი ხერხები ესაა განსხვავებული საგნების, ცნებების, მოვლენების გაიგივება, ცნებათა შეცვლა, სასურველზე აქცენტის გადატანა.

ყოველივე ამას მივყავართ გაურკვევლობის, კონკრეტულობის დაკარგვამდე, რაც ხელს უწყობს დემაგოგისა და სიცრუის აყვავებას, აადვილებს ადამიანთა ცნობიერებით მანიპულირებას.

ცნობიერებით მანიპულირება ადამიანს ართმევს თავისუფლებას უფრო მეტად, ვიდრე პირდაპირი და თვით იძულებითი ძალადობით. მანიპულაციის მსხვერპლი კარგავს გონივრული არჩევანის შესაძლებლობასა და უნარს, კინაიდან მისი სურვილების დაპროგრამება გარედან ხდება. ეს კი არის მთავარი სამოქალაქო უფლებებისა და, მაშასადამე, დემოკრატიის საფუძვლების დარღვევა და ზუსტად ამ მიზნებს ემსახურება „შავი“ PR-ი. ცნობიერებით მანიპულირება ხორციელდება ფსიქიკაზე ზემოქმედებით. მანიპულატორები თვლიან, რომ უფრო ადვილია ადამიანთა მოტივება. სიცრუე არის იძულების საშუალება იმისთვის, რომ ადამიანი აიძულონ მოიქცეს არა ისე, როგორც მოიქცეოდა სიმართლის ცოდნისას. სიცრუის გამოყენება ხშირად ხდება რეალურ შედეგთა გაუთვალისწინებლად. ერთ სიცრუეს მივყავართ მეორემდე, შეძლებების კი ტყუილების მთელ სისტემამდე, რის შედეგადაც ნდობის აღდგენა უკვე შეუძლებელია.

„შავი“ PR დამახასიათებელია ქვეყნისათვის, სადაც არის დაბალი სამართლებრივი, ეთიკური და პროფესიული კულტურა. „შავი“ PR მუდამ მოქმედებს მორალსა და სამართალს მიღმა, იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირების საშუალებას. ამისთვის გამოიყენება მხოლოდ სპორადული აქციები, რაც გათვლილია სწრაფ, წუთიერ ეფექტზე, მუდმივად იგნორირებულია სიმართლე, ობიექტურობა. „შავი“ PR

უპირატესობას ანიჭებს ნეგატიურ ინფორმაციას. ერთ პოზიტიურ შეტყობინებაზე მოღის შვიდი ნეგატიური. მასმედიაში ახალი ამბები იწყება უბედური შემთხვევებით, ტერაქტებით, მიმდინარეობს კრიმინალური თემებით ტკბობა. ეს კეთდება ადამიანის ნებით პარალიზების, მისი ყოფიერების განწირულობის, უადგრენაცივობის ჩვენების მიზნით. ყოველივე ეს შემოთავაზებულია, როგორც ბუნებრივი და გარდაუგალი, რათა ადამიანმა არ შენიშნოს მანიპულატორთა მიზნები, დაეთანხმოს მასზე მათი ბატონობის სურვილს. შიშით შეპყრობილი ადამიანი ადვილად ემორჩილება შთაგონებას და მისთვის შემოთავაზებული ნებისმიერი საშუალების სჯერა. ეს ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის პოლიტიკური დემაგოგებისა და არაკეთილსინდისიერ ბიზნესმენთაფის.

„შავი“ PR-ის მეთოდები მოიცავს ადამიანთა ცნობიერებაზე ზემოქმედების საშუალებათა ფართო არსენალს. მაგალითად, გამოიყენება მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკლევების გაყალბებული შედეგები. ამომრჩევებს თავიდან აშინებენ, შედეგ სთავაზობენ ყველა პრობლემის სწრაფ გადაჭრას სასურველი კანდიდატის პრეზიდენტად, პარლამენტარად, გუბერნაციორად არჩევის შემთხვევაში. ამომრჩევებს არწმუნებენ კანდიდატის ქარიზმატულ, ზებუნებრივ თვისებებში. ამისათვის სისტემატურად იმეორებენ ინფორმაციას მისი ჰერა-გონების, მაღალი თვისებების, პატრიოტიზმის შესახებ. სასურველი კანდიდატის იმიჯის ამაღლებისათვის ხშირად იყენებენ ფოტომონტაჟს, სადაც მას საქმიან თუ არაფორმალურ ვითარებაში აქვს ურთიერთობა მსოფლიო და საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებთან.

კონკურენტთა მოსაცილებლად იყენებენ კომპრომატს. კომპრომატი უნდა იყოს ანონიმური ან მოწოდებული დამოუკიდებელი, ავტორიტეტული წყაროდან. უმთავრესი მიზანია ოპონენტის სახით, მტრის საგრის შექმნა, რაც გამოიწვევს უნდობლობას ამომრჩეველში. ოპონენტის დეპუმანიზაციის მიზნით მიდის მისი გაიგივება ბოროტებასთან. ნებისმიერ ადამიანს აქვს ნაკლი, შეცდომები, უთანხმოება ოჯახში, სამსახურში. ამ ფაქტებს საქვეყნოდ ახმაურებენ, განწრას აბუქებენ. პობი სადღება მანიად, ფსიქიკურ ავადმყოფობად. გამბედაობა სადღება სიმკაცრედ, სისახტიკედ, კომპრომისი – სირბილედ. თუ კონკურენტი თავს იმართლებს, ეს განიხილება, როგორც ბრალის აღიარება, თუ დუმს – როგორც ჭეშმარიტების აღიარება. ოპონენტი ანონიმურმა პირმა შეიძლება დაადანაშაულოს პედოფილიაში, ალკოჰოლიზმში, კრიმინალებთან კავშირში. ეს იწვევს ამომრჩევებში უნდობლობას და კანდიდატის სიტყვების და მოქმედებების

უარყოფას. ყველაფერი, რაც გამომდინარეობს ამ კანდიდატისაგან, ხდება მიუღებელი.

ოპონენტზე ზეწოლის მიზნით იყენებენ ფინანსურ ბერკეტებს. ეწყობა საგადასახადო სამსახურის ხშირი კიზიტები, აუდიტორული შემოწმებები, ხდება დიდი ჯარიმების გამოწერა, აყადაღებენ ანგარიშებს ბანკში. სახანძრო ინსპექციას შეუძლია დახუროს კიდეც ფირმა, ოფისი და ამით საწარმოს საქმიანობის პარალიზება მოახდინოს. შეიძლება გაავრცელონ ხმები ინფექციურ დაავადებათა საფრთხეზე, რომელიც მომდინარეობს ოქენი პროდუქციიდან. „შავი“ PR-ის პრინციპია არავითარი ტაბუ, მიზანი ამართლებს საშუალებას.

„შავი“ PR-ის არსენალში გამოიყენება საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელთა და მათ მოკავშირეთა მოსყიდვა. ისინი სრულ ინფორმაციას აწვდიან კანდიდატზე და, მათ შორის, მის კონფიდენციალურ გეგმებზე. ეს იძლევა კონკურენტის სვლების წინასწარ გათვლის საშუალებას. მიმდინარეობს აგრძელება ამომრჩეველთა მოსყიდვა ან კონკურენტის დადანაშაულება მოსყიდვაში. ამ მიზნით ამომრჩეველს ეხმარებიან წერილმანი საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრაში, პროდუქტების გაცემაში, კონკურენტებზე გამარჯვებაში. წინასწარ სტუმრობენ სამხედრო ნაწილებს, ურიგებენ საჩუქრებს ჯარისკაცებს, უთანხმდებიან ნაწილთა მეთაურებს.

ენერგეტიკაში, წყალმომარაგეობაში უწერიგობის გაზვიადება ხდება იმ მიზნით, რომ ქვეყანა უცხო სახელმწიფოზე დამოკიდებული გახადონ. წარმოების მართვის უნარობა გაზვიადებულია მისი შემდგომი შესყიდვის მიზნით. ხმაურის ატეხვა ეკოლოგიისათვის მავნე წარმოების შესახებ ხდება სახელმწიფოს საწარმოო სიმძლავრეთა ლიკვიდაციისა და ბუნებრივ რესურსებზე კონტროლის დაწესების მიზნით. ქვეყნის ცხადება არაცივილიზებულად, არშემდგარად, იმის უნარის არმქონედ, რომ მოაწესრიგოს ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება, შექმნას ეფექტური სახელმწიფო სტრუქტურა. ამგვარად ქვეყანაზე შემდგომში ამყარებენ ფარულ ან ღია პროტექტორულ მმართველობას.

„შავი“ PR საინფორმაციო ომების მეთოდია. ინფორმაციული ომების მიზანია მიაღწიოს იმას, რომ მოწინააღმდეგებ დაკარგოს ბრძოლისა და სამშობლოს შენარჩუნების სურვილი. ინფორმაციული იარაღი მნელად გამოსავლენია. ის სწრაფად იწყებს გადააღილებას და უმაღვე ახდენს ზეგავლენას, მასების ცნობიერების პარალიზებას. ადამიანს არ აქვს უნარი ადეკვატურად რეაგირებდეს უხილავ ზემოქმედებაზე, რომელსაც ძალუმს

მიიღოს კეთილგანწყობის ფორმა. მოსახლეობა ვერ გრძნობს, რომ განსაცდელშია ჩავარდნილი, რადგან მისთვის უხილავია ის ნგრევა, რომელიც დამახასიათებელია ჩვეულებრივი ომისათვის. ის აღმოჩნდა მაყურებლის და არა მონაწილის მდგომარეობაში. შედევად საზოგადოებას არ შეუძლია აამოქმედოს ის დამცველი მექანიზმები, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფება.

ნებისმიერი ინფორმაციული ომის მიზანია თავის არეალში შემოიყანოს უხილავი გარე მართვა. ადამიანთა ირგვლივ იკრიბება ემოციური ინფორმაციის ნაკადი, რომელიც აღწევს ფსიქიკის სიღრმულ ფქნებს. ადამიანის ცნობიერებაში ინერგება დირებულებათა ახალი სისტემა. ინფორმაციული ომის ინიციატორებს შეაქვთ გეგმი ტრადიციულ, ზნეობრივ ნორმებზე. ისინი ახდენენ ორიენტაციას „ახალ“ ლიპერალურ ურთიერთობაზე, სადაც ხდება სექსუალური ურთიერთობის კულტივირება ტრადიციული, ცოდნებული, ოჯახური ცნების ნაცვლად. ხდება აგრეთვე რელიგიურ სარწმუნოებაზე უარის თქმა. კინოს, რეკლამის მეშვეობით იქმნება უცხოური სულიერი ფასეულობების დადგებითი იმიჯი, რომელიც იდეალის რანგში აიყვანება.

ზეგავლენის მოსახლეები, პირველ რიგში, იყენებენ ძალაუფლების მქონე პირებს. ამ მიზნით იყენებენ ჟურნალისტებს, სტუდენტებს, უმუშევრებს. სტუდენტები მათვის წარმოადგენენ პროორიტეტულ სოციალურ ჯგუფს, რადგან ისინი ჯერ არ არიან სოციალიზებულნი და არა აქვთ ჩამოყალიბებული ცხოვრებისეული და პოლიტიკური ინტერესები. სტუდენტები ხშირად ემოციურად დამუხტებული ჯგუფია და ნაკლებად არიან დაკაგშირებული ტრადიციულ ნორმებსა და მორალთან და მიიჩნევიან ცვლილებათა სიმბოლოდ. იმფორმაციის ომის ინიციატორები ხშირად სიმულირებენ ძალადობის აქტებს, ახდენენ ხელისუფლების პროცესირებას დემონსტრაციის დარბევასა და ძალის გამოყენებაზე. შემდეგ ძალადობის სცენები მუსირებს მასმედიის საშუალებებში. მიღის შიშის გაძლიერებული დანერგვა, დაუცველობის გრძნობების შექმნა. იქმნება უალტერნატივობის შეგრძნება, რითაც ხდება მოსახლეობის დიდი ჯგუფის დაპროგრამება.

ინფორმაციული ომი ანგრევს სახელმწიფო კორდინაციისა და მმართვის სისტემას, აყნებს მოსახლეობას, სახელმწიფოს უცხოელთა ნებასთან სრულ დამოკიდებულებაში. ინფორმაციული ომი ყოველთვის ნიშნავს საბაზო მიზნების, იდეების, დირებულებების და კულტურის ტიპების შეჯახებას. ამიტომ საჭიროა, რომ მოქალაქეებ

დროულად გამოავლინოს ინფორმაციული ომის ნიშნები და ის ადამიანები, ვისაც განზრახული აქვთ მისი წარმოება ხალხის წინააღმდეგ.

PR-ის შეფასება ხდება ორი ძირითადი კრიტერიუმით: 1. მოქმედება კანონმდებლობის ჩარჩოებაში; 2. საქმიანობა ეთიკური ნორმების დაცვით. ეთიკის ნორმების დარღვევას მივყავართ უარყოფითი იმიჯის ჩამოყალიბებამდე, უნდობლობის ზრდამდე. „შავი“ PR-ის ინიციატორები თვლიან, რომ ძალაუფლებას, ფულს შეუძლია შეცვალოს ნდობა, მაგრამ დროებითი წარმატება, მოგება ეთიკური ნორმების დაუცველობის შემთხვევაში შესაძლოა გადაიქცეს სრულ კრახად. PR-სპეციალისტს უნდა ახსოვდეს, რომ მორალური ავტორიტეტი მუდამ მაღლა დგას რეალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალაუფლებაზე. ძირითადი ეთიკური ნორმები ისტორიულად მიმართულია სიცოცხლის დაცვასა და განვითარებაზე, ღრმად ზის ადამიანის ქვეცნობიერებაში და ამიტომ დიდ როლს ასრულებს გარემოცველთა აღქმაში, შეფასებაში და მოქმედებაში.

PR-ის მოქმედება იქნება წარმატებული მხოლოდ გრძელვადიანი სტრატეგიის ფილოსოფიაზე დაყრდნობით. ეთიკური ნორმების დაცვას მივყავართ ამგარ წარმატებამდე. PR-ის მოქმედება უნდა გამოადგეო მათ, ვისაც ეს PR დონისძიებები ეხება. PR-სპეციალისტს ხშირად ანდობენ იმ ინფორმაციას, რომელიც დახურულია თვით ძალის ახლობელი ადამიანებისათვისაც კი. პროფესიონალს ანდობენ საკუთარ თავსაც და ყველაფერს, რაც განეკუთვნება ადამიანებს. ამიტომ PR-სპეციალისტის პროფესიონალიზმზე, მის მიერ ეთიკური ნორმების დაცვაზე დამოკიდებულია სახელმწიფოს, ორგანიზაციის იმიჯი, ბიზნესი და მრავალი ადამიანის პირადი ცხოვრებაც. „შავი“ PR ძირს უთხრის მთავრობის ლეგიტიმურობას, ზრდის უნდობლობას მმართველი ორგანოების მიმართ. ამიტომ PR-ის საქმიანობაში მთავარი მეთოდი არის ნდობაზე დაყრდნობა და ნდობის შენარჩუნება. PR-ის ინსტრუმენტები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს არაკეთილსინდისიერი მიზნებისათვის, მოტყუებისათვის, შეცდომაში შეევანისოთვის. PR-ის პრინციპები ესაა სოციალური პასუხისმგებლობის, ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პრინციპები, რომელიც დაფუძნებულია თავისუფალ არჩევანზე, საზოგადოებრივი ინტერესების გაცნობიერებაზე.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. კაპანაძე, ქ. ხახუშვილი. საზოგადოებასთან ურთიერთობა, თსუ, 2003.
2. ვ. ჭიათურელი, ს. ლომინაძე, რ. სტრელკოვა. საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირითადი პრინციპები. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი, 2006.
3. ვ. შებიოძე, ვ. ბოჭორიძე. საზოგადოებასთან ურთიერთობა, თბილისი, 2006.
4. A.B. Ольшевский, A.C. Ольшевский. Негативные PR-технологии. М., 2004.
5. C. Кара-Мурза. Манипуляция сознанием. М.: ЭксмоПресс, 2001.

## Summary

**Sergo Lominadze**

### The foundation and methods of negative PR

The negative PR foundation and methods, its social and philosophical basis are considered in this article. The special attention is paid to the methods and forms of negative PR. The negative PR technologies don't follow law and moral standards. According to this article we see that negative PR technology is one of the tools for information wars. The knowledge of methods of negative PR technology will help to avoid huge material and cultural loses in society.

## Резюме

**Серго Ломинадзе**

### Основы и методы деятельности «Черного» PR

В статье рассматриваются социальные и философские основы «черного» PR. Особое внимание уделяется главным методам и формам деятельности «Черного» PR. Отмечается, что технологии «Черного» PR функционируют вне рамок закона и этических норм. В статье показывается, что «черный» PR является одним из инструментов информационной войны. Знание основ и методов «черного» PR поможет гражданам избежать огромных материальных и культурных потерь в обществе.

**Russudan Tabukaschwili**

## **Geschlechtsspezifisches Sprachverhalten**

Die linguistische Geschlechterforschung als wissenschaftliche Disziplin verdankt ihre Entstehung den Impulsen, die von der Frauenbewegung der späten 1960er- Jahre ausgingen. Die Frauen wollten es nicht länger hinnehmen, daß sie zwar Flugblätter tippen, während der Diskussionsrunden Kaffee kochen und die Kinder betreuen durften, beim politischen Diskurs und bei Visionen zu einer Umgestaltung der Gesellschaft aber weitestgehend ausgeschlossen wurden. Feministinnen entdeckten im Sprachverhalten eine wesentliche Ursache weiblicher Machtlosigkeit. Gerade das war der Impuls für das Forschungsgebiet „Sprache und Geschlecht“ und also die entscheidende Triebkraft für die Beschäftigung mit weiblicher Sprache.

So entstand die feministische Linguistik sowie andere feministische Wissenschaftsgebiete und die Frauenforschung selbst in den 1960-er Jahren im angelsächsischen Sprachraum, von wo aus sie in den französischen und deutschen Sprachraum übernommen wurde. Die linguistische Geschlechterforschung etablierte sich. Die Frage nach dem geschlechtstypischen Sprachverhalten wurde zum Gegenstand wissenschaftlicher Untersuchung gereift. Mit dem Beginn der Debatte um das Thema „Sprache und Geschlecht“ haben sich verschiedene feministische Ansätze in den Sprachwissenschaften entwickelt. Die Publikationen zu geschlechtsspezifischen Gebrauch von Sprache nahmen mehr und mehr zu. Innerhalb seiner etwa 30-jährigen Geschichte hat dieser Wissenschaftszweig eine umfangreiche Forschungsliteratur hervorgebracht, in der sehr heterogene, durchaus widersprüchliche Befunde und Ansätze präsentiert wurden.

„Feministische Linguistik ist ein Spezialgebiet der Linguistik, das einerseits die Sprache selbst, andererseits das Sprachverhalten der Individuen unter feministischen Gesichtspunkten analysiert. In zwei Punkten unterscheidet sich die feministische Linguistik von der herkömmlichen. Einerseits sieht sie sich als intervenierende Wissenschaft, das heißt nicht nur als Wissenschaft, sondern auch als Teil einer sozialen Bewegung und als solche negiert sie nicht ihre politischen Intentionen.

Andererseits beschreibt die feministische Linguistik die Sprache nicht nur, sondern sie kritisiert sie und gibt somit einen Teil ihrer wissenschaftlichen Neutralität zugunsten des Ziels gesellschaftlicher Veränderung auf.. (siehe Wikipedia offene Enzyklopädie „Feministische Linguistik“)

Im Laufe der letzten 20 Jahre haben sich zwei Themenschwerpunkte der feministischen Linguistik herauskristallisiert: Einerseits die feministische Sprachanalyse, das heißt die Analyse der Sprache und der von ihr transportierten Strukturen und Wertesysteme, andererseits die feministische Konversationsanalyse, das heißt die Analyse geschlechtstypischer Gesprächsverhalten und geschlechtstypischer Sprachnormen. Das Thema dieses Berichts liegt in der Schnittstelle des zweiten Schwerpunkts der feministischen Linguistik. Daher soll hier nur auf die Konversationsanalyse eingegangen werden. In der Konversationsanalyse wird das Gesprächsverhalten von Gruppen oder Personen näher untersucht. Die feministische Konversationsanalyse konzentriert sich auf die unterschiedlichen Verhaltensweisen männlicher und weiblicher Kommunikation.

Die ersten Daten zum Thema „weibliches und männliches Sprachregister“ wurden 1664 aufgezeichnet und betreffen einen Stamm auf den Kleinen Antillen, die Kariben. Im 17. Jahrhundert wurde beobachtet, dass es auf den Kleinen Antillen ein Volk gebe, bei dem die Frauen eine andere Sprache verwendeten als die Männer. So berichtete der Dominikaner Breton, dass bei den Kariben Frauen und Männer verschieden sprechen. Was zu den geschlechterspezifischen „Sprechen“ dort rührte, war das ursprünglich kriegerische Verhalten einer Gruppe männlicher Kariben. Diese ließen auf einer Nachbarinsel Arawak-Männer hinrichten. Die weiblichen Arawaks wurden geheiratet. Diese Arawak-Frauen pflegten weiterhin ihre Sprache und gaben diese an ihre Töchter weiter. Die Jungen redeten wie ihre Väter, die Kariben-Sprache.

Nach diesem 1664 veröffentlichten Bericht über die sogenannte „Frauensprache“ der Karibik-Frauen, tauchten immer mal wieder Berichte von Missionären über „Frauensprachen“ bei verschiedenen Stämmen auf. Dennoch blieb das Gebiet des geschlechterspezifischen Gesprächsverhaltens weiterhin ein exotischer Bereich innerhalb der Sprachwissenschaft.

Viele der frühen Untersuchungen in diesem Bereich stammen aus den USA, wo die Wissenschaftlerinnen Mary Ritchie Key und Robin Lakoff die feministische Sprachforschung begründet haben.

Eine der wichtigsten Arbeiten in diesem Zusammenhang ist der Artikel „Language and woman's place“, den die Amerikanerin Robin Lakoff 1973 veröffentlichte und 1975 zu einem Buch ausbaute. Obwohl auch andere das Thema Sprache und Geschlecht etwa zur gleichen Zeit entdeckten (z. B.: die amerikanischen Linguistinnen Mary Ritchie Key und Cheris Kramer oder der norwegische Psychologe Rolf Blakar), gilt v. a. Lakoffs Arbeit als „Initialzündung“ der linguistischen Frauenforschung, da

sie eine breite Diskussion und eine wahre Flut an empirischen Untersuchungen auslöste.

Die Anfangsphase der deutschen und französischen linguistischen Frauenforschung stützt sich auf Hypothesen aus den USA. Existierende Untersuchungen aus Europa, Deutschland und der Schweiz beziehen sich sehr oft auf den universitären und den öffentlichen Bereich (öffentliche Diskussionen, Fernsehen).

Einer der Ersten, die weibliches Sprachverhalten speziell in Europa genauer betrachteten, war der dänische Linguist Otto Jespersen (1925). Jespersen hat es sich 1922 zur Aufgabe gemacht, die Besonderheiten der „Weibersprache“ zu beschreiben. Aufgrund seiner Eindrücke stellte Otto Jespersen verschiedene, sehr konkrete Merkmale des weiblichen Sprechens zusammen, wie z. B.: „Darüber besteht jedoch kein Zweifel, dass die Frauen in allen Ländern davor zurückschrecken, gewisse Körperteile und gewisse natürliche Verrichtungen mit den unmittelbaren und oft derben Bezeichnungen zu benennen, die Männer und vor allem junge Leute bevorzugen, wenn sie unter sich sind. Die Frauen ersinnen deshalb harmlose und schönfärbende Wörter und Redensarten [...]“ (2, s. 229).

In Deutschland leitete Senta Trömel-Plötz 1978 die Diskussion über das Thema „Sprache und Geschlecht“ ein. Ihr Artikel „Linguistik und Frauensprache“ wurde, wie der von Lakoff, Auslöser für eine Vielzahl empirischer Studien.

Auch Wilhelm von Humboldt, der im 19. Jahrhundert Beobachtungen über das weibliche Sprachverhalten anstellte, beschäftigte sich vorwiegend mit Kulturen und Sprachen, die als exotisch galten, z. B.: mit indianischen und afrikanischen Sprachgemeinschaften. Doch auch ganz generell ging Humboldt davon aus, dass Frauen irgendwie anders sprechen als Männer, wenn gleich er sich nicht in der Lage sah, diese Unterschiede zu benennen: „Frauen drücken sich in der Regel natürlicher, zarter und dennoch kraftvoller, als Männer aus. Ihre Sprache ist ein treuerer Spiegel ihrer Gedanken und Gefühle [...]. Wirklich durch ihr Wesen näher an die Natur geknüpft, durch die wichtigsten und doch gewöhnlichsten Ereignisse ihres Lebens in größere Gleichheit mit ihrem ganzen Geschlecht gestellt, [...] verfeinern und verschönern sie die Naturgemäßheit der Sprache, ohne ihr zu rauben, oder sie zu verletzen. Ihr Einfluss geht im Familienleben und im täglichen Umgang so unmerklich in das gemeinsame Leben über, dass er sich einzeln nicht festhalten lässt“. (3, S. 253).

Gemeinsames Merkmal der Berichte über das geschlechtsspezifische Sprachverhalten war, dass stets die Variante der Frauen als abweichende „Frauensprache“ bezeichnet wurde. Die Untersuchungen folgten der Tendenz, die Sprachform der Männer als Norm zu setzen und diejenige der Frauen als erkläungsbedürftige Abweichung zu deklarieren. Daher sieht Trömel Frauen in einer Zwickmühle gefangen: Sprechen sie typisch weiblich, werden sie als Frau akzeptiert, bleiben aber machtlos. Sprechen

sie dagegen wie Männer, gelten sie nicht als „richtige“ Frau oder werden als Emanze diskreditiert (4, S. 288-319).

Die Pionierinnen der linguistischen Geschlechterforschung gingen also von folgenden Annahmen aus: a) Frauen reden anders als Männer, b) weibliches Sprachverhalten bringt Frauen Nachteile in der Kommunikation.

Das Argument zu dieser Zeit bestand darin, dass das vom allgemeinen (allgemein = männlich) Sprechen abweichende weibliche Sprechen defizitär sei. Durch die feministischen Linguistikerinnen wurde das weibliche Sprechen aber als positiv deklariert. Also nicht als mangelhaft gegenüber dem männlichen Sprechen, sondern als das andere Sprechen im Sinne von Differenz zum männlichen Sprechen.

Die ersten Thesen über die Frauensprache stützten sich nicht auf empirische Befunde, aber sie motivierten empirische Forschung zum geschlechtsspezifischen Sprachverhalten. Die erste Untersuchungswelle ergab folgende Tendenzen:

- Frauen orientieren sich in Aussprache und Grammatik an der hochsprachlichen Norm. Männer dagegen neigen zu Formen der Umgangssprache oder des Dialekts.
- Frauen sind höflicher und indirekter als Männer: Sie kennzeichnen ihre Äußerungen z. B.: häufiger als Bitten, wohingegen Männer zu direkten Aufforderungen neigen und den Imperativ verwenden.
- Frauen sprechen andere häufig mit Namen an, womit sie sie aktiv in das Gespräch einbeziehen. Auch gestalten Frauen Gespräche dialogisch, indem sie mehr Fragen stellen. Mithilfe abschwächender Formulierungen geben Frauen ihren Aussagen eine zurückhaltende Form.
- Männer sind in Gesprächen auf die Rolle des Sprechenden orientiert: sie ergreifen häufiger das Wort als Frauen und produzieren längere Äußerungen. Auch neigen sie dazu, andere zu unterbrechen- insbesondere Frauen. Als Zuhörerinnen bekunden Frauen durch Minimalreaktionen wie *hm, ja* oder *genau* ihr Interesse an Äußerungen anderer. Männer geben seltener Minimalreaktionen, erhalten aber mehr als Frauen.. (5, S. 122-146).

Insgesamt wurde bei Frauen ein eher kooperativer Gesprächsstil festgestellt: Frauen greifen Beiträge von anderen auf, lassen andere zu Wort kommen und sprechen persönlicher. Dagegen erscheint der Gesprächsstil von Männern kompetitiv: sie beziehen sich oft auf eigene Äußerungen statt auf die von anderen und kümmern sich weniger um den Beziehungsaspekt des Gesprächs.

Eine neuere Bestandsaufnahme, die ausschließlich Arbeiten aus dem angloamerikanischen Raum betrachtet, kommt zu folgender Liste geschlechtstypischer Unterschiede:

Tabelle (1)

Frauen	Männer
intensivierende Adverbien	Bezugnahme auf Quantität
Bezugnahme auf Gefühle	Beurteilende Äußerungen
Nebensätze	elliptische Sätze
durchschnittliche Satzlänge	Direktive satzeinleitende
	Adverbialangaben
Lokative unsicherheitsverben	Ich-Bezüge
Fragen	Oppositionen, Negationen
Quelle: <a href="http://www.xs4all.be">http://www.xs4all.be</a>	

Ist es für Männer meistens oberste Prämissen Informationen zu vermitteln, so ist es für Frauen wichtig einen emotionalen Bezug zu ihren Gesprächspartnerinnen herzustellen und eine positive Gesprächsatmosphäre zu schaffen.

So änderte sich die vorherige Interpretation des weiblichen Gesprächsstils als negativ. War die ursprüngliche Auffassung gewesen „Frauen reden schlecht“, so bildete sich später die gegenseitige Sicht heraus, die sich in einer Arbeit von Fritjof Werner zum Thema *Gesprächsverhalten von Frauen und Männern* aus dem Jahr 1983 finden lässt. Werner hebt die negativen Auswirkungen hervor, die männliches Sprachverhalten insbesondere auf den Beziehungsaspekt von Kommunikation haben könne, wohingegen weibliches Sprechen beziehungsfreundlich sei. (6, S. 253)

Eine noch deutlichere Abwertung männlichen Sprechens – und damit eine Aufwertung des weiblichen Stils - findet sich in dem 1984 von Trömel – Plötz herausgegebenen Sammelband *Gewalt durch Sprache*. Hier beschreibt Ursula Zumbühl männliches Gesprächsverhalten z. B.: unter folgenden Überschriften:

1. Geschwätzigkeit; 2. Das Kraftsyndrom (auch Wurmsatzsyndrom genannt); 3. Die Pseudostruktur 4. Die Pseudo- Souveränität; 5. Das Selbstermächtigungssyndrom; 6. Das Aufwertungssyndrom; 7. Das Zeiterschleichungssyndrom.

*Die Sprache der Verständigung*, wie Trömel- Plötz die Frauensprache in ihrem Buch von 1996 bezeichnet, wird nun folgendermaßen charakterisiert: „Verzicht auf Selbstdarstellung – wichtig in der Herstellung von Gleichheit: Vermeidung von dominanten Sprechhandlungen – wichtig in der Herstellung von Nähe und Solidarität: Anerkennung der Leistung anderer – wichtig in der Konstruktion von Kompetenz und Arbeitsbegeisterung; Informationsfluß – wichtig in der Herstellung von Solidarität und Loyalität. Alle diese Eigenschaften sind wesentlich für einen humanen Dialog. Sie sind erlernbar und können gesellschaftlich eingesetzt werden zu einer Kommunikation der Verständigung.

Da Frauen sprachliche Dominanzgesten vermeiden und ihr Gegenüber kommunikativ unterstützen, hat weibliche Sprache für Trömel-Plötz eine „therapeutische“, ja gerade „heilende“ Qualität. Frauengespräche sind Idealgespräche (7, S. 16).

In den empirischen Befunden lassen sich einige Unterschiede zwischen weiblichem und männlichem Sprachverhalten wiederfinden, die Lakoff und Trömel-Plötz postuliert hatten. Allerdings ist zu bedenken, dass es sich hier nur um graduelle und nicht um kategorische Unterschiede handelt. Mit Sicherheit sind weder geschlechtstypische Unterschiede noch die Gemeinsamkeiten innerhalb der Geschlechter so groß, dass von unterschiedlichen Sprachen oder Kulturen die Rede sein kann. Frauen und Männer machen lediglich unterschiedlich häufig Gebrauch von Formen aus einem insgesamt gleichen Repertoire.

Männer und Frauen stellen keine homogenen Gruppen dar, die sich durch das Merkmal „Sprachenverhalten“ auszeichnen. Die Unterschiede im Gespächsverhalten der Geschlechter sind nicht absolut – den sprachspezifisch typischen Mann gibt es ebenso wenig typischen Mann – sondern es gibt immer Überschneidungen und Vermischungen. Dies erklärt auch, warum die Forschungen und Schlussfolgerungen verschiedener Wissenschaftler dieses Gebeits zum Teil voneinander abweichen, ebenso wie die Untersuchungsergebnisse verschiedener Studien an sich teilweise recht widersprüchlich sind. Geschlecht ist nur eine von vielen Determinanten, die das Sprachverhalten bestimmen, deshalb sollte sie nicht verabsolutiert und überwertet werden.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Wikipedia. Offene Enziklopiedie „Feministische Linguistik“.
2. Jespersen, Otto. Die Sprache. Ihre Natur, Entwicklung und Entstehung. Heidelberg, 1925.
3. Humboldt, Wilhelm: „Über die Verschiedenheiten des menschlichen Sprachbaus“. In: Humboldt, Wilhelm von: Werke (Hrsg.) von Andreas Flitner und Klaus Giel. Bd. 3. Stuttgart 1963.
4. Trömel-Plötz, Senta: Gewalt durch Sprache. In: Senta Trömel-Plötz (Hrsg.) Gewalt durch Sprache. Die Vergewaltigung von Frauen in Gesprächen. Frankfurt/Main 1984.
5. Gutner, Susanne: Zur kommunikativen Konstruktiom von Geschlechterdifferenzen im Gespräch, 1996.
6. Werner, Fritjob: Gesprächsverhalten von Frauen und Männern, 1983.
7. Trömel-Plötz, Die Sprache der Verständigung, 1996.

### რეზიუმე

#### რუსუდან თაბუქაშვილი გენდერული სამეტყველო ქმედება

სტატიაში განხილულია ის იმპულსები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ფემინისტური დინგვისტიკის კვლევის ერთ-ერთ ობიექტს – გენდერულ სამეტყველო ქმედებას, მიმოხილულია რამდენიმე პეტეროგენული, ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისი და სხვადასხვა მკვლევართა მიერ შემოთავაზებული გენდერული სამეტყველო ქმედების კვლევის მცდელობები. პიპორეზების მიმოხილვისა და მათი კრიტიკის საფუძველზე ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ არ არსებობს ქალთა და მამაკაცთა მეტყველებას შორის განსხვავება და რომ, ისინი მეტყველებისას ამა თუ იმ ენის ერთი და იგივე რეპერტუარით სარგებლობენ.

### Summary

#### Rusudan Tabukhashvili Gender-specific speech

This article represents those impulses, which bases on the researches one of the objects of the feminist linguistic, also it shows us some of heterogeneous alternative points of view and attempt the researches of different sciences, who learned gender-specific speech. we can say critically, which is basing on hypotheses and criticism, that there is no differences between females and males speech, also in a process of speech they operating with the same repertory this or another languages.

### Резюме

#### Русудан Табукашвили Гендерно-специфическая речь

В статье рассмотрены те импульсы, которые являются основой по исследованию одного из объектов феминистической лингвистики, а также показаны некоторые гетерогенные взаимоисключающие друг друга точки зрения и попытки исследований различных ученых, которые изучали гендерно-специфическую речь. На основе рассмотренных гипотез и их критики логически можно сказать, что не существует различий между женской и мужской речью, а так же, они в процессе речи оперируют одним и тем же репертуаром того или иного языка.

## მაია ქავთარაშვილი

**მსოფლიო აბლაბუდის ხლართი –  
აზროვნების ეკოლოგია და მასების  
მარტოობა**

### ინტერნეტი – მასების უახლესი სფერო

ინტერნეტს, რომელსაც დღეს სამართლიანად მსოფლიო აბლაბუდის სტატუსი მიენიჭა, აშშ 1957 წელს ჩაეყარა საფუძველი (მაშინ მას “აპრა” ეწოდა და თავდაცვის სამინისტროსთან არსებულ გასაიდუმლოებულ სტრუქტურას წარმოადგენდა). ამ დროისათვის “აპრანეტის” ქსელში ოთხი კომპიუტერი იყო ჩართული, თუმცა რამოდენიმე წელიწადში ქსელმა აშშ-ის ორმოცამდე კომპიუტერული ცენტრი გააერთიანა. 1989 წელს კი შეიცარიაში, მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიის თანამშრომელმა ტიმ ბერნერს-ლიმ მსოფლიო აბლაბუდის პროექტი შექმნა. სულ მალევე ინტერნეტმა დღევანდელი სახე მიიღო და ინფორმაციის პიპერტონფირებულ საცავად, გავრცელების ულტრა-თანამედროვე არხად, ანუ მასობრივი კომუნიკაციის შემადგენელ ნაწილად იქცა.

აქვე გაჩნდა არაერთგვაროვანი მოსაზრებებიც. ერთნი, როგორც “კიბერსივრცის დამოუკიდებლობის დეკლარაციის” ავტორი ჯონ პერი ბარლოუ, მიიჩნევენ, რომ ციფრული ინფორმაცია თავისი არსით თავისუფალია, ის ბადებს ახალ ურთიერთობის ფენომენს და შლის საზღვრებს, ანთავისუფლებს მომხმარებელს თითქმის ყველა შეზღუდვისაგან და აფართოვებს მის შესაძლებლობებს. მეორენი, პირიქით, ხაზს უსვამენ ქსელსა და კომპიუტერზე ადამიანის დამოკიდებულებას, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან გათიშვისა და გარიყვის პროცესს. მკვლევართა მოსაზრებით, ჩნდება ინტერნეტ-ადიკაცია, ვირტუალური ადიკაცია, რაც რეალობისაგან გაქცევის სურვილით ხასიათდება და ხორციელდება საკუთარი ფსიქიური მდგრადირების შეცვლის მეშვეობით. განვიხილოთ ის ასპექტები, რაც ინტერნეტს ერთგვარ დოპინგად აქცევს.

1. ანონიმური სოციალური ინტერაქციების  
განხორციელება

2. წარმოსახვების, ფანტაზიების რეალიზების  
შესაძლებლობა უკუკავშირის არსებობის გზით (ახალ-  
ახალი როლების სტრუქტურირების, “შე”-ს ახალი მიზანის  
შექმნა, წარმოსახვების ვერბალიზაცია, “ჩეთაობა”, კიბერსექსი).

3. ახალი კონტაქტორის, მოსაუბრის განუსაზღვრელად  
ფართო შესაძლებლობა (ნებისმიერ მომენტშია შესაძლებელი  
ახალი ხაცნობობა გააძა და მაშასადამე, არავის ყურადღების  
დაფასება-გაფრთხილება საჭირო არ არის).

4. ინფორმის შეუზღუდვავი წყაროს ხელმისაწვდომობა  
(ინფორმაციული გამპირიზმი).

ტერმინი “ინტერნეტ-დამოიდებულება” 1996 წელს  
შემოიდო აივენ გოლდბერგმა და აი უკვე ორი ათეული წელია  
ეს ფენომენი თანამედროვე ადამიანის განუყრელ სინდრომად  
გვევლინება. ჩვეული სამყაროს სცენა პროფანირებულ,  
გამოუსადეგარ, გაუფასურებულ ელემენტად იქცევა იქ, სადაც  
წამის ერთეული აკავშირებს და წყების ყველაფერს  
ყველასათვის. როგორც ბოდრიარი ამბობს, ყველა ეს  
ცვლილება სამი რამისადმი შეუქცევადმა ტენდენციამ  
განაპირობა: ელემენტებისა და ფუნქციების მზარდმა,  
ფორმალურმა, ოპერაციონალურმა აბსტრაქციამ და  
ფუნქციონირების ერთიან ვირტუალურ პროცესში მათმა  
პომოვენიზაციამ; სხეულით გადაადგილებისა და ძალისხმეულის  
ელექტრონული ბრძანებებით შეცვლამ, დროსა და სივრცეში  
პროცესების მინიატურიზაციამ, რომელთა რეალური სცენა  
უსასრულოდ მწირი მეხსიერებისა და კერანის სცენად იქცევა [1,გვ.88-90]. ასეთ ყოფას ბოდრიარი კომუნიკაციის ექსტაზეს  
უწოდებს, და დასძენს, რომ ის ყოველგვარი რეპრეზენტაციის  
დასასრულის გამომწვევია. შეიძლება ბოლომდის არ გაიზიარო  
ეს მოსაზრება და მედლის მეორე, პოზიტიური მხარის  
არსებობაც გაითვალისწინო, მაგრამ ვერსად წაუვალთ იმ  
ფაქტს, რომ დღეს-დღეობით მეტი სიცრთხელე და  
გონივრულობა გვმართებს არსებულ მასკომუნიკაციასთან, და  
კერძოდ, ინტერნეტთან პირისპირ დარჩენილო.

ეპლოგიური საზოგადოებისა და აზოგნების ასპექტები  
ემპირიული მასალის დაგროვების მიზნით, კვლევის  
ფარგლებში ეჭვის თვის მანძილზე ჩვატარეთ დაკვირვება  
ინტერნეტის მომხმარებელთა ერთ აუდიტორიაზე, კერძოდ mail  
ru-ს “ნაცნობობის” (“Знакомства”-ს) ჩეთში. მასალის  
მოსაპოვებლად აღნიშნულ მისამართზე გავხსენით და  
დავარეგისტრირეთ რამოდენიმე დამოუკიდებელი  
პორტფოლიო, ანუ შეივსო ანკეტები, განთავსდა ფოტოები,

მოგვენიჭა ინდივიდუალური პაროლები და ა.შ. კომუნიკაცია მყარდებოდა ორივე სქესის სახელით.

განსაკითრებულად დიდი გამოხმაურების ნაკადი მიიღო თითოეულმა ანგეტამ გახსნის პირველივე წელიდან მოყოლებული ორი შემდგომი თვის მანძილზე. შემდეგ ეტაპზე კომუნიკაციის ინტენსიურობამ იკლო და ბოლო, შეექვეს თვეს კომუნიკაცია მხოლოდ რამოდენიმე ადამიანთან შენარჩუნდა. საშუალოდ, დასაწყისში, დღეში ჩვენს ინფორმაციას ეცნობოდა საიტის 25-50 მომხმარებელი, აქედან ფოტოსა და სახელის მითითების გარეშე - ფსევდონიმით, ან, როგორც შემდგომში ირკვეოდა, მოგონილი სახელით, შემოდიოდა დაახლოებით 85%. საინტერესო არჩეული ფსევდონიმების ხასიათიც - ძირითადად ეს მასკულტურის პერსონაჟების სახელებია: სპაიდერმენი, პოტერი, რემბო, ქალთევზა, კასპერი, დიდი ბოსი, განგსტერიტო. თუმცა მხატვრული ლიტერატურის და ისტორიული გმირებიც “გავიცანით” - კარლიტო, რობერტი, დონ ჟუანი, მაკაველი, დედოფალი მარგო, კარლსონი, ნიმფა, დანაია, კლეოპატრა და სხვები. ექვსი თვის მანძილზე სულ 5473 აბონენტი დავაფიქსირებთ. არანაკლებ საინტერესო გახლავთ პერსონალური ანგეტების შინაარსი, რომლის ანალიზის საფუძველზე გამოვყოფთ რამოდენიმე ძირითად კატეგორიას:

1. ვინც მხოლოდ ახალ ნაცნობობას ეძებს,
2. ვინც სპონსორს ეძებს და ან თვითონ უნდა სპონსორობა,
3. ვინც სექსუალურ, ერთჯერად\ხანგრძლივ ურთიერთობას ითხოვს,
4. ვინც ოჯახის შექმნას გარაუდობს,
5. ვინც საზღვარგარეთ “სამუშაოს” ეძებს,
6. ვინც თავის ზრახვებს არ ამხელს,
7. რამოდენიმე მეცნიერიც გავიცანით, კერძოდ ამერიკელი ფსიქოლოგი ქალი, რომელიც მამაკაცის სტატუსით გამოვიდა კონტაქტზე და საღისერტაციო ნაშრომზე მუშაობს.

ევლაზე დიდი პროცენტულობა №№ 1, 3, 4 კატეგორიას ეკუთვნის. ალბათ ეს ჩვენი დემოგრაფიული პრობლემებით აიხსნება და ცხოვრების დაჩქარებული ტემპით, როცა კომუნიკაცია ენაცვლება უშუალო ურთიერთობა-ნაცნობობას. თუმცა, აქვე ავღნიშვნავთ, რომ გამოხმაურების 75% პირადი ნაცნობობის შემოთავაზებით გვირგვინდებოდა. (გამოკვლევის დასრულებისას ყველა შემორჩენილ ახალ კონტაქტორს გავუხსენით კარტები და რეაქცია საქმაოდ განსხვავებული მივიღეთ - დაწყებული კონტაქტის გაწყვეტით, პირად შეურაცხყოფად მიღებით დამთავრებული).

სამწუხარო გამოცდილებაა იმის დაფიქსირება, თუ რეციპიენტთა რამხელა პროცენტმა გამოაგზავნა პომის სუსტური კავშირის დამყარების წინადადება – 35%, ჯგუფური სექტის – 25%.

5473 კონტაქტორთან ასაკობრივი მაჩვენებელი ასე გადანაწილდა:

16-18 წლის მომსმარებელი – 25%,

21-35 წლის – 45%,

40-55 წლის – 20%,

50-ის ზემოთ (დაფიქსირდა 78 წლის მამაკაცი) -5%.

ფაქტობრივად, ინტერნეტ-ქსელში, და კონკრეტულად ნაცნობობის მაძიებელთა საიტში, ჩაბმულია მოსახლეობის თითქმის ყველა შრე, სტუდენტ-ახალგაზრდობიდან დაწყებული, პენსიონერებით დამთავრებული. რაც შეეხება პროფესიულ კუთვნილებას, აქ როგორიცაა ენდო კომუნიკაციის შედეგებს, თუმცა ძირითადად მაინც უმუშევართა დიდი კატეგორია და კომპიუტერული უზრუნველყოფის სპეციალისტები, ან კომპიუტერთან სხვა თანამდებობრივი კავშირების მქონე ადამიანი ჭარბობს. (პერსონალური კომპიუტერით რეციპიენტთა 10% სარგებლობს).

რადგან ცნობიერება მიზეზია და არა შედეგი, და, იმავე დროულად, ის მატერიალური სამყაროსაგან მოწყვეტილი ვერ განვითარდება, კვლევის განმავლობაში პერმანენტულად თავს გაეხსენებდა ბოდრიარის მოსაზრება – კომუნიკაციისა და ინფორმაციის დამკვიდრებით ახალი ფორმის შიზოფრენიას ვდებულობთ [1-გვ.95]. მართლაც, კვლევის შედეგად რჩება შთაბეჭდილება, რომ დაიკარგა ყოველივე ინტიმური, საქართველო, ხდება მოჩვენებითისა და ილუზორეულის წინამოწევა. რომ არაფერი ვთქათ რამოღენიმე ფსიქიურად აშლილ კონტაქტორზე (ამას, ბუნებრივია, მხოლოდ ინტერნეტს ვერ და არ ვაძრალებთ) შეშფოთებას იწვევს ნაცნობობის მსურველთა უმრავლესობის ზოგადი კულტურის, განათლების, აზროვნების დონის სიმწირე. მოთხოვნილებათა, ფასეულობათა შაბდონურ-სტერეოტიკული შეკალა, სადაც პირველ რიგებში სექსი და გართობაა. დამაფიქრებელია, საყოველოაო გაუცხოების, ცინიზმის, უნდობლობის, შიშის მომენტი, წაშლილია ზღვარი ქალისა და მამაკაცის როლებს შეა – სახეზეა მამრთა ფემინიზაციისა და მდედრობა მასკულინიზაციის პროცესი. უპერსპექტივობის, გაქცევის სინდრომით შეპყრობილია ჩვენი ახალი ნაცნობების 45-50%.

პირადი ნაცნობობა არა მხოლოდ აგრესიის დამამუხრუსტებელი ურთულესი მექანიზმების წინამორბედი, არამედ აგრესიული მოწოდებების თავისთვად დამაქვეითებელი

ფენომენია [5,გვ.255]. ანონიმურობა კი ხელს უწყობს აგრესიულობის გამოვლენას – საკმარისი ხდებოდა “ნაცნობს” არ მიეღო მისთვის სასურველი ან მოსალოდნელი პასუხი, რომ აგრესიას, გალიზიანებას ვერ მალავდა. მართალია, ერთის მხრივ, ინტერნეტი აახლოებს ადამიანებს, მაგრამ იმავდორულად “უპიროვნებო”, უსახურ, და მაშასადამე, პასუხისმგებლობას მოკლებულ კონტაქტზე გაყავს. მით უფრო, როცა ადამინის განმასხვავებელი და დამცავი მექანიზმი – სიცილი ქსელში მხოლოდ წერტილ-მძიმეების ნიშანით და პირველყოფილი პიქტოგრამების მაგვარი სიმბოლოებით შემოიფარგლება. (საერთოდ, ამ თვალსაზრისით ინტერნეტ-კომუნიკაციის ერთი ასპექტი კაცობრიობის საკომუნიკაციო მიღწევების სფეროში უკან გადადგმულ ნაბიჯად გვევლინება. ადამიანებსშორისი ურთიერთობის დამყარების უუნქცია გრაფიკული გამოსახულებების მეშვეობით დამწერლობამ ათასწლეულების უკან უუსაბდო და კაცობრივობის გონის უდიდეს მიღწევად იქცა კიღეც. დღეს ინტერნეტი აქტიურად იყენებს პიქტოგრამებსა და იდეოგრამებს, რაც ინტერნეტ-კომუნიკაციის სიმწირესა და შეზღუდულობაზე მიუთითებს. თუ ძველ ეგვიპტესა და რომში ემბლემებისა და გამოსახულებების მეშვეობით ახდენდნენ ბუნების საიდუმლოებების შენახვას, მორალის, მეცნიერული ცოდნის სიმდიდრის დაგროვებას, მაღალზნეობრივი საქციელის სტიმულიორებას უწყობდნენ ხელს [2,გვ.89], რაოდენ მწირი და ერთხაზოგანი ინფორმაცია გადაიცემა ინტერნეტ-სიმბოლოების მეშვეობით). ყოველივე ზემოთაღნიშნულს ემატება ნაცნობობის უზარმაზარი წრე, რაც, როგორც დავინახეთ, ამცირებს თითოეული ცალკე აღებული კავშირის ფასეულობასა და მნიშვნელობას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მრავალი ინდივიდის ერთ სიბრტყეზე თავმოყრა სოციალური რეაქციების დაჭვიათებას იწვევს, ძნელი გასაგები არ იქნება ჩვენი კალევის შედეგად მიღებული აგრესია, უჭვი და შიშის გამოვლინებაც კი – “თუ სხვასაც ესაუბრები, მაშინ მე წავედი!” “რატომ მეკითხები, მოგზავნილი ხარ?” “მომავალი? არა, კარგს არავერს ველოდები”.

შიშის ფაქტორი, ნებატიური მოვლენების მოლოდინი, რომელსაც ადამიანი უშუალოდ მისთვის დასაშვებს ხდის, ოდითგან გადამწყვეტ როლს თამაშობდა პიროვნებისა და საზოგადოების არსებობის პროცესში. ადამიანები საკუთარ შიშებს თრი ძირითადი წყაროდან კრეფენ – “პირველი ხელიდან”, ანუ პირადი და საკუთარი თჯახის გამოცდილებიდან და “მეორე ხელიდან” – იმ ადამიანებისაგან, რომელთანაც კომუნიკაციას ამყარებენ, კულტურული და სოციალური ინსტიტუტებისგან. შიში არა მხოლოდ

ფსიქოლოგიური, არამედ კულტურულ-ფსიქოლოგიური ფენომენია. თითოეული კულტურა საკუთარ შიშებს ახვევს თავს ამ კულტურის ნებისმიერ მატარებელს. მასობრივი ხასიათის შიშები მკვეთრად განსხვავდებიან სხვადასხვა ქვეყნის სივრცეში. შიში ზემოქმედებს ადამიანის ქცევის სტრუქტურაზე, ან საერთოდაც განსაზღვრავს ქცევის სტრატეგიას. თანამედროვე პოსტმოდერნისტული ხერხით წარსულის აწყოში “ჩაშენება” აძლიერებს აწყოს მნიშვნელობას, რადგან გვაიძულებს წარსულში გარდასული “აწყო” დავინახოთ. წარსულის რელიატივიზაცია აქვეითებს შიშის ფაქტორს. გარდასული უპვე აღარ აღიქმება ნორმად და მიბაძვის ნიმუშად, შესაბამისად, შიშებიც ინაცვლებენ – ისინი მომავლისაკენ მიერართებიან. თანამედროვე ქართული საზოგადოების შიშებიც ამ პრინციპით განისაზღვრება, ჯერ კიდევ ცოცხალია საბჭოური სისტემის ტოტალური შიშების გავლენა, არც მიმდინარე არასტაბილური პროცესები უწყობს ხელს პიროვნების და მთლიანად საზოგადოების უმოციონალურ დასტაბილურებას.

ინტერნეტ-კომუნიკაციის	კვლევისას	შევჯახეთ
სოლივსიზმის	გამოვლინებასაც	–
		უკიდურესად

განმარტოებული და ეგოიზმით გაქცეუნთილი ადამიანების მსოფლმხედველობას. ასეთი კონტაქტორი არად დაგიდებს საწინააღმდეგო მოსაზრებას, მისოვის სამყარო მაქსიმუმ ორგანზომილებიანია და წამყანი სფერო პირადი ინსტინქტებით განისაზღვრება. “არ აქმაყოფილებ ჩემს მოლოდინს-მოთხოვნას – აღარ შემოვალ კონტაქტში”, მოთხოვნილება, როგორც წესი გარცენტრული და აღვირახესნილია.

გარკვეულ სირთულეს წავაწყდით ენობრივი ბარიერების თვალსაზრისით. იქ, სადაც მხოლოდ ვერბალური კომუნიკაციაა, გაცილებით დიდი დატვირთვა მოდის ასო-სიმბოლოზე, ენობრივ პატერნების ფუნქციონალურ მოხმარებაზე. რადგან ენა აღამიანის რეპრეზენტაციის ხერხია და არსებული გამოცდილების მოდელებს ქმნის [3,გვ.21-31], ნათლად გამოიკვეთა მომხმარებელთა სოციალური სტატუსი. მათ მიერ აპრობირებული ლექსიკა ერთვეროვანი და ლოკალურია, ის მხოლოდ კიბერსივრცეში ხდება გასაგები და მისაღები. ამგვარი სტაბილური გამოცდილება, სკეცმეტყველების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ტოვებს სხვა, შინაგანი რეპრეზენტაციულ სისტემებში ამოტივაციების და, მეტიც, ჩანაცვლების საშიშროებას. მნიშვნელოვანია ის არგუმენტიც, რომ ასეთი “საუბარი” არა მხოლოდ რაიმეზე არსებულ წარმოდგენას ასახავს, არამედ ახალი

წარმოსახვებისა და არსებულის მოდიფიკაციის უნარიც შესწევს. შესაბამისად, ინტერნეტ-ნაცნობობაზე ყოველდღიურად დახარჯული რამოდენიმე საათი პოტენციურად სპეციფიური და ღრმა როლის შემსრულებელია რეალურ ცხოვრებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით.

ინტერნეტ-კომუნიკაციის აწყობის მცდელობისას, არაერთხელ დადასტურდა საერთო სემანტიკის დამარტინირების ალფრედ კოუბის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ჩვენი საზოგადოების პროგრესი განპირობებულია ადამიანის მობილური ნერვული სისტემის არსებობით, რომელსაც ძალუმს შექმნას და გამოიყენოს სიმბოლური რეპრეზენტაციები [4,გვ.,76] და რომ ცდომილება ასეთი ენობრივი მექანიზმების აღქმა-გამოყენებისას მრავალი შეცდომის საფუძველია. თუ მეცნიერს მიაჩნდა, რომ ადამიანებმა უნდა ისწავლონ ენის სწორი გამოყენება, რათა თავიდან აიცილონ კონფლიქტები და გაუგებორობები, ჩვენ დავამატებთ, რომ ინტერნეტის სივრცეში ეს მოთხოვნა გაცილებით მძაფრდება და საკრალურ ხასიათს იღებს. ეკრანის სივრცეში ჩაკვეტილი ნიშან-სიმბოლოებით აღჭურვილი კომუნიკაცია ფერქებადი ნივთიერებასავითაა – ოდნავი არაზუსტი ნაბიჯი შეუქცევად პროცესებს იწვევს. კიბერსივრცე არ ტოვებს სიტუაციის უნიკალურობის აღქმის საშუალებას და შესაბამისად, ალტერნატიული ინტერაქტების მიებას გამორიცხავს. ამიტომ ყველა კონტაქტი ერთხაზოვნანი და ერთგანხომილებიანია – ახ-ან. ყოველივე მომხმარებლის შინაგანი სამყაროს მოდელზე დამოკიდებული და აქ სნაიპერის მიერ მიზანში ხარ ამოღებული – შეცდომა მომაკვდინებელია კომუნიკაციისათვის. შენ ან საუბრობ კონტაქტორის ენაზე ან ირიყები. აინშტაინის არ იყოს, ასეთი პროცედურის მოგვარება შეუძლებელი ხდებოდა არსებული აზროვნების ფარგლებში. ინტერნეტ-კომუნიკაცია კითხვა-პასუხის სქემას აგებს და ამ სქემაშივე ებმება, ენის რთული სინტაქსური სტრუქტურიდან, ბინარულ-სიგნალებითურ სისტემაზე გადავიდა, რაც უწევები ტესტირების რეჟიმში გვამყოფებს. კომუნიკაცია მართლაც ერთიანი წამიერი ციკლის მეშვეობით ხორციელდება და რომ ყველაფერი რიგზე იყოს, აუცილებელია ტემპი. სიჩუმისათვის დრო და ადგილი აღარ რჩება. სიჩუმე განდევნილია ეკრანებიდან, განდევნილია კომუნიკაციიდან [1,გვ.,75] და ჩვენ დავამატებთ, განდევნილია, მონიტორიდანაც. ისიც ცხადად დადასტურდა, რომ ინტერნეტ-კომუნიკაციური ნაცნობობა “მხოლოდ იძულებითი სცენარია, უწევები ფიქციაა, რომელიც სიცარიელისაგან გვანთავისუფლებს – და არა მხოლოდ ეკრანის (მონიტორის),

არამედ ჩვენი აზრობრივი ეკრანის სიცარიელისაგანაც”  
[1.გვ.98].

ინტერნეტ-კომუნიკაციის დამყარების მცდელობაშ კიდევ  
ერთხელ დაგვარწმუნა თანამედროვე საზოგადოებისათვის  
ეკოლოგიური აზროვნებისათვის დამახასიათებელი უნარ-  
ჩვენების გამომუშავების აუცილებლობაში, მასკომუნიკაციური  
არხების, და უაირველესად ინტერნეტის, საზოგადოებრივ და  
ინდივიდუალურ ცნობიერებაზე ზემოქმედების განსაზღვრის,  
ფასეულობების, კულტურული სახეების, სოციალური  
განწყობების მექანიზმების ფორმირების აუცილებლობაში.

მთლიანი სისტემის ცალკეული ელემენტების განსაზღვრა  
ყოვლად შეუძლებელია მათი ურთიერთკავშირების გარეშე და  
რაც უფრო რთულია სისტემა, მით უფრო რთულდება მისი  
შესწავლა-აღწერის პროცესი. ბენებრივია, ჩვენი დაკვირვება არ  
აცხადებს პრეტენზიას ინტერნეტის ზემოქმედება-გავლენის  
სისტემურ ანალიზზე. ჩვენ მხოლოდ ერთი, მცირერიცხოვანი  
სეგმენტი აღვრიცხეთ და შევეცადეთ ანარეკლი დაგვნახა  
მთლიანი სურათის. სურათისა, რომელიც მასობრივი  
კომუნიკაციის განუყოფელი ელემენტია და, მეტიც, მისი  
უზუქციონირების, სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრელის  
როლსაც ირგებს. დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ  
ინტერნეტ-კულტურა ისეთივე შემეცნების პროცესს მოითხოვს,  
როგორც სხვა დანარჩენი. ჩვენს სახელმწიფოს და  
საზოგადოებას დიდი სამუშაო აქვს ჩასატარებელი ამ  
კულტურის დასამკაიდრებლად, რადგან, აღმოსავლური  
სიბრძნის არ იყოს, თუ არსებობს მოვლენა, რომელსაც  
ვეღარაფერს დაგაკლებთ, უნდა მოვიქცეთ ისე, რომ ამ  
მოვლენამ ჩვენ ვერაფერი დაგვაკლოს!

მაგრამ, სრცევენოდეს იმას, ვინც თავის მოსაზრებებში  
ბრძოლის დონეს ცდილობს აცდეს, ხოლო მოსაზრებებს იმავე  
ბრძოლის მიერ მოგონილი ხერხების საფუძველზე აგებს. . .

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Бодрияр Ж., Прозрачность зла. М. 2002.
2. Ломаццо Джанпаоло, Трактат об искусстве М. 1998.
3. Дилтс Роберт, Фокусы языка Питер, 2001.
4. Крюгер Майрон, Искусственная реальность, М. 1972.
5. Лоренц Конрад, Агрессия ( так называемое зло) М.1994

## Summary

**Maia Kavtarashvili**

**Cobwebby of the world - Ecology of thinking and loneliness of the Masses**

*The article presents the newest source of communication which has become the problem of our society. Internet communication depends on society. It should be mentioned that communication and especially Internet and online communication can be considered to be some kind of doping in the present situation.*

Investigation of online communication, research and analysis of Internet communication have been considered in the article.

Investigation facts mentioned in the article correspond to the analysis of modern Internet. The article presents analytical conclusion according to 5473 particulars by members of mail.ru and mail-Agent. We can discuss psychological and mental characteristics of Georgian users according to all particulars and forms.

*We also present opinions about other dangerous phenomena and facts existing in the world: values and spiritual treasures discrimination, fright and aggression activation and many other basic tendencies and facts of the world .*

Some analysis and results of scientific investigation show up the necessity of creating technologies of “thinking ecology”.

## Резюме

**Мая Кавтарашвили**

**В сетях мировой паутины – экология мышления и одиночество массы**


Интернет, как новейшая сфера масскоммуникации, породил неоднозначные взгляды на свою явную неоднозначность. С одной стороны, он явил феномен новых отношений, отменил границы и ограничения, чем и освободил потребителя виртуальной реальности от узости кругозора, даровав ему безграничные возможности. С другой точки зрения, всемирная паутина намертво приковала человека разумного к экрану монитора, превратив его – человека – в загнанного в виртуальную адикацию и в интернет допинговую зависимость.

Рассмотрев один сегмент интернет-коммуникации, в частности сайт интернет-знакомств, пообщавшись в течении более полугода с 5473 абонентами, мы получили довольно показательную картину. Аудитория потребителей сайта представлена почти всем социо-

демографическим спектром Грузии. Перефразируя Бодрияра, интернет-знакомства это только непрерывная фикция, которая освобождает нас от пустоты, пустоты не только экрана монитора, но и от пустоты мыслительного экрана.

В рамках проведенного исследования, мы также столкнулись с проявлением солипсизма – с мировоззрением крайне одинокого и пропитанного эгоизмом коммуникатора, коммуникатора, для которого мир двухмерен и ведущая сфера в нем определена инстинктами и всеобъемлющим страхом одиночества и неприкаянности.

Естественно, мы не претендуем на системный анализ интернет-зависимости или его глобального воздействия на потребителя. Мы только отразили блик той проблемы, перед которой стоит общество, и констатируем, что интернет-культура требует процесса познания, как любая другая. Обществу и его научному сообществу предстоит большой и нелегкий труд для утверждения новой культуры коммуникации и образа мышления, предусматривающего экологию мыслительных процессов. Поскольку, когда существует нечто, с чем мы ничего не в состоянии поделать, надо хотя бы сделать так, чтоб оно ничего не сделало с нами.



**ლია ბოლქვაძე  
გიორგი ძიძიგური**

**პოლიტიკური ზნეობრიობა თუ ეკონომიკური  
რაციონალურობა**

ათასწლეულებმა, ეპოქებმა, საუკუნეებმა დაგვანახეს, რომ პოლიტიკას კაციობრიობის ისტორიაში განსაკუთრებული ყველაზე უმნიშვნელოვანესი და უდავოდ შეუცვლელი ადგილი უკავია. პოლიტიკა შექმნეს ადამიანებმა თავიანთი კეთილდღეობისათვის. სწორედ კეთილდღეობაა მისი ძირითადი მიზანი. იმავდროულად თითოეულ ინდივიდს, როგორც განსხვავებულს და როგორც უნიკალურს, მიზანი პოლიტიკისა სხვადასხვანაირად ესმის. მაშასადამე, სხვადასხვანაირად ესმით მიზეზი კეთილდღეობისა. აქედან გამომდინარე, კაციობრიობის ისტორიის მანძილზე მიმდინარეობს პოლიტიკის, საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფი მექანიზმის, პერმანენტული ფორმირება.

როგორი უნდა იყოს პოლიტიკა: რაციონალური თუ მორალზე დაფუძნებული, ფუნდამენტური ღირებულებების მიმდევარი თუ ინოვაციური. სწორედ ამ საკითხებს ეხება ჩეგი თქმა, რომელშიც განვიხილავთ რამდენიმე მნიშვნელოვან მაგალითს და ვიმსჯელებთ მათ გარშემო.

პოლიტიკა ჩვენი არსებობის ეველაზე საინტერესო და ამასთანავე ეველაზე მძიმე სფეროა, რომელთანაც ხშირად ზნეობის საკითხების დაკავშირება გაუმართლებელი და ხშირად საშიშიც შეიძლება იყოს. მაგალითად, „იქსო ქრისტე ყოველთვის თავს არიდებდა პოლიტიკური ხასიათის საკითხებზე მსჯელობას, მაგრამ მაინც პოლიტიკური მოტივით აცვეს ჯვარს“ (5).

ვერც ერთი სოციალური იდეალი ვერ განხორციელდება ცოდვის ჩადენის გარეშე. ადამიანები მოვალენი არიან დაიცვან ზნეობრივი მოთხოვნები, რაც პოლიტიკური სტაბილურობის

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწინძარია, მაგრამ ხელისუფალმა, საჭიროებისამებრ, თუ ეს ქვეყნის ინტერესებს ემსახურება, შეიძლება და ზოგჯერ მოვალეც არის დაარღვიოს ზნეობრივი კანონი. (5)

პოლიტიკა არ არის ბინძური საქმე, ვიდრე არ მოხდება მასში სიბინძურის შეტანა. „თუ კაცი არ გრძნობს, რომ მისი პირადი ცხოვრების არსი საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურია, მას პოლიტიკაში არაფერი უნდა ესაქმებოდეს“.

სამწუხაროდ დღევანდელ რეალობაში, ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკა ექვრდნობოდეს ზნეობრივ ნორმებს, ქვეყნად გაბატონებულია განუკითხაობა და უსამართლობა. ნაცვლად, იმისა რომ ვინმე ფიქრობდეს, ადამიანებს შეუქმნას „მიწიერი ყოფის“ ნორმალური პირობა, „მიწიერ ჯოჯოხეთს“ სამოთხედ გვაჩვენებენ. . .

ალბათ, მსგავსმა უარყოფითმა და არაადეკვატურმა მიღებამამ პოლიტიკისა, შექმნა იმის პირობა, რომ ადამიანებს ჩამოუყალიბდათ არასწორი ხედვა ნამდვილი და ზნეობრივი პოლიტიკისადმი, თუ „მსგავსი“ მართლა კიდევ სადმე არსებობს. . .

როგორც აღ. ამილახვარი ამბობს: „პოლიტიკა არსებობს ადამიანის გაჩენის შემდეგ და ყოველგვარი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, არის შედეგი პოლიტიკისა. პოლიტიკამ შთაგონა კაენს მის – აბელის მოკედა, მანვე შთაგონა ნებვროდს (ბაბილონის მშენებელი) ისეთი კოშკის აშენება, რომ წარდგნის შიში არ ჰქონოდა. . . მანვე შთაგონა მეფე იროდს, რომ ამოეხოცა ბავშვები იმისათვის, რომ ამ მოკლულ ბავშვებში ქრისტეც მოეკლათ. . . პოლიტიკა იმდენად მძლავრი მოვლენაა, რომ სატანასაც კი მან შთაგონა ღმერთის წინააღმდეგ აჯანყება“. . . და ბოლოს „პოლიტიკა სუბიექტს ზოგჯერ აკეთებინებს იმას, რისი გაკეთებაც, მას, როგორც ადამიანს არ სურს“. . .

ამილახვარის მიერ მოყვანილი მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, მოგვეჩვენება, რომ პოლიტიკა და ზნეობა ერთმანეთისაგან მართლაც ძალიან შორს არის. დამერწმუნეთ, რომ ოანამედროვე საქართველოში იმდენი მოვლენაა არასწორი პოლიტიკის მსხვერპლი, რომ არც არის გასაკვირი, თუ სიტყვა „პოლიტიკა“ უკვე ქართულში და ქართველი ხალხისთვის (თუმცა არამარტო) „ბოროტებასთან“ და „უზნეობასთან“ ასოცირდება. თუმცა თუ იდეალისტებს დავუჯერებთ „ზნეობრიობის მიმართ უურადდების გაზრდა, მომატება მიგვიყვანს მსოფლიო მშვიდობამდე და ბოლოს მოუდებს „ომის სისტემას“, შესაბამისად შორეულ პერსპექტივაში „პოლიტიკაც“ შესაძლებელია დაქვემდებაროს მაკიაველისეულ „მორალს“,

რომელიც „სხვა არა არის რა, თუ არა იმ წესების ერთობლიობა, რომელიც საზოგადო სიკეთის ინტერესებიდან გამომდინარეობენ და თანაცხოვრების მოთხოვნით არიან განპირობებულნი“.

პოლიტიკა, რომ დიდ გავლენას ახდენს ადამიანის აზროვნების ჩამოყალიბებაზე უდავო. თუმცა ზოგიერთი პარადიგმების თანახმად, „ის, არამარტო სრულყოფს ადამიანის ბუნებას, არამედ ახდენს მისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებების კომპენსირებას.“ პოლიტიკა იმდენად დიდ გავლენას ახდენს ადამიანებზე, რომ „მსგავსი შესაძლებლობებისა და სურვილების მქონე ადამიანებს, გარემოებების და მიხედვით, შეიძლება ძალზე განსხვავებული ზენობრივი განწყობები განუვითარდეთ. პოლიტიკა ამ გარემოებების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და საზოგადოებრივი ინტერესი, ძალზე ფართო გაგებით, ბეწვებ ჰავიდია ხოლმე“ (2).

პოლიტიკა ერთგარად ყოვლის მომცველი ცნებაა. ამიტომ იგი ერთმანეთისაგან განსხვავებული ასპექტებისაგან შედგება. ესენია: პოლიტიკური იდეოლოგიები, პარტიები, რევილები. . . ამ სხვადასხვა კრიტერიუმებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ საერთო პოლიტიკური სურათის ჩამოყალიბებაში. კერძოდ, ნაცისტური გერმანიის აღზვება და დაცემა ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია პოლიტიკური რეჟიმს მოქალაქეთა ზენობრივ ხასიათზე.

აღოლფ პიტლერის თავკაცობით, ნაციზმის ყველაზე მნიშვნელოვან და გასაოცარ ასპექტებს მისი პრინციპები წარმოადგენდნენ. მისი პოლიტიკური დოქტრინა ნათლად ეფუძნებოდა რასობრივი უპირატესობის დოქტრინას. პიტლერი მძვინვარებდა ე.წ. არიული რასის უპირატესობის გამო. თითქოსდა, გერმანელ ერს ემუქრებოდა უცხო რასების მიერ შერყვნა. ასეთ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული პოლიტიკის შედეგი იყო მილიონობით უდანაშაულო კაცის, ქალის და ბავშვის სისტემატური ხოცვა. დაახლოებით 7 მილიონი ებრაელი და მილიონობით სხვა ეროვნების ადამიანი ინგალიდების ჩათვლით, დაუნდობლად გაანადგურეს. რასობრივი დაბინძურების გამოგონილი პრობლემის მოგვარების „ბოლომდე მიყვანას“ ნაცისტები ისეთი მონდომებით ეკიდებოდნენ, რომ მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელ თვეებში სიკვდილის ბანაკების მუშაობა სამხედრო კამპანიების ხარჯზეც კი გრძელდებოდა (2).

პოლოკოსტი – გაზის კამერების და მასობრივი მკვლელობების შემზარავი სანახაობა – გვაიძულებს დავსვათ კითხვა თუ როგორ შეიძლება ასეთი მასშტაბის საშინელება

მომხდარიყო ვითომცდა ცივილიზაციულ ქვეყანაში. როგორ შეეძლო ერს, რომელსაც გააჩნია შთამბეჭდავი პუმანისტური ტრადიცია, რომელმაც აღზარდა ამდენი შსოფლიოში საუკეთესო კომპოზიტორი, მწერალი და მოაზროვნე, დაქვა ასეთი რამე?

ნაციზმის ხანაში, გერმანელი ერი ერთი შეხედვით, წარმოგვიდგება როგორც პიტლერის ნების დანამატი; სხვა სიტყვებით, პოლოერსტისათვის საშინელი მორალური პასუხისმგებლობა ერთი ადამიანის - აღოლფ პიტლერის მხრებზე. მაგრამ ზოგიერთი ეჭვის ქვეშ აყენებს ამ ინტერესტაციას, მიუთითებს რა იმაზე, რომ პიტლერი ვერ მოახერხებდა მასობრივი მკვლელობების მისეული პროგრამის განხორციელებას თანამონაწილეთა ჯგუფის გარეშე. რა ვუკორ მათ ვინც მას მისი პოლიტიკის დაგეგმვაში, კოორდინირებასა და მართვაში ეხმარებოდა? ერთი მკვლევარის, ირვინგ ჰრისტორიის სიტყვებით:

„როდესაც ნაცისტების საქმეს უცნობი, გეუფლება საშინელი სიცარიელის შეგრძება და საგონებელში ვარდები. ნუთუ სულ ესაა? განსხვავება (შეუთავსებლობა) დანაშაულსა და დამნაშავეს შორის წარმოუდგენლად დიდია“ (2).

წვენ ველით, რომ აღმოვჩენთ ბოროტ ადამიანებს, ბოროტების განსახიერებებს, დორბლიან, მანიაკალურ მხეცებს; წვენ მზად ვართ შევისწავლოთ თითოეული ნაცისტის სახის თავისებურება იმისათვის, რომ საზიმოდ დაგადაინორთ ნაცისტის სასიათის განუყოფელი ნიშნები. მაგრამ ნაციზმის ლიდერები არ იყნენ ეშმაკისეულნი, ისინი არ ეთაყვანებოდნენ ბოროტებას. რადგან ნაცისტებს რაოდენ ირონიულადაც არ უნდა ჟღერდეს ეს - როგორც ადამს და ევას ცოდვის ჩადენამდე, არაფერი გაეგებოდათ კეთილისა და ბოროტის, და სწორედ ზნეობრივი გულგრილობის ელფერი არის, მათ რომ ასეთ წვრილმან, უფრულ და ზედაპირულ ადამიანებად წარმოგვიდგენს (2).

კრისტოლი არაა ერთადერთი რომელიც ფიქრობდა, რომ ველა ნაცისტი იმდენად ზნეობრივად დაცემული არ იყო, რამდენადაც ზნეობრივად გულგრილი. ზუსტად ასეთ ადამიანად წარმოგვიდგენს ზოგიერთი მკვლევარი ალბერტ შპერ (Schpeier), პიტლერის შეიარაღებისა და სამხედრო მომარაგების მინისტრს. ასეთი იყო, პოლიტიკური თეორეტიკოსის პანა არენდტის მიხედვით, აღოლფ ეიხმანიც, ნაცისტი ფუნქციონერი, რომელიც სიკედილის ბანაკების პროგრამის დიდ ნაწილს ხელმძღვანელობდა. არენდტის აზრით, ეიხმანი არ იყო მაინცდამაინც განსაკუთრებული, უწვეულო ადამიანი. მას ძალიან უნდოდა წინ წასულიყო, ცხოვრებაში

წარმატებისათვის მიეღწია. მას განსაკუთრებით ეამაყებოდა, რომ შეეძლო საქმე შედეგიანად გაეკეთებინა. მიუხედავად იმისა რომ განსაკუთრებულად გამჭრიახი ან დაკვირვებული არ ყოფილა, მაინც ჰქვაიანი იყო. არენდტი ასევე ახასიათებს მას როგორც მერყევს, მაგრამ არა როგორც ბევრ „ნორმალურ“ ადამიანზე საგრძნობლად უფრო მეტად მერყევს. ეიხმანი ირწმუნებოდა, რომ ებრაელების მიმართ აკვიატებული ზიზდი არ ამოძრავებდა (თუმცა, როგორც ჩანს, ის არ იყო საქმარისად სკპტიკურად განწყობილი ან მენტალურად დამოუკიდებელი, რომ თავი შეეხავებინა მაშინდელ გერმანიაში ფართოდ გაგრცელებული ანგისხმიტიზმისაგან). მოკლედ, ეიხმანი იყო ზენობრივად გულგრილი; კრისტოლის სიტყვებით; „მას არაფერი გაეგებოდა კეთილისა და ბოროტისა“ (2).

ეს მკვლევარები მოგვითხრობენ რიგით ადამიანებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ განსაკუთრებული ბოროტების აქტებში, ადამიანებზე რომლებიც მოგვაგონებენ ადამიანებს რომელთაც უველა ჩვენგანი იცნობს – შეიძლება ჩვენს თავსაც კი. როული არ იქნება წარმოვიდგინოთ, მაგალითად ეიხმანი, ჩვენთვის უფრო ნაცნობ გარემოში, თუნდაც იმედის მომცემ, პატივმოყვარე ხელმძღვანელ მუშაკად დიდ ამერიკულ კორპორაციაში ან ახალგაზრდა, დაწინაურებისათვის მონდომებულ თამაშორმლად საგარეო უწყებაში. ასეთი პიროვნება ალბათ იქნება კომპანისათვის ან ქვეყნისათვის თავგადაკლული, დაწინაურებაზე მოფიქრალი და მონდომებული, როგორმე ასიამოგნოს ხემძღვანელს. შეიძლება სულაც არ იყოს მოკლებული წესიერ ადამიანურ თვისებებს და ერთგული მეუღლე და მოყვარე მშობელიც კი იყოს. (ნაცისტებისთვის უცხო არ იყო საბუთარი ოჯახების მიმართ სიყვარულის, ერთგულების გამოვლენა). ძირითადი საკითხი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ეს ფარისეველი პიროვნება იმდენადაა ჩაბმული „რეალურ სამყაროში“, ვიწრო კარიერისტული მიზნების ტერმინოლოგით თუ ვიტყვით, რომ მას „აბსტრაქტული“ მორალური საკითხებისათვის დრო და ინტერესი აღარ რჩება (2).

თუკი მართალია, რომ ეიხმანი რიგითი ადამიანი იყო, რატომ არსებობენ ასე ცოტა ეიხმანები? ამის პასუხი ძირითადად ისაა, რომ საბედნიეროდ ადამიანების უმრავლესობას ისევ პოლიტიკურ რეჟიმებში უხდებათ ცხოვრება, რომლებსაც ნაცისტურ გერმანიას ვერც კი შეადარება. ნაციზმი იყო გადამზევები ფაქტორი ორ მსოფლიო ომს შორის, გერმანიაში უველა ეიხმანის პიროვნების და სასიათის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც უოველმა შეგნებულმა სურსათის მაღაზიის მეპატრონები იცის, რომ მისი

მიზანი მოგებაა, ასევე ეიხმანს და მის მსგავსს ესმოდათ, რომ მათი მიზანი გაზის კამერებში რაც შეიძლება მეტი ადამიანის განადგურება იყო.

ამას გარდა, მან იცოდა რომ მის წარმატებას, ისევე როგორც მაღაზიის მეპატრონის წარმატებას, ძირითადად ერთი კრიტერიუმით განსაზღვრავდნენ: ეფექტურობა. ეიხმანისათვის მნიშვნელობა იმას კი არ ჰქონდა თუ რას აკეთებდა ის, არამედ რამდენად კარგად აკეთებდა. სავარაუდოდ ის ისეთივე მონდომებით შეასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს მასობრივი განადგურების ნაცვლად, პარკების დაგეგმვისათვის ან ეფავილების დარგისათვის რომ ყოფილიყო პასუხისმგებელი. ამ ბოროტმოქმედის ბანალურობა და მისი ბოროტების მნიშვნელობა (სიდიდე) ერთოდულად საშინელიცაა და ჰქონის სასწავლებელიც, ვინაიდან ზუსტად ასახავს მაშინდელ გერმანიაში გაბატონებულ პოლიტიკას (2).

გერმანიის ხელმძღვანელობა მასობრივ განადგურებას აიგივებდა პატრიტიზმსა და საზოგადოებრივ ინტერესთან. საჭირო იქნებოდა ინტელექტუალური დამოუკიდებლობისა და ზნეობრივი გამბედაობის იშვიათი ნაზავი (კომბინაცია) ამ გაბატონებულ აზრს რომ არ აკოლოდი. სამწუხაროდ, ზუსტად ეს თვისებები ასე ძალიან აკლდა ეიხმანისნაირ უამრავ ადამიანს. იმის გააზრება, რომ საზოგადოებრივი ინტერესისათვის არასოდეს კარგი არაა ხელისუფლების პრმა მორჩილება, გაჩერენებს თუ რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკის გაგება (2).

ამ მაგალითის განხილვის შემდეგ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეიხმანი მართლაც „თავქუდმოგლევჯილი“ კარიერისტი იყო. მის პიროვნებაში აბსოლუტურად ეძინა ზნეობრივ „მეს“. აქედან გამომდინარე მის პოლიტიკურ ზნეობრიობაზე საუბარიც ზედმეტია. იგი, მისი მოქმედების მოტივიდან გამომდინარე, კონომიკურად რაციონალურ პოლიტიკოსად წარმოგვიდგება. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ის იყო მხოლოდ შემსრულებელი იმ უზნეო გადაწყვეტილებების, რომელიც გათვლილი იყო მაქსიმალური კონომიკური შედეგების მოტახაზე. იგივე გონივრული, მაგრამ „უზნეო“ პოლიტიკის შედეგი იყო ისიც, რომ გაზის კამერებში დაღუშულ არცერთ ებრაელთა (და სხვათა) გვამი უშედგვოდ არ განადგურებულა. მათი ომებისაგან ლეიიბები მზადდებოდა, ქონისგან – საპონი, ფერფლი კი სასოფლო – სამეურნეო მიწების გასანოურებლად გამოიყენებოდა.

თუმცა ამ შემთხვევაში იმის მტკიცება, რომ პიტლერის პოლიტიკა ებრაელებთან მიმართებაში ეკონომიკური წარმატების მიღწევაზე იყო ორიენტირებული არ შეიძლება. მე

კვირობ რომ ეს უბრალოდ განვითარებულ მოვლენებს მოჰყვა და უზნეო პოლიტიკოსების რაციონალურმა გათვლებმაც არ დააყოვნა, შესაბამისად შედეგიც სახეზეა.

დღეს ჩვენ ბევრს ვსაუბრობთ ადამიანთა გულგრილობაზე და ზეობრიობაზე, მაგრამ გვავიწყდება, რომ მაშინ ისინი, რომელთაც ჩვენ ეიხმანს ვაღარებთ, არ იყვნენ არჩევანში თავისუფალი. იმ დროს კი, მართლაც „უზნეო პოლიტიკის“ წინააღმდეგ გალაშქრება გმირობის ტოლფასი იყო. თუმცა პრობლემა მარტო ამაში როდე მდგომარეობდა, ისინი იმდენად იყვნენ „ბინძური პოლიტიკის“ მსხვარპლი, კერც კი აცნობიერებდნენ რა ზიანი შეეძლო მიეკუნებინა მათ საქციელს არამარტო მთლიანი კაცობრიობისთვის, არამედ საკუთარი ერის მომავლისთვისაც კი.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყველა გერმანელი, ან ევროპელი, როდი იყო ბოროტების წინაშე ეიხმანივთოთ გულგრილი და ეგრისტი. იყვნენ გამონაკლისები, თუმცა ძალიან მცირე ნაწილი. აღსანიშნავი, თუმცა არატიპური მაგალითია, ოსკარ შინდლერი (რომლის სახელი მხატვრული ფილმის შინდლერის სია წეალობით ყველასათვის ცნობილი გახდა). შინდლერი გერმანელი საქმოსანი, ნაცისტური პარტიის წევრი იყო და ჯერ ამუშავებდა, შემდეგ კი საკუთარი საქმიანი და პარტიული პავშირების გამოყენებით გადაარჩინა თავისი ებრაელი მუშები. (2)

ეჭვგარეშეა, რომ მკითხველთა უმრავლესობა ამ მხენაელებთან და შინდლერთან უფრო გააიგივებს საკუთარ თავს ვიდრე ეიხმანთან, მაგრამ შემაშვითებელი ფაქტი იმაში მდგომარეობს, რომ გაცილებით უფრო მეტი გერმანელი („Hitlerjugend“ - ის ათეულობით ათასი წევრის ჩათვლით), პიტლერის სიძულვილის გზავნილით მონუსხეული, ეიხმანივთ უფრო იცცეოდა ვიდრე შინდლერივთ (2).

წვენს მიერ განხილული მაგალითები ცხადყოფს, პოლიტიკის გავლენას საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, ამიტომ საჭიროა სწორად შეირჩეს და სწორი მიმართულება მიეცეს მას, როგორც მოღვაწეობის განსაკუთრებულ სფეროს. მითუმებებს თანამედროვე მსოფლიში, სადაც „ნაციები, ეკონომიკური რაციონალობის და ეფექტურობის პრინციპით კა-არ მოქმედებენ, არამედ გადაწყვეტილებების მიღება ხშირად კონფრონტაციის, კონფლიქტის, დიალოგის და რაციონალობის სხვადასხვა ტიპს შორის პოლიტიკური კომპრომისით ხდება“ (4. გვ.11).

საყოველაოდაა ცნობილი მაკიაველიზმის მთავრი პრინციპი: „მიზანი ამართლებს საშუალებას“ (3). როგორ შეიძლება ზეობრიობასა და მორალურ საუბარი მაშინ,

როდესაც თითქმის აღშფოთებამდე მივყავართ ამ აზრს. რაში შეიძლება გამოვლინდეს უფრო მეტი ეპონომიკური რაციონალურობა? თუმცა ამ სიტყვების იგივეობა კატეგორიულად მიუღებელია ნაცისტების ქმედებებთან. იქ ეიხმანი დაწინაურებასა და კარიერაზე ფიქრობდა, მაგიაველი კი სამშობლოს ინტერესებიდან ამოდის, რადგან მხოლოდ სამშობლოს კეთილდღეობაა, ის ერთადერთი გარემოება, რომლის გაიგივებაც, ადამიანების, მისი მოქალაქეების კეთილდღეობასთან შეიძლება. მაკიაველის თქმით, სამშობლოს თავისუფლების შენარჩუნებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის, ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებულია. თუმცა, იგი აქ არ აღნიშნავს, რომ ერთისთვის კარგი, შესაძლოა მეორისთვის ცუდი აღმოჩნდეს, მაგრამ ესეც გასაგებია, ვინაიდან როგორც უკვე ავღნიშნეთ, პოლიტიკა პერმანენტული ფორმირების პროცესია.

დღეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ისევ მშობელი ქვეწის ინტერესებია გათვალისწინებული, მაგრამ თითქმის თანაბარ მნიშვნელოვანია მსოფლიო ხალხთა თანაბარი უფლებები და მოქალაქეობრივი თანასწორობა. თავის მხრივ, ხალხთა თანასწორობის განმსაზღვრელი კი პოლიტიკური ზნეობრიობაა. თუმცა როგორც თომა აქვინელი ამბობს: „იმისათვის რომ ზნეობრივი ვიყოთ, საჭიროა გვქონდეს მატერიალური რესურსის მინიმუმი. ზნეობრიობა კი გვეუბნება, რომ უნდა შეეგწინააღმდეგოთ კორუციას, მაგრამ როცა შიმშილით კვდები, ძალიან მნელია, იყო ზნეობრივი. (1) აქედან გამომდინარე, არ ვიცით, როგორ მოვიქცეოდით ჩვენ, „პიტლერის გერმანიაში“ რომ გვეცხოვრა, ეიხმანივით თუ შინდლერივით. . .

## გამოყენებული ლიტერატურა

1. [http://www.liberty.ge/geo/files/Newsletter%20N%203%20\(27\).pdf](http://www.liberty.ge/geo/files/Newsletter%20N%203%20(27).pdf)
2. <http://www.iliauni.edu.ge/ge/picture/upload/Politikis%20%20Gageba.pdf>
3. ნ.მაკიაველი „მთავარი“.
4. ლია მეზვრიშვილი „ეპონომიკა და პოლიტიკა“ -.
5. [http://www.iatp.org.ge/downloads/publications/otar\\_kandelaki3.pdf](http://www.iatp.org.ge/downloads/publications/otar_kandelaki3.pdf)

### **Summary**

**Lia Bolkvadze,  
Georgi Dzidziguri**

#### **Political moral and economic rationalism**

In the article politics is considered to be the universal phenomenon. Politics has been forming throughout the history of mankind. Results, their provoking reasons and positive and negative sides of different political processes in the context of some important historical events have been discussed in the article.

Generally, much attention is payed to political moral and economic rationalism considered to be opposite concepts according to modern understanding.

Authors tried to show that political moral itself, means economical rationalism which without political moral, as a rule, leads us to the fatal results.

### **Резюме**

**Лия Болквадзе  
Георгий Дзидзигури,  
Политическая нравственность или экономический рационализм**

В статье рассматриваются вопросы политической нравственности и экономическом рационализме, которые по современному понятию противопоставлены друг другу. Авторы, отдавая приоритет первому, попытались обосновать, что политическая нравственность сама по себе подразумевает и экономический рационализм, который без политической нравственности в основном ведёт к плачевным результатам.

## ელდარ პირმისაშვილი

### პიარი და კრიზისული სიტუაციების მართვა

დღესდღეობით ყველა ორგანიზაციისათვის, იქნება ეს სამთავრობო, ბიზნესის თუ არასამთავრობო, დგება ისეთი პერიოდი როდესაც წნდება კრიზისი. კრიზისის პრევენცია და მისი გადალახვა პიარ სპეციალისტის დავალებაა.

პიარი, როგორც პროფესია კრიზისული სიტუაციების მოგვარებაში იღებს სათავეს. კრიზისების მიზეზი შეიძლება იყოს დაკავშირებული ფიზიკურ დაზიანებასთან – ბუნებრივ მცლენებთან, სტიქიური უბედურებებთან.

ზოგიერთი კრიზისი ვითარდება ერთი ადმინის ან ადმინისტრაციული წინასწარ განზრახული მოქმედებით. წინასწარგანზრახული კრიზისები, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკურ განადგურებასთან – ეს ჩემებულებრივ არის ტერორისტული აქტი და გატაცება. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ბოროტი ხმების გავრცელება. არსებობს ასევე არაწინასწარგანზრახული კრიზისები იგი მოიცავს აფეთქებას და ხანძარს.

რა ორგანიზაციაშიც არ უნდა მუშაობდეს პიარის სპეციალისტი, კრიზისების უმრავლესობა შეიძლება ვივარაუდოთ და მოვმზუდოთ ამისთვის. წინასწარი ხედვა – ეს არის გასაღები კრიზისის გონქბრივი გადაწყვეტის.

წინასწარხედვა ხშირად მოიცავს იმას, რომ გამოვყოთ კრიზისის ზუსტად ის ტიპები რომელსაც შეიძლება შეეჯახოს ორგანიზაცია. კრიზისის ბევრი მმართველი სარგებლობს კრიზისის ტიპოლოგიის აღწერით. როგორც კი ისინი არკვევნ კრიზისის ტიპს. მაგალითად „ტექნოლოგიურს“, მათ უადვილდებათ კრიზისის საწინააღმდეგო ღონისძიებების მოვიქრება.

შეფასების მნიშვნელოვანი ნაწილი ნებისმიერი შესაძლო კრიზისა არის კომპანიის სუსტი აღგილის გამოვლენა კრიზისის განვითარების უარესი ვარიანტის შემთხვევაში. კრიზისის მართვაში ფასდაუდებელი დახმარება შეიძლება გასწიოს სწორმა

ორმხერივმა სიმეტრიულმა პიარის მოღელმა. კრიზისის შემთხვევაში ორგანიზაციისთვის პრობლემას წარმოადგენს მის მიერ არჩეული საქციელის ტიპი, ასევე მისი წევრების ქვევა. ზოგიერთი ასეთი ჯგუფი ზოგჯერ რჩება შეუმჩნეველი დაგეგმვის პროცესში, მაშინაც კი როცა საუბარია საერთაშორისო მასშტაბის კრიზისზე. ასეთ ჯგუფებს ჰქვიათ “მოსაზღვრე”. ნებისმიერმა ანტიკრიზისულმა გეგმაშ წინასწარ უნდა განჭერიტოს შესაძლო გლობალური ეფექტი, მაშინაც თუ თვით კრიზისი ითვლება სუვთა შინაგანად.

კრიზისი, რომელსაც ეჯახება ორგანიზაცია, ეს არის იზოლირებული მოვლენა ან ჯაჭვი მოვლენების. ეს არის ნაწილი იმ გარემომცველი გარემოსი, რაც აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს.

ძალიან სამწუხაროა, რომ კრიზისების 14% ხდება მოულოდნელად, როგორც აჩვენებს კრიზისების მართვის ინსტრუმეტი გამოკვლეულია 50 000 – ზე მეტი შემთხვევა. დანარჩენი 86% იყო მეტნაკლებად ნაწინასწარმეტყველები. აი რატომ არის აუცილებელი კრიზისის გეგმაზე მუშაობაში ჩავრთოთ რაც შეიძლება მეტი ორგანიზაციის თანამშრომელი.

კრიზისის მართვა შეიძლება გამოიხატოს რამდენიმე სიტყვით: ვთქვათ სიმართლე და რაც შეიძლება მალე.

თუ როგორ მოვიქცევთ კრიზისის დროს ეს რაღაც სარისხით იმოქმედებს მომავალზე.

საერთაულო დაგეგმვის დახმარებით შეიძლება დაიყოს კრიზისის სიმწვავემ, აგრეთვე გაარკვევს ან შეცვლის კომპანიის ადმინისტრაციის რეაქციას. იმის მიუხედავად მუშაობს თუ არა იგი დახურულ ან დია სივცეში.

კრიზისზე რეაქცია დიდი ხარისხით ისაზღვრება ოგანიზაციაში არსებული ვითარებით. ყველა არასწორი გადაწყვეტილებიდან, რომელიც შეიძლება მივიღოთ კრიზისის დროს არის ინფორმაციის ბლოკირება კრიზისის დროს.

ხმების გავრცელების ალბათობა ძალიან მცირეა როცა ინფორმაცია გახსნილია და მისაწვდომი. ანტიკრიზისული დაგეგმვის დროს ყოველთვის საჭიროა შევისწავლოთ კომპანიის კომუნიკაციური კლიმატი. მოსალოდნელია, რომ კრიზისის დროს გაიზარდოს მოთხოვნილება ინფორმაციაზე. სამწუხაროდ კრიზისის შესახებ მონაცემების მიღება წინასწარ შეუძლებელია. იოლად გაუმკლავდებით კრიზის, თუ ჩვენ ორგანიზებას გაუკეთებთ საქმეს ისე, რომ ჩვენამდე მოვიდეს ყველა ინფორმაცია. რომელიც შეიძლება მივიღოთ დროზე ადრე მაგალითად: მონაცემები საქონელზე და მომსახურებას, პოლიტიკაზე.

ამ მონაცემების შენახვა და ღროულად აღდგება მნელია, მაგრამ აუცილებელი. მნიშვნელოვანია პერიოდული შემოწმება და განახლება ამ ინფორმაციის.

არსებობს ორი მიზეზი, რომლის მიხედვითაც ანტიკრიზისული გეგმა აუცილებელია გამოიყენირებოდეს როგორც ძირითადი მიმართულებები: ადვილი დამაზსოვრება და მოქნილობა, ერთიც და მეორეც გეგმებარება მივუდეთ პრობლემის გადაწყვეტას ინდივიდუალურად. კარგი გეგმა – ეს არის ისეთი გეგმა, რომელიც მოიცავს მსუბუქ გამოსაყენებელ ინფორმაციულ ფურცელს და ძირითად მომზადებულ მონაცემებს.

რატომ არის სასურველი, რომ ანტიკრიზისული გეგმა განვიხილოთ წინასწარ? იმიტომ რომ მაშინ ჩნდება შესაძლებლობა აუდიტორიასთან ხელმძღვანელობის მუშაობის, სანამ კრიზისი მოხდება.

კრიზისის დროს ორგანიზაციის წარმატებულობა სამი ძირითადი ელემენტით განისაზღვრება:

1. ურთიერთობის გეგმის არსებობა, როგორც საერთო ანტიკრიზისული გეგმის ნაწილი.
2. შესაძლებლობა იმისა, რომ შეიკრიბოს ანტიკრიზისული ჯგუფი განსაკუთრებული სისტემების დროს.
3. კომპანიის ერთპიროვნული ხელმძღვანელის არსებობა კრიზისის დროს.

ურთიერთობის გეგმის დამუშავების დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ კომპანიის თანამშრომლები მოუყვანიან კრიზისის შესახებ თავიანთ ახლობლებს.

ურთიერთობის მართვა კრიზისის დროს – ეს არის თვით კრიზისის მართვა.

მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ იქნება მოთხოვობილი მოვლენაზე: მან უნდა გამოიწვიოს ნდობა და იყოს მისაღები. ამიტომ რობერტ ჰიტი გვირჩევს მივუვეთ თხრობის ფორმებს, იმიტომ რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უნდა იცოდეს: ვინ, რა, როდის, სად, რატომ და როგორ. ის ამბობს: „პირველ რიგში საჭიროა გაცნობიერება, რომ კრიზისზე პასუხი გულისხმობს კრიზისის აღწერას: ამის შემდეგ მას უნდა მოხდევდეს ამ აღწერის შემადგენელი კრიტიკული და სტრატეგიული შერჩევა და ბოლოს ანგარიში კრიზისზე”. აუცილებელია, რომ ეს ანგარიში იყოს მართალი და აჩვენებდეს, რომ ორგანიზაცია აკონტროლებს სიტუაციას და არის შესაძლებლობები მისი გადაწყვეტისა. იმის შემდეგ რაც შემუშავებულია ანტიკრიზისული გეგმა და მას გაცნენ თანამშრომლები, შემდეგი ნაბიჯი უნდა იყოს პასუხისმგებელი და ნდობის გამომწვევი კომპანიის წარმომადგენლის არჩევა.

კრიზისის დროს პერსონალის როლის ეფექტური გამოყენებისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ის იმყოფება PR - ის წინ. გარეშემომყოფათ თვალით სწორედ თანამშრომლები იმსახურებენ უფრო მეტ ნდობას.

კრიზისის ნებისმიერი სახის დროს არსებობს 5 კომუნიკაციის ელემენტი. ეს ებრავებათ შეაფასოს კრიზისი მათ, ვინც უშეალოდ არ ეჯახება კრიზისს:

1. კრიზისის შესახებ ხალხი გაიგებს საპუთარი წყაროებიდან.
2. ხალხი მიღრეკილია შეაფასოს კრიზისის სერიოზულობა იმ მხრივ თუ რა საშიშროება შეიძლება მოუტანოს მას ან მისთვის ძვირფას ადამიანებს.
3. სახელმწიფო წყაროები უფრო მეტ ნდობას იმსახურებენ. მსოფლიოს აღმისთვის პრობლემის მნიშვნელობა პროპორციულია მის გაშუქებასთან მასობრივი ინფორმაციის საშუალებაში.
4. ინფორმაციის მისაწვდომობა ამცირებს ხმების წარმოშობის რისკს და ამაღლებს იმის აღბათობას, რომ სიტუაცია გაგებული იქნება სწორად.

ურიგო არ იქნებოდა მოგვეყანა მაგალითი, რომელიც ეხება ამერიკულ კომპანია ”ჯონსონ და ჯონსონის“ წარმოებულ წამალ ”ტაილენდს“. ფალსიფიკატორების წარმოებულმა წამალმა ზიანი მიაუენა რამდენიმე მომხმარებელს და ეს ამბავი საყოველთაო განსჯის საგანი გახდა. ”ტაილენდის“ გაყიდვები ამ ფაქტის შემდეგ საგრძნობლად შემცირდა. კომპანიის სელმდლვანელობამ არ დაიწყო იმის მტკიცება რომ წამალი ფალსიფიკირებული იყო, არამედ განაცხადა რომ ეს იყო საწარმო შეცდომა და ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად დაიწყეს წამლის ქსელიდან ამოღება ეს იყო სწრაფი რეაგირება კრიზისზე. შეიქმნა კრიზისული ჯგუფი, მოიწვიეს დამოუკიდებელი ექსპერტები, რომლებმაც დაადასტურეს რომ ეს ფაქტი აღარ შეიძლება განმეორდეს, მოეწყო შეხვედრა საწარმოში ჟურნალისტებისთვის, რომ თავიანთი თვალით ენახათ საწარმო პროცესი და კონტროლის მექანიზმები. დაზარალებულების მკურნალობა კომპანიამ თავის თავზე აიღო. შეიცვალა წამლის დიზაინი და ფორმა. მართალია კომპანიას ამ კრიზისის დაძლევა სოლიდური თანხა დაუჯდა, მაგრამ მან გაართვა თავი კრიზისს და დაიბრუნა მომხმარებლის ნდობა.

დღესდღეობით უამრავი ადამიანი მოიხმარს წამალ ”ტაილენდს“. მთავარი არ არის ის, თუ როდის იქნება გადაწყვეტილი კრიზისი, არამედ დატოვებს თუ არა ის მის შემდეგ წარმატების გრძნობას. აქედან გამომდინარე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციის ხედვას კრიზისთან

დაკავშირებით, ასევე პიარ სპეციალისტის როლს სამუშაოს შესრულებაში რაც კრიზისის პრევენციასა და მის დარღვევლირებაში გამოიხატება.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. This is PR, The Pealities of Public Relations, D.Newsom,J.V.Turk, D.kruckerberg. 2001.
2. Public Relations Strategy, S.Olivier, 2003
3. Effective Punic Relations, S.M. Cutlip,2005
4. Full Frontal PR, R.Learmer,2005
5. [www.crisispr.com](http://www.crisispr.com)

### **Summary**

#### **Eldar Pirmisashvili**

#### **PR and Crisis**

PR as a profession occurred in the process of crisis situations. The role of PR is very important in order to regulate crisis. The best way to find out the future crisis is to identify weaknesses of our organization. As researches show 14% of crisis starts accidentally, but we can anticipate 86%. We need to include many people from our organization to prepare crisis plan. When we are in crisis, we should tell the truth to people. For preparing crisis plan we should study company communications climate.

There are three basic elements for regulating crisis situation:

- Plan of relations, as part of anticrisis plan.
- Possibility to build crisis team in extreme situation.
- One person should be responsible for communications with media.

It is important to inform public in order to preserve our company from spreading gossip.

## **Резюме**

### **Эльдар Пирмисавили Пиар и кризисы**

Пиар, как профессия возникла в процессе развития различных кризисных ситуаций. Поэтому, роль Связей с Общественностью крайне важна для проведения антикризисных мероприятий. Лучшим способом определения возможных кризисов - это изучение наиболее слабых сторон вашей компании. Как показывают исследования 14% кризисов возникает случайно, остальные 86% подлежат предопределению или приблизительному прогнозированию. Поэтому, к разработке антикризисного плана необходимо подключить максимальное количество сотрудников.

Суть кризис-менеджмента можно изложить в нескольких словах: рассказать правду и как можно скорее. Исходя из этого, при составлении антикризисного плана необходимо изучить коммуникационный климат компании.

Существует три основных элемента успешного кризис-менеджмента:

- План отношений, как часть общего антикризисного плана.
- Возможность создания антикризисной группы в экстремальных условиях.
- Единоличное руководство компанией, при проведении антикризисных мероприятий.

Важно помнить о том, что доступность информации предотвращает опасность распространения слухов и негативной информации.



## CONTENTS

<b>Giorgi Bagaturia, Otar Bagaturia</b> <i>A Political Regime and Authority</i> .....	<b>5</b>
<b>Temur Todua</b> <b>Shota dogonadze</b> <i>The theory and methodology of Public Administration</i> .....	<b>16</b>
<b>Otar Kochoradze</b> <b>Ivane Bejashvili</b> <i>From a history of management</i> .....	<b>23</b>
<b>Marina Khurdadze</b> <i>The System Approach in the Process of Economic Order</i> .....	<b>39</b>
<b>Vasili Khacharava</b> <i>Administration of Dwight D. Eisenhower and highways system</i> .....	<b>45</b>
<b>Giorgi Bagaturia, Teimuraz Gorshkov, Nona Chichikoshvili</b> <i>Modern Management of the Large Transport System</i> .....	<b>59</b>
<b>Maia Chkheidze,</b> <i>Metacognition and Communication</i> .....	<b>68</b>
<b>Nana Cikhistavi</b> <i>The contemporary tendencies in the secular world</i> .....	<b>84</b>
<b>David Taktakishvili</b> <b>The Universe and the Human</b> <i>(Philosophical Opinions for the Youth expressing Interest in philosophy)</i> .....	<b>91</b>

**Roza Gaprindashvili**

- Fatal results of making a fetish from material welfare and  
of spiritual degradation.....*99

**Lali Gvasalia**

- The Phenomena of the Culture from the system-philosophic  
point of view.....*105

**Sergo Lominadze**

- The foundation and methods of negative PR.....*113

**Rusudan Tabukhashvili**

- Gender-specific speech.....*120

**Maia Kavtarashvili**

- Cobwebby of the world - Ecology of thinking and loneliness  
of the Masses.....*127

**Lia Bolkvadze, Georgi Dzidziguri**

- Political moral and economic rationalism.....*137

**Eldar Pirmisashvili**

- PR and Crisis.....*146

## СОДЕРЖАНИЕ

<b>Георгий Багатурия, Отар Багатурия</b>	
<i>Политический режим и Власть .....</i>	5
<b>Темур Тодуа</b>	
<b>Шота Догонадзе</b>	
<i>Теория и методология государственного управления.....</i>	16
<b>Отар Кочорадзе</b>	
<b>Иване Бежашвили</b>	
<i>Из истории менеджмента.....</i>	23
<b>Марина Курдадзе</b>	
<i>Системный подход в процессе экономического управления.....</i>	39
<b>Василий Качарава</b>	
<i>Администрация Д.Эйзенхауера и строительство автострад в США .....</i>	45
<b>Георгий Багатурия, Теймураз Горшков, Нона Чичикошвили</b>	
<i>Современная система управления большими транспортными сетями.....</i>	59
<b>Майа Чхеидзе</b>	
<i>Метакогниция и коммуникация .....</i>	68
<b>Гергий Мchedlishvili</b>	
<i>Грузинско-Французские политическо-культурные взаимоотношения.....</i>	74

**Нана Цихистави**

*Современные традиции в секулярном мире*.....84

**Давид Тактакишвили**

*Мир и человек (Философские суждения для молодых, заинтересованных философией)* .....91

**Роза Гаприндашвили**

*Пагубные последствия фетишизирования материального благосостояния и духовного падения* .....99

**Лали Гвасалия**

*Феномен культуры в системно-философском разрезе*.....105

**Серго Ломинадзе**

*Основы и методы деятельности «Черного» PR*.....113

**Русудан Табукашвили**

*Гендерно-специфическая речь*.....120

**Мая Кавтарашвили**

*В сетях мировой паутины – экология мышления и одиночество массы*.....127

**Лия Болквадзе , Георгий Дзидзигури,**

*Политическая нравственность или экономический рационализм*.....137

**Эльдар Пирмисашвили**

*Пиар и кризисы* .....146

## ავტორები

**გიორგი ბადათურია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

**ოთარ ბადათურია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების უფროსი მასწავლებელი

**იგანე ბეჟაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებული

**რობა გაურინდაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიმართულების ასოცირებული პროფესორი

**ლალი გაბაშვილია** - ი.ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის სრული პროფესორი თემურაზ გორგვეგი - შპს „საქართველოს რკნიგზის“ მარკეტინგის ცენტრის უფროსი

**შოთა დოლონაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების ხელმძღვანელი სრული პროფესორი

**რუსულან თაბუქაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

**დავით თაქთაქიშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიმართულების ასოცირებული პროფესორი

**თემურ თოლუა** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების სრული პროფესორი

**გასილ ჯაჭარავა** - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამერიკანისტიკის ცენტრის ხელმძღვანელი

**სერგო ლომინაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიმართულების ასოცირებული პროფესორი

**გიორგი ჭელდიშვილი** - ისტორიკოს-კულტუროლოგი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიის მუნიკებათა დოქტორი

**მაია ქავთარშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და საზოგადოებრივ ურთიერთობების მიმართულების ასისტენტ-პროფესორი

**ოთარ ქოჩირაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მიმართულების ასოცირებული პროფესორი

**მარინა ქურდაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პედაგოგი

**მაია ჩხეიძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უცხოური ენებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

**ნანა ციხისთავი** - ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუმანიტარული და კულტურული კალევების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

**ნონა ჭიჭიკოშვილი** - შპს „საქართველოს რკნიგზის“ წამყვანი მარკეტლოგი

სტუდენტები:

**ლია ბოლქვაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო  
მართვის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი

**ელდარ პირმისაშვილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ფილოსოფიისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მიმართულების  
მაგისტრანტი

**გიორგი ძიძიგური** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო  
მართვის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი

## კურნალის რედკოლეგი

**ნანა ავალიანი** - ეპროფის საზოგად საკართველოს ეულივი  
რამოვალებათის მოაფილია, აროვანობი

**მარია არჩაგი (გარემონი)** - დასავლათ ეპროფის  
მიმართულები

**გიორგი ბატათურია** - საკართველოს ტექნიკური უნივერსი-  
ტაბის აროვანობი

**ოთარ ბატათურია** - საკართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
უფროსი მასწავლაული

**ვახტანე გურული** - თამაშის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესიონალი

**ზორა ღორგონიძე** - საკართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
სახელმწიფო მასწავლაულის ხალხურავი, აროვანობი

**თავისურაზ თოლია** - საკართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესიონალი

**რობერ გერიავალი** - აალერგიონი

**ქათო ქაწიაშვილი** - საკართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ადგინისტრაციის ხალხურავილი, პროფესიონალი

**ოთარ ქოჩორიძე** - საკართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესიონალი

**რუსალან ქათათალაძე** - საკართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის ჰასანებარაული-სოციალური ფაკულტეტის დაანანი,  
პროფესიონალი

**მაია ჩხეიძე** - საკართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეცხოვანი  
ერადისა და არაერთადის დაკარტუმების ხალხურავილი,  
პროფესიონალი